მინისტრებმა 15 აგვისტომდე თანამდებობები შეინარჩუნეს A2

მთავრობის მორიგი ბლეფი A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 9 ივლისი, 2003 წელი. №186 (398)

ფასი 30 თეთრი

## მოსკოვი საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ელოდება

### რატომ არ სრულდება ეუთო-ს სტამბოლის გადაწყვეტილება

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის"

*საქართველოში ეუთო-ს გენერალური მდივნის მოადგილის იან კუბიშის ხუთდღიანი ვიზიტის განმავლობაში არც მასპინძლებს და არც სტუმარს გაკვრითაც არ უხსენებიათ 1999 წლის ნოემბერში მიღებული ეუთო-ს სტამბოლის სამიტის დასკვნითი დოკუმენტი, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. შეგახსენებთ, რომ საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების 250 ერთეულზე მეტი მძიმე ტექნიკისა და 5000-კაციანი პირადი შემადგენლობის ყოფნა, არღვევს ძალთა ბალანსს სამხრეთ კავკასიაში და ხელს უშლის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ეუთო-ს ადაპტირებული ხელშეკრულების ამოქმედებას.*

თებერვლის შემდეგ რუსეთისა და საქართველოს სამთავრობო დელეგაციებს შორის საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი ორი რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის ვადებისა და გრაფიკის შესახებ მოლაპარაკებები აღარ გამართულა. წინადადებები, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში დარჩენილი ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის გაყვანის სანაცვლოდ მოითხოვა, უფრო ულტიმატუმს ჰგავდა – ან ბაზების ეტაპობრივი გაყვანა 11 წლის განმავლობაში, ან ერთჯერადი საკომპენსაციო საფასურის, 80 მილიონი დოლარის გადახდა. საქმეს ვერ უშველა ვერც ნატო-ს ნოემბრის სამიტის ერთობლივმა დეკლარაციამ და ვერც ეუთო-ს პორტოს სამიტის კომუნიკემ, რომლებიც რუსეთისგან ნაკისრი საერთაშორისო

გაგრძელება A3 გვერდზე

## კმაყოფილია ყველა, მაგრამ შეთანხმებამდე რთული გზაა

### ოპოზიციის კონსულტაციები პრეზიდენტთან

თამარ ხორბალაძე

*შეხვედრა შედგა. შედგა მას შემდეგ, რაც აშშ, ჯეიმს ბეიკერისა და ელიზაბეთ ჯოუნსის სახით, უშუალოდ ჩაერია ოპოზიციისა და ხელისუფლების ურთიერთობის საკითხებში. ოპოზიცია, "ლეიბორისტებისა" და "აღორძინების" გამოკლებით, გუშინ, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ერთ მაგიდასთან დაჯდა. სწორედ ეს სადემონსტრაციო მომენტი გახლდათ მთავარი დატვირთვა გუშინდელი შეხვედრისა, რომელმაც, მხარეების განცხადებით, "უჩვეულო ურთიერთგაგების პირობებში" ჩაიარა.*

მოლოდინის საპირისპიროდ, შეხვედრას არ ესწრებოდნენ სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები. **"ოპოზიციის კვოტის დაკომპლექტებაში არ ჩავერევი. ისე, ალბათ, სამართლიანობის პრინციპი დაცული უნდა იყოს, ალბათ, "მრეწველების" ინტერესებიც გასათვალისწინებელია..."** – როგორც ამბობენ, ასეთი მეგობრული და დელიკატური რჩევა მისცა ოპოზიციას ქვეყნის პრეზიდენტმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



რადიკალები და ოპტიმისტები დიდი კონსენსუსის მოლოდინში.

## ვინ შეჭამა ბალახი?

### ანუ, არ გეგონოთ, რომ აქ არჩევნებისთვის შეიკრიბნენ

*"ვინ შეჭამა ბალახი?" – იკითხა გუშინდელ ღონისძიებაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: "არ იფიქროთ, რომ აქ არჩევნებისთვის შევიკრიბეთ"...*

ვერიკო თევზაძე

ყველაზე დიდ სიყვარულს სიტყვები არ ახლავს - ამ ჭეშმარიტებაში გუშინ ახლად დაარსებულმა "საქართველოს კომუნიკაციების და ახალი ტექნოლოგიების ასოციაციის" მესვეურებმა დაგვარწმუნეს. მათ დამფუძნებელი კონფერენცია ისე ჩაატარეს, ერთი "ზედმეტი სიტყვა" არ დასცდენიათ. პირველად სიტყვა "პოლიტიკა" ტრანსპორტის და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა ახსენა და ისიც კონფერენციაზე მიწვეული საქართველოს პრეზიდენტის შესაქებად.

ამის შემდეგ თემა თავად პრეზიდენტმა შევარდნაძემ განავითარა, მან სამართლიანი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე ჩამოაგდო სიტყვა და თან თავის მართლება დაიწყო: **"ამ თემაზე საერთოდ არ მინდოდა საუბარი, ვინმემ არ იფიქროს, რომ აქ არჩევნებისთვის შევიკრიბეთ. ცნობისთვის - მე კენჭს არ ვიყრი, წელიწადნახევარი დამრჩა კიდევ და უნდა გამიძლოთ..."** ბატონმა პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის მორიგი შეხვედრა კიდევ ერთი საინტერესო პროფესიის ადამიანებთან, მძღოლების, მეგზევეების, რკინიგზელების და... სვანების შემდეგ.

პრეზიდენტმა ყურადღებით მოუსმინა კომუნიკაციების და ახალი ტექნოლოგიების ასოციაციის წევრებს და დაჰპირდა მათ, რომ დარგის პრობლემებს გულთან ახლოს მიიტანს. იმავდროულად, კრიტიკულად განწყობილ ზოგიერთ გამომსვლელს (მათგან უპირველესად, ოზურგეთის წარმომადგენელი უნდა ვიგულისხმოთ, რომელმაც პრეზიდენტს გურული წარმომავლობა შეახსენა და თითქმის დაადანაშაულა რეგიონისადმი გამოჩენილ გულგრილობაში) პრეზიდენტმა მოახსენა, რომ ქვეყანა მძიმე ვითარებაში იმყოფება და მისმა მოქალაქეებმა, დამოუკიდებლობის მოპოვების სანაცვლოდ, ბევრი რამ უნდა აიტანონ: **"მაშინ იძახდით – ოღონდ დამოუკიდებლები გავხდეთ და ბალახს შევჭამთო. მითხარით, ვინ, რომელმა თქვენგანმა შეჭამა ბალახი?"**

კონფერენციამ დაამტკიცა წესდება, აირჩია თავმჯდომარე, ერთი სიტყვით, ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით წარიმართა და, რომ იტყვიან, კრებაც მხიარული დარჩა... მხოლოდ ერთმა ახალგაზრდამ იკითხა გულუბრყვილოდ (შეკრების ადგილს –ოპერისა და ბალეტის თეატრს რომ ტოვებდა მარცხენა გასასვლელიდან): **"რისთვის მოვედი აქ?"**

## თავად რად არღვევს კანონს მამალაძე?

### საარჩევნო კოდექსი საჯარო პირებს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას უკრძალავს

მაია მოსიაშვილი

**„მინდა გითხრათ, მე ეს მრავალჯერ მითქვამს, ეს თემა არჩევნებს უკავშირდება, იგივე ჟვანიას გეგმა, რუსეთის მიერ დაფინანსებული, ითვალისწინებს არჩევნებში ქაოსის შექმნას. რუსთავი ერთ-ერთია, შემდგომ არის სხვა რაიონები. მე ძალიან დიდ იმედს მაძლევს ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი. აქ მაქვს ჩამონათვალი, რომელიც ბეიკერმა დატოვა. აქ პირდაპირ წერია, რომ ყველა პოლიტიკური ძალა პასუხს აგებს ქვეყანაში არსებულ სტაბილურობაზე, კონსტიტუციისა და კანონის შესრულებაზე... აი, იმ გამყალბებლებს, რომელთაც ძალიან გრძელი ენები აქვთ და ხალხს ატყუებენ, მათ არ მივცემთ საშუალებას, რომ არჩევნები გაყალბდეს. ასე რომ, ჟვანიამ იცოდეს, რომ მისი რუსული გეგმის განხორციელება, არც ისე ადვილი იქნება,"** - ეს პოლიტიკური განცხადება ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს ლევან მამალაძეს ეკუთვნის.

გუბერნატორმა მამალაძემ კანონის დაცვისკენ მოუწოდა თავის ყველა ქვეშევრდომს: **„ყველა სამსახურს ვაფრთხილებ, სადაც დაირღვევა კანონი და კონსტიტუცია, მიიღეთ ზომები. მე არ მინახავს აშშ-ში ვიღაცას რკინიგზა გადაეკეტოს და ის ციხეში არ იჯდეს. აი, ასეთი შეთანხმება მოხდა ბეიკერთან. მან ვალდებულება დაადო მთავრობას და ოპოზიციას, რომ შეთანხმებულად მოხდეს არჩევნების ჩატარება და კანონი ყველამ დაიცვას."**

გაგრძელება A3 გვერდზე

## „რუსეთთან სტრატეგიული კავშირი ჩვენი პრიორიტეტია"

რევაზ ბახტაძე

*სტეპან დემირჭიანი სომხეთის გაერთიანებული ოპოზიციური ბლოკის "სამართლიანობის" ლიდერია. სტეპან დემირჭიანთან ინტერნეტის მეშვეობით აღებული ექსკლუზიური ინტერვიუ მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში განხორციელდა.*

**- თებერვალ-მარტში, საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას, "24 საათთან" ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ გაყალბების შემთხვევაში, ხელისუფლებას საკადრის პასუხს გასცემდით. ჩვენთვის ცნობილია, რომ სასამართლოში რამდენიმე სარჩელი უკვე შეიტანეთ. რაიმე შედეგი თუ გამოიღო ამან?**

გაგრძელება A5 გვერდზე



სტეპან დემირჭიანი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს.

## გატაცებულმა ესპანელებმა საქართველოში ჩვენება არ მისცეს

### დასასრული. დასაწყისი იხ. N184, 185.

*2001 წლის 17 დეკემბერს, მადრიდში, ესპანეთის უშიშროებისა და შს მინისტრების, დანაშაულთა სპეციალური დეპარტამენტისა და სხვა შესაბამისი ორგანოების წარმომადგენელთა თანდასწრებით, თითქმის 19 საათის მანძილზე მიმდინარეობდა საქართველოში ტყვეობაში მყოფი ესპანელი ბიზნესმენების ტრიმინოს და პაკოს (ფრანცისკო როდრიგეს კაბალა) დაკითხვა. ვაგრძელებთ საინფორმაციო სააგენტო "ექსპრესის" ექსკლუზივის ბეჭდვას. დღეს გთავაზობთ ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესის დაკითხვის ოქმს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## „სამართლიანი არჩევნები" - ცესკო-ს ალტერნატივა

*სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ე. წ. ხმების პარალელური დათვლის მექანიზმის განხორციელება, ფაქტობრივად, საშუალებას იძლევა, არჩევნებზე ამ საზოგადოების სახით, ცესკო-ს მსგავსი ორგანიზაცია მოქმედებდეს.*

ვერიკო თევზაძე

ოღონდ, ცესკო-გან განსხვავებით, "სამართლიან არჩევნებს" არანაირი პარტიული ინტერესები არ უნდა ამოძრავებდეს და აბსოლუტურად ობიექტური, მიუკერძოებელი უნდა იყოს.

ბეიკერის მიერ საქართველოს მთავრობის და ოპოზიციისთვის წარდგენილ დოკუმენტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად მიჩნეულია დამოუკიდებელ დამკვირვებელთა მიერ ხმების პარალელური დათვლა. ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელმაც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანობა უნდა უზრუნველყოს. ხმების პარალელური დათვლის მექანიზმი, ჯერჯერობით, საქართველოში არც ერთ არჩევნებზე არ გამოყენებულა.

სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ბეიკერის დოკუმენტის ქართულ ვარიანტში, **"ხმების პარალელური დათვლის ნაცვლად"**, წერია **"ხმების დათვლა დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ"**, რაც სულ სხვა რამეს ნიშნავს და ეს მომენტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დიდი სტუმრიანობა და საქართველოს მომავალი

*ჯეიმს ბეიკერის ვიზიტმა და თანმდევმა მოვლენებმა ერთგვარად გადაფარა ის ფაქტი, რომ ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოში განსაკუთრებით აქტიურობენ ევროპული სტრუქტურების წარმომადგენლები.*

თამარ ხორბალაძე

უკვე მეოთხე დღეა, თბილისში ხუთდღიანი ვიზიტით ეუთო-ს გენერალური მდივანი იან კუბიში იმყოფება. ორშაბათს მან უკვე გამართა შეხვედრები სახელმწიფო კანცელარიასა და საგარეო საქმეთა სამინისტროში და გააკეთა კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ **„არჩევნების ხარისხი, პრაქტიკულად, განსაზღვრავს საქართველოს თანამშრომლობის ხარისხს საერთაშორისო თანამეგობრობასთან. ამიტომ ეუთო ყველაფერს გააკეთებს, რათა არჩევნების მაღალი ხარისხი უზრუნველყოს".** იან კუბიშის ვიზიტის ძირითადი მიზანი საზღვრის მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის შემოწმებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში ფეხის დადგმის მომენტიდან, ყველა არჩევნებზე ესაუბრება.

გუშინ კუბიშმა "ვიზიტის ძირითადი მიზნისთვის" მოიცალა: ეუთო-ს გენმდივანმა რუსეთთან საზღვრის დაღესტნის მონაკვეთი მოინახულა, სადაც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები მონიტორინგს აწარმოებენ. ეუთო-ს გენმდივანი სასაზღვრო უწყების თავმჯდომარეს ვალერი ჩხეიძესაც შეხვდა.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ უღელტეხილების გახსნასთან დაკავშირებით, საქართველომ საზღვრის ჩრდილოეთის მიმართულებით 8 ახალი საგუშაგო გახსნა და არსებული 5 განამტკიცა. ასევე იმსჯელეს რეფორმების მიმდინარეობაზე საქართველოს სასაზღვრო უწყებაში.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ექსპერტები „გაზპრომის" ექსპანსიისგან თავის დაღწევის გზებს ეძებენ

*საქართველოს გაზით მომარაგების სტრატეგიულ და პოლიტიკურ ასპექტებს დაეთმო გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" (PSI) და მასთან არსებული კასპიისპირეთის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების კვლევების ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომელსაც ენერგოსექტორის ექსპერტებთან ერთად, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავაც დაესწრო.*

მაია ურუშაძე

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის მთავარი მიზანი საქართველოს გაზით უზრუნველყოფის საკითხი, ამ თვალსაზრისით არსებული საფრთხეებისა და შესაძლებლობების იდენტიფიკაცია და ამ საფრთხეების დაძლევის გზების დასახვა იყო.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ „გაზპრომის" საქართველოს ბაზრით დაინტერესება კომერციულ ინტერესს სცილდება, მაგრამ უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ალტერნატიულ მომწოდებელს ვერ ხედავენ.

დაისვა საკითხი გაზის აზერბაიჯანიდან, ან აზერბაიჯანის გავლით მოწოდების თაობაზე, მაგრამ ექსპერტმა დავით ელიაშვილმა შეკრებილთ იმედი გადაუწურა. მან განაცხადა, რომ აზერბაიჯანში ბოლო ვიზიტისას მოინახულა გაზსადენი და, ფაქტობრივად, დარწმუნდა, რომ მისი საექსპლუატაციო კონდიციამდე მიყვანა, დღესდღეობით, უპერსპექტივო საქმეა.

გაგრძელება A3 გვერდზე

### პოლიტიკა

**ამერიკამ შეისმინა შალვას მუდარა**

კიდევ კარგი, ნათელაშვილმა ბეიკერი პლაგიატობაში არ ამხილა

A3

### სპორტი

**ტაისონი + ბოთა + ვასილევი = კანდელაკს**

ჯერჯერობით, ბოლომდე გარკვეული არაფერია. ერთადერთი ის არის ცნობილი, რომ 27 ივლისს კანდელაკს ერთგვარი მოსამზადებელი ჩხუბი ელის უკრაინელ შიშკოსთან.

A6

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 31 |
| ბათუმი | 27 |
| ქუთაისი | 33 |
| თელავი | 32 |
| სოხუმი | 26 |
| ახმეტა | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# მინისტრებმა 15 აგვისტომდე თანამდებობები შეინარჩუნეს

*სავალუტო ფონდის მისიის გასტუმრების შემდეგ, გუშინ სალამოს, პრეზიდენტმა მთავრობის ეკონომიკურ გუნდსა და ძალოვან მინისტრებს საკმაოდ მკაცრი ტონით შეახსენა ფონდის სამახსოვრო ჩანაწერში თითოეული უწყებისთვის განსაზღვრული ვალდებულებები და მათი უმოკლეს ვადაში შესრულება მოითხოვა. მართალია, ცნობილია, რომ ბიუჯეტის ხარჯები 135 მილიონი ლარით უნდა შემცირდეს, მაგრამ ის, თუ კონკრეტულად როგორ გადანაწილდება ეს ჩამოსაჭრელი თანხა ცალკეულ უწყებებზე, დღეს გაირკვევა, როცა პრეზიდენტი შესაბამის ბრძანებულებას მოაწერს ხელს.*

ვანიკა კვინიკაძე

მთავრობის წევრებმა კანცელარიის შენობა თათბირის შემდეგ საკმაოდ გულდამშვიდებულებმა დატოვეს. მათი განცხადებით, პრეზიდენტს არც ერთი მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუსვამს და არც თანამდებობიდან გათავისუფლებით დამუქრებია. მინისტრებს ეს, გარკვეულწილად, ლოგიკურადაც მიაჩნიათ: მიუხედავად არაეფექტური მუშაობისა, იმის გამო, რომ სავალუტო ფონდის მოთხოვნები 15 აგვისტომდეა შესასრულებელი, შუა ივლისში მათი გათავისუფლება მიზანშეუწონელი იქნება.

15 აგვისტომდე შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ლომის წილი ფინანსთა სამინისტროზე მოდის. ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის განცხადებით, საბოლოოდ დადგენილია, რომ ბიუჯეტის ხარჯები 135, ხოლო შემოსავლები - 60 მილიონი ლარით უნდა შემცირდეს. დღეს დაზუსტდება აგრეთვე, თუ რომელ სამინისტროს რამდენით შეეხება დაფინანსების შეკვეცა. [illegible] ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის იმპორტის გაკონტროლება. უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას იმედი აქვს, რომ ორი სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც, სავარაუდოდ, ადრე განხორციელებული ე.წ. "ერგნეთის კამპანიის" მსგავსი იქნება, სასურველ შედეგს გამოიღებს.

საკმაოდ რთულად შესასრულებელი ვალდებულება აქვს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს. სავალუტო ფონდი მისგან ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდას ითხოვს. **"ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა შევასრულოთ"**, - აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, რომელსაც, მისივე თქმით, კარგად ესმის ამ ვალდებულების შესრულების მნიშვნელობა სავალუტო ფონდთან წარმატებული ურთიერთობების აღდგენისთვის.

ყველა ეს ვალდებულება პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულებაში შევა, რომლის პროექტი უკვე მზად არის. თუმცა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მარამ ცაცანაშვილის თქმით, მასში გარკვეული ცვლილებები შესატანი ... "სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შესახებ" დოკუმენტის პროექტს, იგი პარლამენტმა 15 აგვისტომდე უნდა დაამტკიცოს. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის აკაკი ზოიძის განცხადებით, ამ გზით პარლამენტს სავალუტო ფონდთან პროგრამის აღდგენაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილება მოუწევს.

# სახელისუფლებო ბლოკი კმაყოფილია

პრეზიდენტისა და ოპოზიციის წარმომადგენლების დახურული შეხვედრის შემდგომ, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერმა ირინა სარიშვილმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. სარიშვილის თქმით, ბლოკი და თავად პრეზიდენტი კმაყოფილები არიან, რომ **"ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საბოლოო შეთანხმება მიღწეულია".**

**"ჯეიმს ბეიკერის მიერ შემოთავაზებული მოდელი დიდად არ განსხვავდებოდა იმ სქემისაგან, რასაც ჩვენ ამდენი ხნის მანძილზე ვთავაზობდით ოპოზიციას, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭირო იყო ამერიკის მთავრობის ჩარევა, რომ შეთანხმება მიღწეული ყოფილიყო",** – აღნიშნა სარიშვილმა და იქვე განაცხადა, რომ ოპოზიციამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელმა პარტიებმა დაიკავონ ვაკანტური ადგილები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. **"მათ შორის ერთიანი პოზიცია არ არსებობს. ოპოზიცია თავად ყოფს საკუთარ თავს ნამდვილ და დანიშნულ ოპოზიციად",** - ასეთი დიაგნოზი დაუსვა ბლოკის სპიკერმა ოპონენტებს.

სარიშვილმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაში ლეიბორისტულ პარტიას და "აღორძინებას" მონაწილეობა არ მიუღიათ. თუმცა, იქვე იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება მათთან ამ საკითხზე შეთანხმებას მოახერხებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### „არ გადავდგები", - ასეთი პასუხი გამოუგზავნა ოპოზიციას არძინბამ მოსკოვიდან

სეპარატისტული აფხაზეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა არ აპირებს, ვადაზე ადრე გადადგეს თავისი თანამდებობიდან, როგორც ამას ოპოზიციურ პარტია „აიტაირას" ლიდერები მოითხოვენ. ასეთი განცხადება არძინბამ მოსკოვში „ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

„საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წელს გაიმართება, ვადაზე ადრე მე არ გადავდგები. მე ვარ გარანტი კონსტიტუციისა და ვალდებული ვარ, ხელისუფლების კანონიერი ცვლა უზრუნველვყო. აფხაზეთი ახალგაზრდა სახელმწიფოა, ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ახლავე განვამტკიცოთ ის ტრადიციები, რომლებიც სახელმწიფოს სტაბილურობას მომავალშიც უზრუნველყოფენ", – განაცხადა ვლადისლავ არძინბამ. **მედია-ნიუსი**

### გაერო-ს მისია ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების განახლებას მოითხოვს

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერი რაულ ხაჯიმბა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელს ჰაიდი ტალიავინს შეხვდა. ტალიავინის თქმით, სოჭში შევარდნაძე-პუტინს შორის მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციისთვის ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. მისივე თქმით, გაერო-ს მისიისთვის პრიორიტეტი გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებაა. ტალიავინიმ, აგრეთვე, მოუწოდა აფხაზურ მხარეს, რომ განახლდეს ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიების მუშაობა. „ეს კომისია სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ, გაერო-ს მისია მოლაპარაკებების განახლებას ითხოვს", — განაცხადა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა. სეპარატისტთა პრემიერმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ აფხაზური მხარე მოლაპარაკებების განახლებას არ აფერხებს. მისივე თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა სათანადო შეფასება უნდა მისცენ 7 ივნისს კოდორის ხეობიდან გაერო-ს დამკვირვებელთა გატაცების ფაქტს.

„ჩვენ უკვე მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით, რომ დამნაშავეები სამართალდამცავ სტრუქტურებს გადაეცეთ", — განაცხადა ტალიავინიმ. **მედია-ნიუსი**

### ეშერაში ბენზინგასამართი სადგურის აფეთქების მიზეზი კონტრაბანდული ბენზინი გახდა

სოხუმთან ახლოს, სოფელ ეშერაში ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე მომხდარ აფეთქებას სოხუმის რეჟიმი არ ადასტურებს, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, ბენზინგასამართ სადგურში შეიტანეს დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ბენზინი, რომელიც არძინბას ხელისუფლების ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ეკუთვნოდა. ბენზინგასამართი სადგური სწორედ ამ კონტრაბანდული ბენზინის გამო ააფეთქეს.

ბენზინის კონტრაბანდას აფხაზეთში სეპარატისტთა სპეცრაზმის მეთაური ვალმერ ბუთბა აკონტროლებს. ერთ-ერთი ვარაუდით, აფეთქება სწორედ მისი ორგანიზებულია. ბენზინგასამართი სადგური საკმაოდ ახლოს მდებარეობს ეშერის ლაბორატორიასთან, ამიტომ, უფრო ძლიერი აფეთქების შემთხვევაში, სერიოზული საშიშროება არა მარტო სოხუმს, არამედ მიმდებარე რაიონებსაც ემუქრებოდა. **მედია-ნიუსი**

### დღეს თბილისის თავზე ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი იფრენს

დღეს თბილისის თავზე, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში "ავექსის" ტიპის სადაზვერვო თვითმფრინავი იფრენს. ფრენა საჩვენებელი იქნება და მას საქართველოში ვიზიტით მყოფი, ნატო-ს ადრეული მართვისა და კონტროლის საჰაერო ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი იოჰან დორა დაესწრება.

თვითმფრინავი, რომელიც სამხედრო კონფლიქტების ზონაში სიტუაციათა კონტროლისთვის გამოიყენება, საქართველოში ამერიკიდან იოჰან დორას ვიზიტის ფარგლებში ჩამოიყვანეს. მის მართვას, ეკიპაჟის წევრების გარდა, 20-მდე სპეციალისტი სჭირდება. როგორც ნატო-ელმა გენერალმა მინისტრ თევზაძესთან გუშინ გამართული შეხედრის შემდეგ განაცხადა, საქართველოს ამ ტიპის თვითმფრინავის გამოყენების უფლება მხოლოდ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში ექნება. **მედია-ნიუსი**

# ნონა გაფრინდაშვილი და მისი კონკურენტები

თამარ მჭედლიშვილი

*მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი პოლიტიკაში მოდის. საკმაოდ ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ იგი თანხმდება "ახალი მემარჯვენეების" წინადადებას და, როგორც მაჟორიტარობის კანდიდატი, კენჭისყრას ზუგდიდის რაიონში აპირებს. ეს გადაწყვეტილება, ალბათ, საკმაოდ სერიოზულად შეცვლის წინასაარჩევნო ვითარებას რაიონში, რადგან ნონა გაფრინდაშვილი, შეიძლება, სწორედ ის კანდიდატი აღმოჩნდეს, რომელიც სოციალური სიდუხჭირითა და კრიმინალთა თარეშით გადაღლილ ზუგდიდელთათვის აბსოლუტურად მისაღები იქნება.*



"გაახლებული" ნონა გაფრინდაშვილი მშობლიურმა ზუგდიდმა თბილად მიიღო.

არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი, თუმცა ზუგდიდში უკვე ყველა გრძნობს, თუ რამდენად დრამატულად განვითარდება მოვლენები როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე თვით კენჭისყრის დღეს. ნონა გაფრინდაშვილის გარდა, ზუგდიდელთა კეთილგანწყობის მოპოვებას მაჟორიტარობის რამდენიმე კანდიდატი აპირებს, რომლებიც, ამავე დროს, ერთმანეთის მოსისხლე მტრები არიან და, კარგა ხანია, ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევას მხოლოდ მუშტი-კრივითა და იარაღის ტრიალით ახერხებენ.

წინასწარი ინფორმაციით, ნონა გაფრინდაშვილის გარდა, 2 ნოემბერს ზუგდიდელებს საკუთარ თავს შესთავაზებენ: პრეზიდენტის გულმხურვალე მხარდამჭერი, პარლამენტარი თენგიზ ჯგუშია, "გაერთიანებული დემოკრატების" პროტეჟე ბეჟან გუნავა, "უშბას" პრეზიდენტი გოჩა ფიფია, "ეროვნული სამართლიანობისა და თანხმობის აღდგენის კავშირის" თავმჯდომარე გურამ აბსანძე.

თენგიზ ჯგუშიასა და ბეჟან გუნავას შორის რამდენიმეწლიანი მტრობის თაობაზე არა მხოლოდ ზუგდიდში, არამედ თბილისშიც კარგად უწყიან. ტრადიციულად, ეს დაპირისპირება არჩევნების დროს მწვავდება. ასე რომ, ზუგდიდელები ამ ომს შეჩვეულნი არიან და სეირის საყურებლად ემზადებიან. თანაც, უნდა ითქვას, რომ ჯგუშიას რეიტინგი რაიონში საკმაოდ დაეცა – პრეზიდენტ შევარდნაძის მიმართ საკმაოდ აგრესიულმა ზუგდიდმა ჯგუშიას სახელისუფლებო ბლოკში გადაბარგება არ აპატია. მით უფრო, რომ 1999 წლის არჩევნებში მან ზუგდიდელთა მხარდაჭერა სწორედ შევარდნაძის საკმაოდ მძაფრი კრიტიკით მოიპოვა. რაც შეეხება ბეჟან გუნავას, იგი ჟვანიას გუნდის წევრია, რომელიც ამჟამად ღიად უპირისპირდება მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს ბონდო ჯიქიას. ამან კი, შესაძლოა, გუნავას ზუგდიდელთა გარკვეული ნაწილის კეთილგანწყობა მოაპოვებინოს.

არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვთ გურამ აბსანძის თანაგუნდელებს. მათ რაიონის მოსახლეობის ის ნაწილი უჭერს მხარს, რომელიც დღემდე ზვიად გამსახურდიას მთავრობის მომხრეებად რჩება.

ზუგდიდელთა ხმებისთვის "ნადირობს" ბიზნესმენი გოჩა ფიფიაც, რომელმაც ამისთვის უკვე ბევრი ფული დახარჯა. როგორც ზუგდიდელებმა გვითხრეს, ფიფია მატერიალურად ეხმარება ახლადდაქორწინებულებს, რაც, როგორც წესი, აქტიურად შუქდება ხოლმე.

სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ყველა ამ ადამიანს ზურგს შეიარაღებული ფორმირებები უმაგრებენ. ასე რომ, წინასაარჩევნოდ ქალაქში ვითარების უკიდურესად დაძაბვას წინასწარმეტყველებენ.

ამ ფონზე ნონა გაფრინდაშვილის გამოჩენამ ზუგდიდში საკმაოდ დიდი ეფექტი მოახდინა. თანაც, იგი იმ პარტიის კანდიდატია, რომელიც ქალაქში სხვებზე მეტად რეიტინგულია. საგულისხმოა, რომ ნონა გაფრინდაშვილის წარდგენის დღეს ზუგდიდში სპეციალურად ჩავიდა ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ღიად უჭერს მხარს ნონა გაფრინდაშვილს, როგორც ადამიანს, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში ახალი მიდგომები უნდა დაამკვიდროს.

უნდა ითქვას, რომ პატარკაციშვილმა ამ ბოლო დროს ზუგდიდელთა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა. სხვა საქმეებთან ერთად, მან საკმაოდ სერიოზული დახმარება აღმოუჩინა დადიანების სახლ-მუზეუმს, რაც, ბუნებრივია, ზუგდიდელებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. მით უფრო, რომ სახლ-მუზეუმის ტერიტორია, ფაქტობრივად, დაუცველი და გაჩანაგებულია. კეთილმოწყობილია მხოლოდ მისი ერთი პატარა ნაწილი – როგორც ამბობენ, იქ ბუნგალოს გოჩა ფიფია აშენებს...

# დიდი სტუმრიანობა და საქართველოს მომავალი

პირველი გვერდიდან

ეუთო-ს გენერალური მდივანი საქართველოდან ხვალ მიემგზავრება. გუშინ კი თბილისში ევროკავშირის „სამეულის" დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციის ვიზიტს წინ უძღოდა სპეციალური თათბირი სახელმწიფო კანცელარიაში, რომელზეც ევროკავშირის ვალდებულებების შესრულების მდგომარეობაზე ისაუბრეს. გუშინდელი თათბირის მთავარი მომხსენებელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი გახლდათ.

**"საქართველო იმედოვნებს, რომ ევროკავშირი აქტიურად ჩაერთვება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში",** - განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა შეხვედრის შემდეგ. მანვე აღნიშნა, რომ **"ამ იმედს აძლიერებს ევროკავშირის მიერ თავისი წარმომადგენლის დანიშვნა კავკასიის რეგიონში".**

ევროკავშირის 9-კაციან დელეგაციას, რომელიც თბილისში გუშინ სალამოს ჩამოვიდა, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარგარიტა ბონივერი და ირლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბარბარა ჯონსი ხელმძღვანელობენ. დღეისათვის იტალია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა, ხოლო ირლანდია ევროგაერთიანებას მომავალ წელს ჩაუდგება სათავეში.

დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიან ევროკავშირის დსთ-ს ქვეყნებისა და დასავლეთ ბალკანეთის დეპარტამენტის დირექტორი, აგრეთვე, ევროკომისიის გენერალური დირექტორის მოადგილე მაიკლ ლეი.

დელეგაცია შეხვედრებს გამართავს პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელებთან. განხილვის მთავარი თემა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები იქნება.

დელეგაციასთან ერთად, თბილისში ჩამოვიდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ახლადდანიშნული სპეციალური წარმომადგენელი, ფინელი დიპლომატი ჰაიკი ტალვიტიე, რომელსაც 1995-96 წლებში მთიანი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებული, ეუთო-ს მინსკის კონფერენციის თანათავმჯდომარის პოსტი ეკავა.

„სამეულის" თბილისში ვიზიტი ორ დღეს გასტანს.

გუშინვე თბილისში ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების დემოკრატიული სტაბილურობის კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფი ჩამოვიდა, რომელიც გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერს გიგი წერეთელს და ფრაქციების წარმომადგენლებს შეხვდა. დელეგაციის ვიზიტის მიზანი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების, სამართალწარმოებისა და სამართალდამცავ ორგანოთა რეფორმის, კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის საკითხების განხილვაა.

და ბოლოს: გუშინ საქართველოში ნატო-ს ძალების სამხრეთ-ცენტრალური გაერთიანებული სარდლობის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლას კატაგასიც ჩამოვიდა. მისი ვიზიტის მიზანი ქართული ჯარის მდგომარეობის შეფასებაა.

მოკლედ, ამ დღეებში ევროსტრუქტურები საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგებს "ზომავენ" და "წონიან". ცხადია, ამ ვიზიტების შედეგები და დელეგატთა მოხსენებები საქართველოს ბედზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს.

# მოსკოვი საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ელოდება

პირველი გვერდიდან

ვალდებულების შესრულებას მოითხოვდა. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე აცხადებს, ქართული მხარის არაერთი ნოტის მიუხედავად, რუსეთი არ ჩქარობს მოლაპარაკების განახლებას, რითაც აშკარა უპატივცემულობას გამოხატავს საერთაშორისო საზოგადოების მიმართ.

**"ძალიან მარტივად ვთქვათ: მთელი ცივილიზებული ევროპა შეთანხმებულია იმაზე, რომ ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები –ტანკი, ავტომატი, ქვემეხი. ე.წ. ბეტეერი და ასე შემდეგ, ყველა ქვეყანაში, ვინც არის ამ ხელშეკრულების მონაწილე, უნდა იყოს დათვლილი და ფიქსირებული. მანამ, სანამ უაზროდ არის გაწერილი რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა საქართველოში და ვერ ხერხდება ტექნიკის დათვლა და ფიქსაცია, ვერ შევა ხელშეკრულება ძალაში,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ბაზების არგაყვანის საკითხი პირადიპირ კავშირშია მთლიანად სამხრეთ კავკასიისა და კერძოდ საქართველოს უსაფრთხოების პრობლემასთან. საქმე ისაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ორ სამხედრო ბაზაზე რუსეთს იმაზე მეტი მძიმე შეიარაღება და ტექნიკა აქვს, ვიდრე თავად მასპინძელ ქვეყანას. ამას ემატება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სამშვიდობო კონტინგენტები, თავისი შეიარაღებით, და სეპარატისტული რეჟიმების განკარგულებაში არსებული სამხედრო ძალა, რომელიც არც ერთ ევროპულ დოკუმენტში არ არის განცხადებული და უკანონოდ ითვლება.

**"არ არის მათი ადგილი ევროპული უსაფრთხოების სიტემაში და რომ არ არის, სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს საქართველოს ხელისუფლება, მე მგონი გასაგები ლოგიკით,"** - აცხადებს სიხარულიძე.

მაგრამ ეს ლოგიკა, ჯერჯერობით, არ არის გასაგები რუსეთისთვის. ხომ არ არის ამაში დამნაშავე თავად ეუთო, რომელმაც ზუსტად მიუთითა რუსეთს გუდაუთისა და ვაზიანის ბაზების გაყვანის ბოლო ვადა (2001 წლის 1 ივლისამდე), მაგრამ დანარჩენი ორი ბაზის - ახალქალაქისა და ბათუმის - გაყვანა საქართევლოსა და რუსეთის მთავრობებს მიანდო, ყოველგვარი ვადის მიუთითებლად? შესაბამისად, ამით რუსეთს მიეცა ვაჭრობის საფუძველი, რისი მოწმეც მთელი ამ ხნის განმავლობაში მთელი ევროპაა.

ეგ არის რომ რუსეთი წელიწადში ერთხელ რომელიმე მეორეხარისხოვან სამხედრო ობიექტის დემონტაჟს ახორციელებს და ესეც ლამის თავსატეხად გაუხადეს საქართველოს. გავიხსენოთ თბილისიდან კავშირგაბმულობის ბატალიონის გაყვანის შარშანდელი ისტორია, რასაც აზერბაიჯანის მხრიდან დიპლომატიური დემარშები მოჰყვა.

საქმე ისაა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ კავშირგაბმულობის ბატალიონი რუსეთის ტერიტორიაზე კი არ დააბრუნა, არამედ სომხეთის გიუმრის ბაზაზე განლაგებულ 102 ბაზას შეუერთა. ამან კი აზერბაიჯანის ხელისუფლების პროტესტი გამოიწვია, რადგან არავისთვის დასამალი არ არის, რომ გიუმრის ბაზა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს სომხეთის შეიარაღებული ძალების სათადარიგო შტაბის ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, შარშან საქართველოდან გასაყვანი რუსეთის სამხედრო ბაზების სომხეთში განლაგებაზე პირველი უკმაყოფილება თავად სომხეთშიც წარმოიშვა. 2002 წლის ბოლოს საინფორმაციო სააგენტოებმა გავრცელეს, სომხეთის ყოფილი მმართველი პარტიის, „საერთო ნაციონალური მოძრაობის" განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სამხედრო ბაზების საქართველოდან სომხეთში განთავსება, აძლიერებს ერევანზე მოსკოვის დამოკიდებულებას და სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის უსაფრთხოებას და დამოუკიდებლობასო.

ცალკე პრობლემაა ეკოლოგიური და ფინანსური ზარალი, რაც ამ სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციას ახლავს თან – მთელი ამ წლების განმავლობაში, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რუსეთი ხომ არც მიწის და არც ქონების გადასახადს არ იხდის და მხოლოდ ორი თვის წინ, და ისიც დიდი დიპლომატიური ომის შემდეგ, დათანხმდა საქართველოს მოთხოვნას, საკუთარი პირადი შემადგენლობისთვის ხელფასები ლარებში აენაზღაურებინა.

შესაძლოა, მცირე წინსვლად ჩაითავლოს ისიც, რომ რუსეთმა ივალდებულა საგარეჯოს საინჟინრო მასალათა საწყობის დემონტაჟი, რომელიც მალე დასრულდება. მაგრამ, ამის იქით სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით ყრუ კედელია აღმართული და როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მოსკოვიდან უკვე მოდის სიგნალები, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე არაფერი შეიცვლება.

შეიძლება ვინმემ გაოცებით იკითხოს, რა კავშირშია საქართველოს პარლამენტის არჩევნები ეუთო-ს სამიტის გადაწყვეტილებათა შესრულებასთანო? პასუხი მარტივია: მოსკოვს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ საპარლამენტო არჩევნებში საქართველოში გაიმარჯვებს ძალა, რომელიც რუსეთის სამხედრო ყოფნას 11 წლით დათანხმდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბორჯომის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე იზოლდა ლომიძე აფხაზეთის ორ პროკურორს - სოტკილავასა და ლაცუსბაიას მორალური ზიანის მიყენებისათვის ბოდიშის მოხდას სთხოვს. პროკურატურა ლომიძეს დევნილთა კუთვნილი თანხების მითვისებაში ადანაშაულებდა, თუმცა სასამართლომ მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ვიზიტით მყოფი, ევროსაბჭოს დემოკრატიული სტაბილურობის კომიტეტის ელჩების ჯგუფის 11-კაციანი დელეგაცია გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. დელეგაციის მიზანს საქართველოში წინასაარჩევნო ვითარების შესწავლა, სასამართლო და სამართალდამცველ სტრუქტურებში არსებული მდგომარეობის გაცნობა და კორუფციასთან ბრძოლის პროცესის მონიტორინგი წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 21-22 ივლისს, ჟენევაში, აფხაზეთის საკითხზე დაგეგმილ შეხვედრაში აფხაზური მხარეც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩებსა და საქართველოს დელეგაციას კონფლიქტის მოგვარების საკუთარ ხედვას გააცნობს. სოხუმის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა უხელმძღვანელებს. ჟენევის შეხვედრა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის, ჰაიდი ტალიავინის თავმჯდომარეობით გაიმართება. ქართული დელეგაციის შემადგენლობა, ჯერჯერობით, უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ ინდოეთის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს საქართველოში დიპაკ ლოჰრას შეხვდა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობისა და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინის ქალაქ ლვოვში, „იავოროვის" სამხედრო პოლიგონზე გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საერთაშორისო მრავალეროვნული წვრთნები, კოდური სახელწოდებით „მშვიდობის ფარი 2003". სწავლებაში, რომელიც ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ეგიდით ტარდება, ნატო-ს წევრი და პარტნიორი 18 ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი 850 სამხედრო-მოსამსახურე მონაწილეობს. ქართულ მხარეს წვრთნებზე პირველი ქართული „კომანდოს" ანტიტერორისტული ბატალიონის 23 რიგითი და 10 ოფიცერი წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ სალამოს, თბილისში „მეომართა კავშირის" საპროტესტო აქციას ზუგდიდიდან დევნილთა საკოორდინაციო შტაბის 15-მდე წარმომადგენელი შეუერთდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 10 ივლისს სოხუმში ოპოზიციური გაერთიანება „ამცახარას" ყრილობა გაიმართება, სადაც შესაძლოა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში კიდევ ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია იქმნება. პარტია „ახალი დემოკრატების" დამფუძნებელი ყრილობა თბილისში, ყოფილი ცეკავშირის შენობის სააქტო დარბაზში 11 ივლისს გაიმართება.როგორც პარტიის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი გეგეჭკორმა განაცხადა, პარტია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი იქნება და მასში, ძირითადად, მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწეები გაერთიანდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** მდინარე ფსოუზე ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობას რუსეთის ფედერაციის სამშენებლო ფირმა „კრასნოდარავტომოსტი" ასრულებს. როგორც ცნობილი გახდა, ამ მიზნით კრასნოდარის მხარის ბიუჯეტიდან უკვე გამოიყო 35 მლნ რუბლი. ეს თანხა საკმარისია მხოლოდ პირველი ეტაპის სამუშაოების ჩასატარებლად. მდინარე ფსოუზე გამავალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ გამთენიისას სოფელ დიღომში ბაგა-ბაღის შენობას ხანძარი გაუჩნდა. დაიწვა 60 კვადრატული მეტრის ფართობის სახურავი, სამი ოთახი და შენობაში განთავსებული შპს "კომპიუტერის" ინვენტარი. ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის რამაზ ურუშაძის ცნობით, ატიპური პნევმონიის ეპიდემია ჩაქრა. უკვე რამდენიმე კვირაა, დაავადების ახალი შემთხვევები არც ერთ ქვეყანაში არ გამოვლენილა. ამიტომაც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ამა თუ იმ ქვეყანაში მოგზაურობასთან დაკავშირებით ყველა შეზღუდვა გააუქმა. თუმცა, უცხოელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ატიპური პნევმონიის ეპიდემია დროებით, შემოდგომამდე შეჩერდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სინგაპური.** სინგაპურში ტრაგიკულად დასრულდა სიამის ტყუპების განცალკევების ოპერაცია. 29 წლის ირანელმა დებმა, ლალეჰ და ლადან ბიჯანებმა ბევრი სისხლი დაკარგეს, რაც ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალების მიზეზი გახდა, მეორე კრიტიკულ მდგომარეობაშია. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მთავრობის მორიგი ბლეფი

როგორც მოსალოდნელი იყო, ივნისში გაუარესდა არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზება და ექვსი თვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 87.6 პროცენტით, როდესაც ხუთი თვის გეგმა 92.3 პროცენტით იყო შესრულებული.

**სამწუხაროდ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მართლაც უარესდება მთავრობის უნარი - ამოიღოს გადასახადები.**

ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების ექვსი თვის გეგმა ნაცვლად 36.16 მილიონი ლარისა შესრულებულია 31.69 მილიონი ლარით ანუ გარღვევამ უკვე მიაღწია 4.47 მილიონ ლარს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ 16 მილიონი ლარი მოდის ეროვნული ბანკის მოგების ტრანსფერზე, ხოლო სხვა წყაროებიდან კი ექვს თვეში მიღებულია მხოლოდ 15.69 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლები. დარჩენილ ექვს თვეში წლიური გეგმის შესასრულებლად არასაგადასახადო შემოსავლების სხვა წყაროებიდან ბიუჯეტში მობილიზებული უნდა იქნას 46.71 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი.

გავაანალიზოთ შემოსავლები სხვადასხვა წყაროების მიხედვით:

გაცემული კრედიტებიდან დაგეგმილია 16 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი. ექვსი თვეში შიდა და გარე წყაროებიდან გაცემული კრედიტების შემოსავალმა შეადგინა 2.79 მილიონი ლარი ანუ წლიური გეგმის მხოლოდ 17.47 პროცენტი. ამიტომ, არ უნდა მოგვატყუოს ექვსი თვის გეგმის 70.7 პროცენტით შესრულებამ და, მით უფრო, შიდა წყაროებიდან გაცემული კრედიტების ექვსი თვის შემოსავლების გეგმის 108.5 პროცენტით შესრულებამ. ეს მთავრობის მორიგი ბლეფია.

ჩვენი ბევრი ვისაუბრეთ საგზაო ფონდსა და ფინანსთა სამინისტროს შორის არსებულ გარიგებაზე, მაგრამ მთავრობას არც ჩვენი შეფასება უარყვია და არც საჭირო ზომების მისაღებად გაუკეთებია რამე. საგზაო ფონდს არც ივნისში დაუფარავს სესხის ნაწილი ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ და არც მომსახურების პროცენტი გადაუხდია.

**ამიტომ იძულებულნი ვართ გავიმეოროთ –გაცემული კრედიტებიდან მისაღებ შემოსავლებში დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 10 მილიონ ლარს.**

დივიდენდებიდან დაგეგმილია 16 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავლები. ექვს თვეში შემოსავლებმა შეადგინა მხოლოდ 2.85 მილიონი ლარი. ამ ნაწილში მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია, თუმცა მთავრობას ამის არც ნება აქვს და არც უნარი. ივნისში რკინიგზამ ცენტრალურ ბიუჯეტში ჩარიცხა მხოლოდ 900 ათასი ლარი დივიდენდების სახით, რაც საკმარისი არ არის.

**იძულებულნი ვართ ისევ გავიმეოროთ - დივიდენდებიდან დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 8 მილიონ ლარს.**

**მიწის პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 1 მილიონ ლარს; საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 400 ათას ლარს, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან, არაკომერციული და თანმდევი გაყიდვებიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 5 მილიონ ლარს; ე.წ სხვა შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 5 მილიონ ლარს.**

ადმინისტრაციული ჯარიმებიდან და სანქციებიდან დაგეგმილი შემოსავლები, როგორც ჩანს, მობილიზებული იქნება სრულად; შესაძლებელია გეგმის მცირე გადაჭარბებაც.

**ჩვენი ახლანდელი პროგნოზი, სამწუხაროდ, უფრო პესიმისტურია, ვიდრე ივნისის დასაწყისში. არსებული ტენდენციების პირობებში ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 29 მილიონ ლარს.**

საინტერესოა, თუ ითვალისწინებენ მთავრობა და საერთაშორისო სავალუტო ფონდი არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ახალ ტენდენციებს მოლაპარაკებებისა და ბიუჯეტის შესწორებების დაგეგმვის დროს?

**არასაგადასახადო შემოსავლების დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულება დამოკიდებულია რამდენიმე სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციაზე. შესაბამისად, მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია, მაგრამ მთავრობას ამის ნება არ აქვს.**

**საკონსულტაციო ფირმა „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე“**

# თავად რად არღვევს კანონს მამალაძე?

პირველი გვერდიდან

საინტერესოა, რა ზომები შეიძლება იქნას მიღებული იმ შემთხვევაში, როცა კანონი თავად გუბერნატორის მიერ ირღვევა. საქმე ისაა, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მკაცრად განსაზღვრავს იმ ადამიანთა რანგს, რომელთაც წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. მათ შორის არიან: სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელი პირები; სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეები, როდესაც ისინი თანამდებობრივ და სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებენ. კანონი ასევე განმარტავს, რომ წინასაარჩევნო აგიტაცია არჩევნების დანიშვნის მომენტიდან იწყება.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნების თარიღი უკვე ორი თვეა გამოცხადდა და დაიწყო წინასაარჩევნო აგიტაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუბერნატორ ლევან მამალაძეს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ საჯარო პირს, უფლება არ აქვს სამუშაო საათებში საარჩევნო პოლიტიკური განცხადებები აკეთოს.

კანონში ასეთი აკრძალვა, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მოხვედრილა. ეს არის ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ არსებული ხელისუფლების წარმომადგენლებს ადმინისტრაციული რესურსების უკულმართად გამოყენების საშუალება არ მიეცეთ.

**„მოვითხოვ თქვენგან, რომ პრინციპულები იყოთ კანონის დაცვაში,“** - მიმართა გუბერნატორმა მამალაძემ თავის ქვეშევრდომებს. საინტერესოა, იგივე მოთხოვნას იგი საკუთარი თავის მიმართაც გაითვალისწინებს, თუ კვლავაც გააგრძელებს კანონის დარღვევას?

# ექსპერტები „გაზპრომის“ ექსპანსიისგან თავის დაღწევის გზებს ეძებენ

პირველი გვერდიდან

რუსული მომწოდებლის უალტერნატივობას ეთანხმება სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავაც, რომელმაც შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ „გაზპრომთან“ თანამშრომლობა საქართველოსთვის გარდაუვალი იქნება. **„თუ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების მაგისტრალურ გაზსადენებში ინვესტიცია არ განხორციელდა, ჩვენ სამ წელიწადში მას დავკარგავთ,“** – განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, საქართველო ამ ეტაპზე „გაზპრომთან“ ურთიერთობაში სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს არ იღებს, **„უბრალოდ, ჩვენ ვცდილობთ უმცირეს ფასთა მეთოდით შევარჩიოთ საქართველოსთვის გაზის ყველაზე იაფი მომწოდებელი.“**

კასპიისპირეთის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების კვლევების ცენტრის ექსპერტის, ლიანა ჯერვალიძის განმარტებით, საქართველოში გაზის რუსული გიგანტის შესაძლო ექსპანსია ეწინააღმდეგება დასავლურ – ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ინტერესებს. „გაზპრომის“ მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის ლიბერალური სატარიფო რეჟიმის შეთავაზების მიზეზებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ექსპერტები სწორედ ამას ასახელებენ. **„ამ შემთხვევაში „გაზპრომი“ საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენებს დაეუფლება და ალტერნატიული მომწოდებლის გამოჩენის შემთხვევაში, მას გადაულახავ ბარიერებს შეუქმნის. სწორედ აქეთ არის მიმართული მისი ექსპანსიური პოლიტიკაც,“** – განაცხადა ლიანა ჯერვალიძემ.

**„გაზპრომისათვის“ დემპინგური პოლიტიკა ნაცადი ხერხია. ამ გზით ის თავის დროზე თურქეთის ბაზარზე „ბლუსტრიმის“ პროექტით შევიდა და ახლა თურქეთს საკმაოდ უჭირს მასთან ურთიერთობის დარეგულირება,** - ითქვა გუშინ გამართულ შეხვედრაზე. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ გაზის ფასის დაგდებით, „გაზპრომმა საქართველოს „ ბაზარზე ფეხი მყარად მოიკიდოს და ამის შემდეგ დაიწყოს თავისი პირობების კარნახი.

ექსპერტები რეგიონის ენერგოუსაფრთხოების საკითხზე მსჯელობას კვლავ გააგრძელებენ. ოფიციალურ სტრუქტურებთან ამ თემებზე დისკუსიის გამართვას კასპიისპირეთის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების კვლევების ცენტრი უახლოეს მომავალშიც აპირებს.

# კმაყოფილია ყველა, მაგრამ შეთანხმებამდე რთული გზაა

პირველი გვერდიდან

სხვა მხრივ კი, დეტალებზე საუბარი არ ყოფილა. შესაბამისად, არც დაპირისპირება გაჩენილა შეხვედრაზე, რომლითაც ყველა – ოპოზიციაც და საქართველოს პრეზიდენტიც, პრესმდივნის კახა იმნაძის ინფორმაციით, კმაყოფილი დარჩა.

“გაერთიანებული დემოკრატების” ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ოპოზიციაში არ ელის არანაირ უთანხმოებას, **„თუ რომელიმე ძალა, ამ შეთანხმების რეალიზებასთან დაკავშირებით, პრობლემების პროვოცირებას არ მოინდომებს”.**

„ახალი მემარჯვენეების” ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა: **“მთავარია, რომ შევარდნაძე ბეიკერის წინადადების მიმართ მხარდაჭერას ღიად აფიქსირებს.”** მისი თქმით, რიგგარეშე სესიამდე ოპოზიციის და სახელისუფლებო ძალების ერთობლივი სამუშაო ჯგუფები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულ დეტალებსა და იურიდიულ ფორმულირებებს შეათანხმებენ.

„ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტის” ლიდერის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის აზრით, **“ეს შეთანხმება ოპოზიციის გამარჯვებაა. ეუთო-ს მიერ ცესკო-ს თავმჯდომარის დასანიშნი კანდიდატურა და მისი დანიშვნის მექანიზმი კი დამატებითი კონსულტაციების საგანი გახდება”.**

ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერმა, „თანხმობისა და სამართლიანობის კავშირის” ერთ-ერთმა ლიდერმა ნემო ბურჭულაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია, **“როგორც ერთადერთი რეალური ოპოზიცია”,** საარჩევნო ადმინისტრაციებში თავისი წარმომადგენლის დანიშვნას მოითხოვს, რასაც ოპოზიციაც და პრეზიდენტიც დაეთანხმნენ.

შეხვედრით კმაყოფილები იყვნენ “ქრისტიან-დემოკრატების” ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე და “ტრადიციონალისტი” აკაკი ასათიანი.

„მრეწველთა” ლიდერი გოგი თოფაძე ამთავითვე კატეგორიულია - პარტია ოპოზიციის კვოტაში, მინიმუმ, ორ ადგილს მოითხოვს, როგორც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში 7-პროცენტიანი ბარიერის გადამლახავი ორგანიზაცია. **“არ შეიძლება „მრეწველებს” და ახლახან შექმნილ პარტიებს ცესკო-ში თანაბარი ხმები ჰქონდეთ”,** - თქვა თოფაძემ და ისიც დასძინა, რომ ოპოზიცია ამ მოთხოვნაზე წამოვა. სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, ოპოზიცია მრეწველების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხს მართლაც განიხილავს.

**“ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციებში თავისი წარმომადგენლის ყოფნას”** მოითხოვს „სახალხო პარტიაც”. ამის შესახებ „სახალხო პარტიის” ლიდერმა მამუკა გიორგაძემ განაცხადა.

როგორც ცნობილია, „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა” და „ლეიბორისტულმა პარტიამ” შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

არსებობს ეჭვი, რომ ამ პარტიების, ისევე, როგორც “მრეწველების” პოზიცია, შესაძლოა, ოპოზიციური კვოტის დაკომპლექტების ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს და ამ გზით სერიოზული დივიდენდები მოიპოვოს შევარდნაძემ და მისმა სახელისუფლებო ძალამ, რომელიც ირწმუნება, რომ ბეიკერის ვარიანტი სწორედ მისთვის იყო მისაღები და არა - ოპოზიციისთვის.

ასევე საინტერესოა, რომ აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მდივანთან ჯეიმს ბეიკერთან ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრაზე და პრეზიდენტთან გუშინდელ კონსულტაციებზე, არ იყო მიწვეული „ერთობა”. პატიაშვილის თქმით, მას **„გული არ დასწყვეტია”,** თუმცა, მიუხედავად ამისა, ოპოზიციის კვოტაში ერთ წევრს მისი პარტიაც მოითხოვს.

ცხადია, ოპოზიციას საკმაოდ რთული კონსულტაციები ელის. თუმცა, გუშინ პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსული პოლიტიკოსები თითქმის ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ ამ კვირაში ისინი შეთანხმების მიღწევას შეძლებენ.



საქინფორმი

მოგვიტანს ამერიკული მოდელი "ჰეპი ენდს"?

# „სამართლიანი არჩევნები" - ცესკო-ს ალტერნატივა

პირველი გვერდიდან

“სამართლიანი არჩევნები” ხმების პარალელურ დათვლას შემდეგი მეთოდით განახორციელებს: საზოგადოების დამკვირვებლებს ყველა საარჩევნო უბანზე ექნებათ სპეციალური ფორმა, რომელშიც აღირიცხება საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობა საათობრივად, ასევე, საარჩევნო უბნის შედეგები ხმების დათვლის პროცედურისთანავე, ანუ ხსენებულ ფორმაში ჩაიწერება, რამდენი ხმა მიიღო არჩევნებში მონაწილე თითოეულმა პარტიამ თუ დეპუტატობის მაჟორიტარმა კანდიდატმა. ამის შემდეგ, საზოგადოება დააჯამებს შედეგებს და მეორე დღესვე გამოაქვეყნებს მონაცემებს, ამომრჩეველთა აქტივობის შედეგების ჩათვლით.

“სამართლიანი არჩევნების” მიერ ხმების პარალელური დათვლა გამორიცხავს ჩვენში დამკვიდრებულ მავნე ტრადიციას, რომლის დროსაც საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული შედეგები იცვლებოდა შუა გზაზე, ვიდრე ეს მონაცემები საოლქო ან ცენტრალურ საარჩევნო კომისიამდე მიაღწევდა. გარდა ამისა, ამომრჩეველთა მონაწილეობის (აქტივობის) დათვლა საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს ე.წ. ხმების ჩაყრა საარჩევნო უბნებზე – თუკი საარჩევნო ყუთში ბიულეტენთა რაოდენობა (იგი უბნის შემაჯამებელ ოფიციალურ ოქმში დაფიქსირდება) უბანზე მისულ და “სამართლიანი არჩევნების” მიერ აღრიცხულ ამომრჩეველთა რაოდენობას გადააჭარბებს, აღნიშნული საზოგადოება საარჩევნო უბანზე ჩატარებული კენჭისყრის მართებულობას სასამართლოს წინაშე დააყენებს.

**“ბეიკერის დოკუმენტის მეშვიდე პუნქტის მიხედვით, არჩევნების დეტალური შედეგები დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს ყველა დონეზე, მათ შორის, საარჩევნო უბნებზე. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ მიიღებს საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ შედეგებს,”** – აღნიშნავს ჭიაბერაშვილი და დასძენს, რომ დოკუმენტის თარგმნილ ვარიანტში **“დაუყოვნებლივ გამოქვეყნების”** ნაცვლად **“დროულად გამოქვეყნება”** წერია, რაც უზუსტობაა.

იმავე ჭიაბერაშვილის განცხადებით, თუ პარლამენტი პარალელური დათვლის მექანიზმს იურიდიულად განამტკიცებს, მაშინ მათ საქმე ბევრად გაუადვილდებათ.

სამწუხაროდ, ახლა ხელისუფლებას და ოპოზიციას მთელი ყურადღება ცესკო-ს დაკომპლექტებაზე გადააქვთ. მათთვის ამ ეტაპზე სასიცოცხლო საკითხი ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებაა (ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო) და, აქედან გამომდინარე, საეჭვოა, რომ პარტიებმა ხმების პარალელური დათვლის მექანიზმს დიდი დრო და ყურადღება დაუთმონ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზურაბ ჭიაბერაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხმების პარალელურად დათვლის პრინციპს.

# ამერიკამ შეისმინა შალვას მუდარა

## კიდევ კარგი, ნათელაშვილმა ბეიკერი პლაგიატობაში არ ამხილა

სოფო ბუკია

**“უღრმესი მადლობა აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, მის ადმინისტრაციას და ჯეიმს ბეიკერს იმისთვის, რომ მათ მხარი დაუჭირეს და გაიზიარეს “ლეიბორისტული” პარტიის მოდელი ცესკო-ს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, დიდი მადლობა მათ,”** – შალვა ნათელაშვილის “უღრმეს მადლობას” პრეზიდენტ ბუშს, ალბათ, სენეგალში დააწევენ, სადაც იგი ამჟამად შიდსთან ბრძოლის პროგრამით იმყოფება.

საგანგებო პრესკონფერენცია, რომელიც გუშინ “ლეიბორისტების” ოფისში პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრის დასრულებისთანავე შედგა, ძირითადად ბეიკერისა და “ლეიბორისტების” ერთობლივი ხედვის ტრიუმფალურ გამარჯვებას მიეძღვნა. **“არჩევნები ჩაივლის “ლეიბორისტული პარტიის” მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელიც მოიწონა მსოფლიოში ყველაზე ძლიერმა სახელმწიფომ - ამერიკამ,”** – უხარია ნათელაშვილს.

ოპოზიციური პარტიებისა და პრეზიდენტის გუშინდელ შეხვედრას, სადაც ნათელაშვილის ხელით შემუშავებული და ბეიკერის მიერ მოწონებული საარჩევნო გეგმა იხილებოდა, ნათელაშვილი, საკუთარი ამომრჩევლების ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მოერიდა: **“ბევრს შოკში ჩააგდებდა ჩემი კანცელარიაში გამოჩენა, საზოგადოება არ არის მიჩვეული ჩემს სტუმრობას პრეზიდენტთან.”**

ეგეც რომ არა, პრეზიდენტთან სალაპარაკო ნათელაშვილს არაფერი აქვს, ყველა საკითხი მან “თანამოაზრე” ბეიკერთან პირადი შეხვედრისას მოაგვარა. **“მე და ბეიკერმა, პრაქტიკულად, უკვე მოვილაპარაკეთ მოქმედების სქემაზე. ამდენად, პრეზიდენტთან ჩემი ვიზიტი ცერემონიალური ხასიათის იქნებოდა. შევარდნაძე ყოველთვის ფორმალური მმართველია, როცა საქმე არჩევნებს ეხება,”** – განაცხადა ნათელაშვილმა.

შევარდნაძესთან შეხვედრას ნათელაშვილი იმ შემთხვევაში აპირებს, თუ 2 ნოემბრის არჩევნები დემოკრატიულად ჩაივლის. **“მხოლოდ არჩევნების შემდეგ მივალ შევარდნაძესთან, რათა ვიმსჯელოთ, როგორ მოვაწყოთ სახელმწიფო, როგორ შევცვალოთ შევარდნაძის ხელისუფლება მშვიდობიანი გზით და როგორ ვიმოქმედოთ საპრეზიდენტო არჩევნებამდე,”** – აღნიშნა ნათელაშვილმა, რომელიც მზადაა, საარჩევნო კოდექსის ახალი ვარიანტის მისაღებად ყველა პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლოს.

ნათელაშვილს ბეიკერთან ცესკო-ს თავმჯდომარეზეც მოუსწრია მოლაპარაკება. ბეიკერისა და ნათელაშვილის ერთობლივი სურვილია ამ პოსტზე ღირსეული, პოლიტიკურ სიბინძურეებში გაურეველი ადამიანი დაინიშნოს. **“შესაძლოა, ეს იყოს სკოლის მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს “აი ია”-ს ასწავლის, სტუდენტები, პენსიონერები... მე, პირადად, შერეული ვარიანტის მომხრე ვარ,”** – აღნიშნა ნათელაშვილმა.



ნათელაშვილის მადლობას ჯორჯ ბუშს სენეგალში დააწევენ.

სვეტი

# კონსპექტი, რომელმაც ქვეყანა უნდა იხსნას...

მაია ჭალაგანიძე

*90-იან წლებში ტელევიზიაში მოხუცი მიიყვანეს. დიქტორმა გამოაცხადა - არც სახელი ახსოვს, არც გვარი, მხოლოდ მეგობრებს ასახელებს - გენშერს, ბუშსა და ბეიკერს, იქნებ ახლობლებმა მოაკითხონო... ეს იყო ანეკდოტი, მაგრამ, როგორც ჩანს, მოხუცს ახლობლებმა მიაკითხეს. ის დღესაც ჯანმრთელია, მუშაობს კიდეც და თან ისე მუშაობს, რომ შეშფოთებულმა ერთ-ერთმა მეგობარმა დასახმარებლად ჩამოაკითხა.*

**მიმართვა მომავალ თაობას, რომელიც კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოს, რადგან წინა თაობა მას ვალების და დასახოცი ხალხის სიის მეტს ვერაფერ ტრადიციას უტოვებს**

ამ მიმართვას საქართველოს ხელისუფლება, არსებული პოლიტიკური სპექტრი უნდა წერდეს. მათ მომავალი თაობისთვის ასახსნელი აქვთ შემდეგი:

რატომ არ აძლევთ სკოლა ისეთ განათლებას, რეპეტიტორების, ნაცნობობისა და ფულის გარეშე რომ ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებელში;

უამრავი უნივერსიტეტისა და უმაღლესი სასწავლებლის არსებობის მიუხედავად, რატომ ვერ იღებენ ისეთ განათლებას, რომელიც მათ მომავალს ნებისმიერ ქვეყანაში გახდის გარანტირებულს, რატომ არ ჰყავთ სანდო, მცოდნე ლექტორები;

მილიარდიანი დახმარებების მიუხედავად, რატომ უჭირთ მათ მშობლებს, მეგობრებს, ქვეყანას;

რატომ ვერ მიდიან დასასვენებლად მზიურ აფხაზეთში ან, თუნდაც, ლაშქრობაში ლიახვის ხეობის მოსანახულებლად;

რატომ დადის უბიუჯეტო, მუდმივი დახმარებების მომლოდინე ქვეყნის მთავრობა ძვირადღირებული ჯიპებით, რომელიც 100 კილომეტრზე ერთი მოხუცის სამი თვის პენსიას ხვრეპს და მთავარი...

ამ ყველაფრის გამოსწორების იმედი კიდევ ექნებოდათ, მაგრამ 12 წლიანი დამოუკიდებლობის და დემოკრატიულობის ამბიციის ქვეყანა რატომ ვერ ატარებს ნორმალურ, სამართლიან არჩევნებს, რაც ყველა ზემოთჩამოთვლილ პუნქტს მოაწესრიგებდა.

ხელისუფლების ასახსნელია ისიც, რატომ ვერ ფარავენ აღფრთოვანებას ქართველი პოლიტიკოსები (რომელთა ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელიც უკვე წინა თაობაა) და რატომ უხარიათ, აშშ-დან ჩამოტანილი ინსტრუქციის გარეშე რომ ვერ ატარებენ არჩევნებს?

მიმართვა კი ასე უნდა მთავრდებოდეს:

ბავშვებო, ჩვენ თქვენ უკვე ველარ გიხსნით. თქვენ ისინი არა ხართ, რაც ჩვენ თქვენს ასაკში ვიყავით. თქვენ ყველაფერს ხედავთ. ჩვენ თქვენი აღზრდა არ შეგვიძლია, არაფერი გვაქვს თქვენთვის გადმოსაცემი... მიხედეთ საკუთარ თავს. ჩვენ უკვე ველარ მოგატყუებთ...

***

ეს მიმართვა არ დაიწერება. პირველი თაობის დემოკრატებს თავი კვლავ ყმაწვილურად უჭირავთ და შიგადაშიგ პრეზიდენტის მამაშვილურ დარიგებებსაც ისმენენ, თუმცა ამგვარი ურთიერთობებით სხვადასხვა დროს განცდილი სიმწარე ყოველ მათგანს ახსოვს... შეიძლება ოპოზიცია ოდესმე, ერთი დღით გაერთიანდეს კიდეც (თუნდაც ამერიკიდან ჩვენი პრეზიდენტის მეგობრის მიერ ჩამოტანილი კონსპექტის წასაკითხად), მაგრამ ამის გამო არც ერთი მათგანი არ იქნება ბედნიერი და ქვეყანაც ისევ გასცდება თავის გაჩერებას...

## სეპარატისტების მორიგი პროვოკაცია

თამარ კაციტაძე

საკურორტო სეზონის მოახლოების თუ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, აფხაზები ყველანაირად ცდილობენ, ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა შელამაზონ. არადა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ნადარეიშვილი იუწყება, იქ კრიმინალური სიტუაცია საგრძნობლად მწვავდება. ნადარეიშვილის მტკიცებით, ბოლო პერიოდში რამდენიმე აფეთქება და აფეთქების მცდელობის ფაქტია დაფიქსირებული: დაახლოებით, ერთი კვირის წინ ლიანდაგიდან გადავიდა მატარებელი, ამის შემდეგ მატარებელში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს. გასულ შაბათს დაუდგენელმა პირებმა გაგრაში ლიანდაგები ააფეთქეს, გუშინ კი ეშერაში, ნავთობაზაზე აფეთქების შედეგად, სამი ადამიანი დაიღუპა და ოთხმა სხეულის დაზიანება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ თამაზ ნადარეიშვილის მტკიცებით, ზემოთ დასახელებული ფაქტები გადამოწმებულია და რამდენიმე აფხაზურმა წყარომაც დაადასტურა, აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლება ყველა ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. იმ შემთხვევაში კი, თუ ავტონომიური რესპუბლიკიდან მკაცრად გასაიდუმლოებული ინფორმაცია გაიჟონება, როგორც ნადარეიშვილმა აღნიშნა, იქაური მთავრობა ცდილობს, ხელები ქართულ მხარეს შეაწმინდოს.

**„აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაცია აშკარად დაიძაბა, სეპარატისტული ხელისუფლება პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ყვლაფერში ქართული მხარის დადანაშაულებას ცდილობს,"** – ამგვარი კომენტარი გაუკეთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ, ბოლო პერიოდში სეპარატისტების მიერ ქართული მხარის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს.

აფხაზების მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაცია კი აშკარად საგულისხმოა და არ არის გამორიცხული, რომ მას შორს მიმავალი მიზანიც ჰქონდეს. სეპარატისტების მტკიცებით, აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა რამდენიმე დღის წინ გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში დააკავა საქართველოს მოქალაქე, ვინმე გიორგი ნანავა, რომელსაც თურმე დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოუჩინეს და რომელსაც აფხაზეთის ტერიტორიაზე რვა ტერაქტი უნდა განეხორციელებინა. ე.წ. აფხაზეთის უშიშროების მინისტრის გივი აგრბას განცხადებით, დაკავებული ნანავა ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმნის მკვიდრია და იგი ამჟამად სოხუმში უშიშროების სამინისტროს იზოლატორში ჰყავთ დაპატიმრებული. აგრბას მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეს დაკავებისას აღმოუჩინეს 1,5 კილოგრამი „პლასტიდი" და რვა მექანიზებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დეზინფორმაციით. **„ჩვენი მონაცემებით, გიორგი ნანავას აფეთქებები აფხაზეთის თავშეყრის ადგილებზე უნდა განეხორციელებინა, რისთვისაც მას 3 ათას დოლარს შეჰპირდნენ. მცირე შესვენების შემდეგ კი, ანალოგიური აქცია სოჭში ან ადლერში უნდა განეხორციელებინა"** – განაცხადა ჩვენთან საუბარში გივი აგრბამ. მისი თქმით, გიორგი ნანავამ დაკითხვისას აღიარა, რომ აღნიშნული აქცია ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ერთ-ერთ ძალოვან სტრუქტურაში დაიგეგმა. კერძოდ, როგორც დაკავებულს დაკითხვისას უთქვამს, აქციის უშუალო ორგანიზატორი აფხაზეთის უშიშროების მინისტრი ლევან კიკნაძეა. ნანავას სწორედ უშიშროების მინისტრთან გაუვლია კონსულტაციები. **„ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ კიკნაძემ პირადად შეუწყო ხელი ნანავას, რათა მას გადმოელახა ენგური და გულრიფშში ავტობუსით ჩასულიყო",** – აცხადებენ აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები.

აფხაზების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აქციის მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ შეიარაღებული დაჯგუფების „ტყის ძმების" ლიდერები ზაზა კაკულია და ვიაჩესლავ ბიგვავა.

აფხაზების მიერ გავრცელებული ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ კატეგორიულად უარყო. **„ნანავა 68 წლის არის. ჩვენ რომ ამგვარი ღონისძიების დაგეგმვის სურვილი გვქონოდა, დამერწმუნეთ, ახალგაზრდა ადამიანის მოძებნა ნამდვილად არ გაგვიჭირდებოდა. ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობაზე აფხაზები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებენ და მერე თვითონაც იბნევიან. მაგრამ სხვა გზა არ აქვთ. რომ აღიარონ - აფხაზეთში მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობააო, ეშინიათ, ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა პანიკაში არ ჩავარდეს. ამიტომაც აფხაზები ადანაშაულებენ ქართველებს. სინამდვილეში კი, ადგილი აქვს აფხაზებს შორის საქმის გარჩევას. აფხაზეთში ვითარება მკვეთრად დაიძაბა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობა გამწვავდა,"** –თქვა ჩვენთან საუბრისას თამაზ ნადარეიშვილმა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გუშინდელ ინფორმაციასთან უშიშროების მინისტრის, ლევან კიკნაძის კავშირს კატეგორიულად უარყოფს და მას აფხაზების ფანტაზიით ხსნის.

68 წლის ნანავას აფხაზები, სავარაუდოდ, ტერორიზმის ბრალდებას წარუდგენენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ქართული მხარე საეჭვოდ მიიჩნევს იმასაც, რომ აფხაზი სამართალდამცველები ქართველ კოლეგებთან კავშირზე არ გამოსულან და სხვა შემთხვევების მსგავსად, ერთობლივი გამოძიება არ უთხოვიათ.

## გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულს დღეს განაჩენს გამოუტანენ

გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას დღეს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს მოსამართლე ნანა გუგუნაშვილი განაჩენს გამოუტანს.

რამდენიმე კვირის წინ სახელმწიფო ბრალმდებელმა, პროკურორმა კახა მაჭავარიანმა თავის საბოლოო სიტყვაში ხურცილავასთვის სასჯელად 13 წლით პატიმრობა მოითხოვა.

ბრალმდებელმა დადასტურებულად მიიჩნია, რომ გრიგოლ ხურცილავამ გიორგი სანაიას განზრახ მკვლელობა ჩაიდინა და მანვე მოკლული გაქურდა — ჯიბიდან 150 ლარი ამოაცალა.

გრიგოლ ხურცილავას ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა, რასაც სექსუალური ძალადობა უძღოდა წინ. აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისთვის მაქსიმუმი 5 წლით პატიმრობაა.

განსასჯელმა საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ იგი ინანიებს დანაშაულს. ხურცილავას თქმით, მას არ უნდოდა გაემჟღავნებინა მკვლელობის მოტივი, თუმცა სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მას პოლიტიკური მკვლელობის შესრულებაში ადანაშაულებდნენ. **მედიანიუსი**

## გაქცევა ციხიდან

ქსნის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან მორიგი გაქცევა მოხდა. ამჯერად ციხის კედლები მსჯავრდებულმა ჯიმშერ სიმონიშვილმა დატოვა, ისე, რომ კოლონიაში მყოფმა პატიმრებმა და ბადრაგმა მისი გაუჩინარების შესახებ მოგვიანებით შეიტყვეს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, სიმონიშვილმა, რომელიც ძარცვის ბრალდებით იხდის ხუთწლიან სასჯელს, გუშაგის უყურადღებობით ისარგებლა და მთავარ დამცავ კედელზე ფიცრის გამოყენებით მოახერხა გადაძრომა.

სამართალდამცველთა გუშინდელმა მონდომებამ, გაქცეული პატიმარი დაეკავებინათ, უშედეგოდ ჩაიარა.

## ყაჩაღობისთვის ძებნილმა პოლიციელი მოკლა

ყაჩაღობისთვის ძებნილი, 34 წლის სოსო ჩარქსელიანის კვალს პოლიციელებმა სოფელ ბავარში, საკუთარ სახლში მიაგნეს და ალყაში მოაქციეს, თუმცა ძებნილმა ალყიდან თავის დაძრომა მაინც მოახერხა, ჩარქსელიანმა წინ დედა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი აიფარა და პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა.

წარუმატებელ ოპერაციას მსხვერპლიც მოჰყვა. ჩარქსელიანის ნასროლი ტყვიით ყელში დაიჭრა და ადგილზე გარდაიცვალა ლენტეხის პოლიციის ინსპექტორი, 24 წლის ლევან ლიპარტელიანი.

ლენტეხის პოლიციის უფროსის, ამირან კვირიკაშვილის ინფორმაციით, ჩარქსელიანი ყაჩაღური თავდასხმის გამო იძებნებოდა - მან მეზობელს თვალი ამოთხარა და 800 ლარი წაართვა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ჩარქსელიანმა რუსეთში წასვლა სხვა სახელითა და გვარით მოახერხა. საქართველოში იგი, დაახლოებით ერთი თვეა, ჩამოვიდა.

პოლიციელები ჩარქსელიანის კვალს ზემო სვანეთისა და სამეგრელოს ტყის მიმართულებით მიჰყვებიან. შესაძლოა, ის მარტო არ არის და თანამზრახველთან ერთად ცდილობს მიმალვას. **ექსპრესი**

# გატაცებულმა ესპანელებმა საქართველოში ჩვენება არ მისცეს

პირველი გვერდიდან

**ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესის დაკითხვის ოქმი:**

დავიბადე 1961 წლის 4 ივლისს ნილიადოლიდში. მამასთან ერთად მადრიდში ბიზნესი დავიწყე - საიუველირო ნივთების ყიდვა-გაყიდვით ვიყავი დასაქმებული. მოგვიანებით, მაღაზიას ანტიკვარული ნივთებიც მივამატე. ანტიკვარული ნივთების შესაძენად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ვმოგზაურობდი. თუმცა, ძირითადი წყარო სამხრეთ ამერიკა იყო. მალე საწარმო "სისტემ ოილ ქონტროლს" და ხუან კარლოს მარტინესთან ერთად საიუველირო საწარმო "ინიტრა ორო" შევქმენი. მადრიდში ახალი საიუველირო მაღაზია გავხსენი ხოსე ლუის კალდერონთან ერთად, რომელიც ბრილიანტების იმპორტს ეწეოდა. მორიგი ახალი საწარმო კი "ბრილ კოიმპ"-ის სახელით იყო ცნობილი.



ფრანცისკო როდრიგეს კაბალა და ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი.

ფრანცისკო - პაკო კაბალა ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობს. მან პარტნიორობა შემომთავაზა - საქართველოში ანტიკვარული ბრილიანტის და ლალის თვლებით მოოჭვილი ყელსაბამი იყიდება და უნდა დავითრიოთო. იგი დაუკავშირდა მადრიდელ პარტნიორს ალექსას. ალექსას ნამდვილი სახელი და გვარი არავინ იცოდა, იგი რამდენიმე პასპორტით სარგებლობდა. გატაცების დროს განაცხადა, რომ იყო არნალდო ორტა დუსარდო. სინამდვილეში მისი ნამდვილი გვარი მარკოსოსია... როდრიგეს კაბალა ხუან კარლოს მარტინეზის პარტნიორია კლუბ "პუჩო ჰაბანო"-ში, რომელიც საიუველერო მაღაზიის გვერდით მდებარეობს. კაბალა და ალექსა უკრაინაში ხის იმპორტს აწარმოებდნენ, შემდეგ პაკო კაბალა ანტიკვარული ნივთებით დაინტერესდა.

მე და პაკო თბილისში სასტუმრო "ლონდონში" დავბინავდით. სასტუმროში ალექსაც ცხოვრობდა, რამდენიმე მადრიდელ კრუპიესთან, არგენტინელ არქიტექტორთან და მადრიდელ მზარეულთან ერთად. "ლონდონში" ძირითადად ესპანელი ბიზნესმენები ბინადრობდნენ.

"ლონდონში" მცხოვრებმა უცხოელებმა იცოდნენ, რომ მე ანტიკვარული ნივთებით ვიყავი დაინტერესებული. ბრილიანტის ყელსაბამზე ორტა დუსარდოს და მამა-შვილ კობიაშვილებს ჰქონდათ ინფორმაცია. ყელსაბამის მფლობელთან კავშირზე მათ უნდა გავეყვანე. მამაშვილს გაუკვირდათ, რომ ალექსამ ადრევე მითხრა ბრილიანტის შესახებ.

როგორც ჩანს, ალექსას საქართველოში უფრო ფართო ასპარეზი ჰქონდა, ვიდრე სამშობლოში. იგი რაფაელ პომბრიეგოსთან, ფრანსისკო კარდენსა და რაფაელ ვინჩენსტთან ერთად კაზინოს აფინანსებდა. თუმცა, მას თბილისში ჩაეშალა დიდი ბიზნესი. ალექსა თბილისში ანტიკვარულ მაღაზიებში დამყვებოდა. მე ვიყიდე ორი სურათი და მოოქროვილი ბრინჯაოს საათი, რომელთა გატანა საქართველოდან ვერ მოვახერხე.

გატაცების ღამეს, ვახშმამდე, ალექსასთან ერთად საუნაში წავედი. ვერ ვისიამოვნეთ, რადგან ადგილები არ იყო. ამ პერიოდში ალექსამ ჩემი გამოტეხვა დაიწყო, ჩემი ოჯახით დაინტერესდა. მან იცოდა, რომ საიუველირო ნივთები მემკვიდრეობით მქონდა მიღებული.

ჩემი და პაკოს საქართველოდან გამგზავრების თარიღი ალექსამ, სულიკომ და მისმა შვილებმა იცოდნენ. მიუხედავად მეგობრობისა, ალექსამ პირობა ვერ შეასრულა და აეროპორტში ვერ გამაცილა. როდესაც ალექსას გაქრობით დავინტერესდი, ვერც გიორგი კობიაშვილმა და ვერც დაცვის წევრმა ვერ გამცა პასუხი. მივხვდი, ალექსამ ფანდი ჩაატარა. ალექსა პაკოს გაქურდვასაც აპირებდა.

2000 წლის 30 ნოემბერს ღამის 2 საათსა და 50 წუთზე გიორგი კობიაშვილმა სასტუმრო "ლონდონიდან" მე და პაკო ("მერსედესის" მარკის ავტომანქანით, მადრიდის ნომრებით) ჯერ მამის, სულიკო კობიაშვილის სახლში წაგვიყვანა, რათა მასაც გავეცილებინეთ. მე და პაკომ ალექსასგან ვიცოდით, რომ სულიკო ერთ-ერთი პოლიციის უფროსი იყო. ალექსას თქმით, იგი ესპანელებს ყოველთვის აცილებდა აეროპორტში. გატაცებამდე ორი დღით ადრე, მე, პაკომ, ალექსამ, მისმა საცოლემ, სულიკომ, მისმა ძმამ და ძმისშვილმა ერთად ვივახშმეთ. ალექსამ და სულიკომ ჩვენგან მოშორებით რაღაცაზე მოითათბირეს. რუსულად საუბრობდნენ.

უკანა სალონში მე და პაკო ვისხედით. აეროპორტის გზაზე, მარცხენა მხრიდან "ოპელის" მარკის ავტომანქანა წამოგვეწია და მძღოლს ანიშნა, მანქანა გააჩერეო. "ოპელიდან" პოლიციის ფორმაში გამოწყობილი, უნიღბო, შეიარაღებული ხუთი პირი გადმოვიდა. მათ ჩექმები ეცვათ, წელზე წითელი ქამრები ერტყათ. მე და პაკო მანქანიდან გადმოგვიყვანეს. სულიკო კობიაშვილმა მათ რაღაც გადაუჩურჩულა. თავდამსხმელებმა მამაშვილ კობიაშვილებს იარაღი წაართვეს. ამის შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდნენ. მე და პაკოს ინგლისურად დაგვიწყეს საუბარი და ბრილიანტები, ფული და თვითმფრინავის ბილეთები მოგვთხოვეს. თავდამსხმელებს 150 ათასი, 200 ათასი პესეტა მივეცით, ბრილიანტებზე უარი განვაცხადეთ, რადგან არ გვქონდა. თავდამსხმელებმა კობიაშვილებს ხელები შეუკრეს და "მერსედესში" ჩასვეს. ჩემი და პაკოს ჩემოდნები "ოპელში" გადაიტანეს.

პაკო მათ ინგლისურ-რუსულით შეეკითხა, ჩვენი გატაცება პოლიტიკურია, საქმიანი თუ "ეტას" მსგავსი დაჯგუფების მიერ მოწყობილი? მძღოლმა უპასუხა, ეს არის ეკონომიკური ხასიათის გატაცებაო. შემდეგ გამტაცებლებმა გაჩხრიკეს ჩვენი ჩემოდნები, წაგვართვეს მაჯის საათები, ხელზე ბორკილები დაგვადეს, თვალებზე ნიღაბი ჩამოგვაფარეს, ჩაგვსვეს მანქანაში და წაგვიყვანეს. მოგვიანებით მანქანა უდაბნოს მსგავს ადგილას გაჩერდა. "ტორომ" და სხვებმა მე და პაკო მანქანიდან გადმოგვიყვანეს და 100 მეტრი ფეხით გვატარეს. "ტორომ" ერთ-ერთი სახლის ეზო დაათვალიერა და შემდეგ მარანის ტიპის სახლში დაგვაბინავა. სახლში შესვლის შემდეგ ნიღბები ჩამოგვხსნეს, კისერზე ჯაჭვი შეგვაბეს და ხელებზე ბორკილი დაგვადეს. იქ 2001 წლის 23 ივლისამდე ვიმყოფებოდით.

მაიძულებდნენ, საჯარისო ბაზიდან მობილური ტელეფონით ძმისთვის დამერეკა. ზარს ჩემი მეუღლე პასუხობდა. იგი მამშვიდებდა, რომ გამოსასყიდ ფულს გამტაცებლებს გადავუხდითო. მე მას ვუთხარი, რომ სანდო პირია "შამსუდინი", რომელიც შუამავლობას გასწევს. პაკოც აიძულეს, მეუღლესთან იგივე მიზნით დაერეკა. რამდენიმე დღის შემდეგ გამტაცებლებმა მითხრეს, რომ ჩემი ძმა ლუისი უნდა შეხვდეს "შამსუდინს". ლუისი თბილისში ჩაფრინდა, მას "შამსუდინი" შეხვდა. თუმცა, გაუგებრობის გამო ლუისი უკან დაბრუნდა, ისე, რომ გამტაცებლებისთვის ფული არ გადაუხდია. ოჯახში რამდენჯერმე დამარეკინეს. გამტაცებლები მაიძულებდნენ მეთქვა, რომ პაკოს ყური მოაჭრეს. საუბრის დროს პაკოს სცემდნენ, რათა მისი ყვირილის ხმა ჩვენს ახლობლებს მოესმინათ. იგივეს აკეთებდნენ პაკოს საუბრის დროსაც. მე ოჯახის წევრებს ფულის გადახდას ვთხოვდი. გამტაცებლები ვიღაცას ურეკავდნენ და ინფორმაციას აწვდიდნენ. ამის შემდეგ გამოჩნდა ლევან კენჭაძე...

"კაპიტანი" თვითონ გვყარაულობდა. ცოტა ხანში გვითხრეს, რომ ჩვენს გათავისუფლებაში 2 მილიონი გადაიხადეს, რომ ელოდებიან ტელეფონის ზარს და ბრძანებას გათავისუფლების შესახებ.

"კაკომ" მე და პაკო ვიდეოკამერით გადაგვიღო. გვითხრეს, ეს მინისტრისთვის უნდათო. 26 ივლისს "კაპიტანმა" თავზე იარაღი მოგვადო და "პოლაროიდით" გადაგვიღეს სურათები,

გვითხრეს, რომ ოჯახებში გაიგზავნებოდა. იმ საღამოს "ფორდით" წაგვიყვანეს და დაახლოებით 4 საათის შემდეგ შევედით თბილისში, გარე დასახლებაში, კერძო დიდ სახლში, გზატკეცილთან ახლოს.

მოგვიანებით შემოვიდა "კაპიტანი" და აგვხსნა ბორკილები. გვერდით ოთახში დანარჩენი გამტაცებლები ისხდნენ. "კაპიტანს" ხშირად ურეკავდნენ. სამ დღეში აურზაური ატყდა და ჩვენ "გრანდ ჩეროკით" 75 წუთის სავალზე წაგვიყვანეს. თბილისიდან 60 კილომეტრის დაშორებით ორსართულიან სახლს მივადექით. პატარა ეზოში ფანტანი იყო, ხილის ხეები, ჩვენ სამი გამტაცებელი გვყარაულობდა. "კაპიტანი" და ერთი კაცი სახლის ტერასაზე იდგნენ. მოგვიანებით "კაპიტანი" დაგვიმეგობრდა. მისი თქმით, ჩვენ მოსაკლავად ტერორისტებმა გაგვიტაცეს, მაგრამ ჩეჩნებს ეს არ გვაწყობსო, გვითხრა. ჩვენ გვჭირდება ფული იარაღის შესაძენად, რათა რუსებს ვებრძოლოთო. თქვენი თავი ქართველებმა გადმოგვცეს მოსაკლავად, მაგრამ მე მკვლელი არ ვარ. ეს კენჭაძემ გააკეთა, ის ანტიტერორისტული დეპარტამენტის უფროსიაო. კენჭაძეს უთქვამს, რომ ჩვენ თითქოსდა ნარკობიზნესში დასაქმებული ებრაელები ვიყავით. შემდეგ გვკითხა, რა თანხის გადახდას შეძლებდა ჩვენი ოჯახები. ვუთხარით, რომ 500 ათასი დოლარის. "კაპიტანმა" გვითხრა, ალექსამ თითო ოჯახიდა 650 ათასი დოლარი შემოგვთავაზაო. ალექსამ შეიძლება ეს ფული აიღოს და დაიკარგოსო. "კაპიტანს" ალექსასთვის უთქვამს, ან გადაიხდი თანხას, ან ამათ დავხოცავო.

"კაპიტანმა" გვითხრა, რომ კავშირი აქვს "ეტა"-ს დაჯგუფებასთან. ამ დროის მანძილზე თანხის გადაცემას ხან გერმანიაში, ხან საბერძნეთში ითხოვდნენ. ახალ შუამავალზე ჩემს მეგობარ ხოსე ლუის კალდერონზე გავიდნენ. მე დავურეკე კალდერონს და ვუთხარი, რომ ენახა ჩემი და პაკოს მეუღლეები, მოელაპარაკათ და გამტაცებლებისთვის ფული გადაეცათ. მომდევნო დღეს "კაპიტანმა" გვითხრა, შესაძლოა ხელისუფლებამ 2 მილიონი გადაიხადოს, ფულის გადაცემა საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარზე მოხდებაო. 9 აგვისტოს შუადღეს, "ფორდის" ტიპის მიკროავტობუსში იატაკზე დაგვსვეს, ნიღბების გარეშე, გავიდნენ გზატკეცილზე. 60-80 კმ-ის გავლის შემდეგ კვლავ თბილისში ჩამოვედით. ქალაქის შესასვლელთან პოლიციამ გაგვაჩერა, მაგრამ მაშინვე გაგვიშვა. თუმცა, მალე გამტაცებლებმა დააფიქსირეს, რომ მათ პოლიციის მანქანა დაედევნათ. გამტაცებლები ერთ-ერთ სახლთან გაჩერდნენ. "კაპიტნის" ბრძანებით "გოთი" და "ნემო" მიკროავტობუსიდან გადავიდნენ. "კაპიტანმა" ტელეფონით ვიღაცას დაურეკა და მიკროავტობუსიც მაშინვე დაიძრა. მალე გამოჩნდა ლურჯი ფერის "ლექსუსი", რომელშიც "კახა" გადავიდა. რამდენიმე საათის შემდეგ ორსართულიან სახლს მივადექით და იქ დავბინავდით. მეორე სართულზე "კაპიტანს" ჩვენთან ერთად ეძინა. მეორე დღეს "ნაილსი" გვდარაჯობდა. "კაპიტანი" ღამით ტოვებდა ხოლმე სახლს და დღის 4 საათზე ბრუნდებოდა. მისი თქმით, გამოსასყიდის გადაცემა 15 აგვისტოს იყო დათქმული. თანხას ან საქართველოს ხელისუფლება გადაიხდიდა, ან ერთი მილიონერი ებრაელი, რომელიც ესპანეთში იმყოფებოდა და სანაცვლოდ ექსტრადიციას ითხოვდა. კაპიტანმა თქვა, ფული მე და კენჭაძემ უნდა გავიყოთ, მაგრამ კენჭაძეს აღარ მივცემ, რადგან მომატყუაო. 16 აგვისტოს სამალავი კვლავ შეგვიცვალეს. "ლექსუსით" გადაგვიყვანეს სხვა სახლში. გარშემო მთები იყო. "კახამ" თქვა, ჩემი სახლიაო. სახლი მშენებლობის პროცესში იყო. "კაპიტანი" გაღიზიანებული იყო და კარის ყოველ გაღებაზე იარაღს იმარჯვებდა. მეორე დღეს სხვა მდიდრულ სახლში გადაგვიყვანეს, სადაც სამი დღე გავატარეთ. "კაპიტანმა" მიბრძანა, რომ დამერეკა ძმისთვის - ნაჩოსთვის და მეთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტზე ზეწოლა მოეხდინათ, ეთქვათ, რომ დამნაშავე კენჭაძეა, რომ ქვეყნის ყველაზე დიდი ტერორისტი ისაა. თუმცა, საუბარი ვერ შედგა.

მოგვიანებით საჯარისო ბაზაზე ჩაგვიყვანეს. ორსართულიანი იყო. იქ გოგირდის სუნი იდგა. მაღლა სართულზე დღეში სამჯერ ლოცულობდნენ. მე და პაკოს კიდევ დაგვარეკინეს მეუღლეებთან. პაკოს მეუღლემ განაცხადა, რომ უკვე გადაიხადეს 250 ათასი დოლარი და დარჩათ 50 ათასი. 4 სექტემბერს "კაპიტანმა" 200 მეტრის დაშორებით ცხენების სადგომში გადაგვიყვანა, სადაც 24 ნოემბრამდე ვცხოვრობდით. იქ გავიგეთ, რომ ფული მთლიანად გადახდილი იყო, მაგრამ ის გამტაცებლებამდე არ მისულა. არადა, თურმე ივნისის თვეში, ალექსამ ჩემს ძმას 1 მილიონი დოლარი მოსთხოვა. "ნაილსს" და მის უფროსს სურდათ ალექსასთან შეხვედრა იმის გასარკვევად, რომ გაეგოთ, სად წავიდა მილიონი დოლარი.

შოთა ჭიჭიაშვილი გვეუბნებოდა, რომ გატაცების ორგანიზატორი ლევან კენჭაძე და ალექსა იყვნენ. "კაპიტანი" - შოთა ჭიჭიაშვილი, რომელსაც პაკოს საათი ეკეთა, უზომოდ განათლებული, ნიჭიერი, ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი იყო. როგორც ამბობდა, ძალიან ნაწყენი იყო ლევან კენჭაძეზე, რადგან მას არასწორი ინფორმაცია მოუწოდებია ჩვენს შესახებ. "კაპიტანს" გატაცებული ჰყავდა ორი ინგლისელი ჟურნალისტი, მათი გათავისუფლების სანაცვლოდ ხელისუფლებას შეწყალება მოსთხოვა. ასევე, ჭიჭიაშვილმა მოკლა 12 პოლიციელი და ქალი, რომელსაც მისი ძმის სიკვდილს აბრალებდა. ის ყვებოდა, რომ ვიღაც რუსმა ულტრამილიონერმა ექსტრადიციაში ფული გადაიხადა. გამტაცებლები "კაპიტანს" "ემირსაც" უწოდებდნენ. "კაპიტნის" დედა ჩეჩენია და მუსულმანი. "კაკო" "კაპიტანზე" ამბობს, რომ მას გატაცებული ჰყავდა კაცი, რომლის შვილიც ცოლად შეირთო და მისგან ბიჭი ეყოლა. ამ ამბის შემდეგ გაეყარა და მოსკოვში ცხოვრობს. მოგვიყვნენ, რომ "ნაილსმა" "კაპიტნის" დავალებით გაიტაცა ბერი. სწორედ "კაპიტანმა" დაგვაწერინა წერილი, რომ ცოცხლები ვიყავით. გარდა შოთა ჭიჭიაშვილისა – "კაპიტნისა" - ჩვენ გვმეთვალყურეობდნენ:

"კახა" - რიჟა თმით;

"ნაილსი" - იგივე "მაიკოლო", კოჭლი, ყოფილი პოლიციელი, რომელიც რუსეთის პასპორტით გადაადგილდებოდა;

"ნემო" – "კაპიტანის" თქმით, ის მოგვიანებით პოლიციამ მოკლა;

"ხოსუ" – "კაპიტნის" და "გუტერის" მეგობარი, რომელსაც გულ-მკერდის არეში ტატუირება ჰქონდა გაკეთებული, ის ციხიდან იყო გამოქცეული;

"გოთი" – პოლიციამ ის საკუთარ სახლში, ტუალეტში ააფეთქა. ამ აფეთქების დროს ჩვენ სოფელ ომალოში, "გოთის" სახლის სიახლოვეს ვიყავით დატყვევებული;

"კაკო" - რომლის მამა და ძმაც მოსკოვში ბიზნესმენები არიან, ის "სანის" ბიძაშვილია.

გამტაცებლები ინტერპოლით იძებნებოდნენ. ყველანი სურათებზე ამოვიცანი.

ცხენის სადგომიდან "თემურმა", "მამუკამ", "შოთამ" "ლადას" ტიპის მანქანით სამალავი შეგვიცვალეს. საჯარო ნაწილში გადავბარგდით. დაგვპირდნენ, რომ 5 დღეში გაგვათავისუფლებდნენ. 7 დეკემბერს სოფლის მოშორებით, ბოსელში მიგვიყვანეს, მოგვცეს ბანაობისა და გაპარსვის ნება, რადგან უკვე ყოველ წუთს ელოდნენ ფულს და, შესაბამისად, ჩვენ უნდა გავეთავისუფლებინეთ. ჩვენთვის ახალი ტანსაცმელიც კი მოიტანეს, თუმცა, ფეხებზე მაინც ბორკილები გვედო. მეორე დღეს "კაკომ" გვახარა, რომ ჩვენ სამშობლოში დავბრუნდებოდით.

3 კმ-ის გავლის შემდეგ "ლადაში" გადაგვიყვანეს. 15 წუთის შემდეგ, მანქანა გაჩერდა და 20 წუთის განმავლობაში ლოდინმა მოგვიწია, ვიღაცას ელოდებოდნენ. შემდეგ გაგვათავისუფლეს. მიგვიყვანეს შსს-ში და სამედიცინო დახმარების შეთავაზების შემდეგ სასტუმროში წაგვიყვანეს. მეორე დღეს დაკითხვაზე მიგვიწვიეს, მაგრამ ჩვენება არ მივეცით.

ჩვენებას ხელს აწერს ესპანეთის უშიშროების მინისტრი, პოლიციის უფროსი და მდივანი.

*საინფორმაციო სააგენტო "ექსპრესი"*

**რედაქციისაგან:** ხვალიდან შემოგთავაზებთ ესპანელი ბიზნესმენების ჩვენებების ერთგვარ "გაშიფრვას" და იმ პირების კომენტარებს, რომლებზეც მინიშნებით თუ პირდაპირ არის საუბარი ჩვენებებში.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია სომხეთის საკასაციო სასამართლოს ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს. ღონისძიებას დაესწრება სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი, სომხეთის სასამართლოთა თავმჯდომარეების საბჭოს წევრები, იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი, უშიშროების სამსახურის უფროსი, გერმანელი და სხვა სტუმრები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდი დიღმის დასახლებაში გუშინ 50-55 წლის უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გარეგნული დათვალიერებით, გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გაემგზავრება, სადაც თავის ირანელ კოლეგასთან უკანონო მიგრაციისა და ნარკოტიკების ბრუნვის წინააღმდეგ კოორდინირებული მოქმედების საკითხებს განიხილავს. სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველოსათვის ცნობილია ნარკოტიკების ტრანსპორტირების იმ გზის შესახებ, რომელიც გადის ავღანეთზე, აზერბაიჯანზე, საქართველოზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორ კვირაში ვაზიანის სამხედრო ბაზაზე "კომანდოს" ბატალიონის კაპრალის მამუკა ხუროშვილის საჩვენებელი სასამართლო პროცესის გამართვა იგეგმება.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება სამხედრო, და მათ შორის - ელიტური ნაწილებიდან ჯარისკაცთა გაქცევის ფაქტების გახშირებამ გამოიწვია. კაპრალი მამუკა ხუროშვილი დეზერტირობისთვის იძებნებოდა და იგი პოლიციამ საგარეჯოში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, დაახლოებით, ორი კვირის წინათ დააკავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისან-სამგორის რაიონში 88-ე საშუალო სკოლის სახურავის პარაპეტი სიძველის გამო ჩამოინგრა. როგორც განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ ძოწიაშვილმა განაცხადა, 1936 წელს აშენებული 88-ე საშუალო სკოლა ავარიულია და იგი მესამე კატეგორიას მიეკუთვნება. სკოლაზე ბზარები შარშანდელ მიწისძვრამდეც შეინიშნებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების სამინისტრომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, I-IX კლასის ჩათვლით, სასკოლო და დამხმარე ალტერნატიული სახელმძღვანელოების კონკურსი 2004-2005 სასწავლო წლისთვის უკვე გამოაცხადა. როგორც განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსი ლია შალვაშვილი აცხადებს, კონკურსი იმ "ალტერნატიული სახელმძღვანელობის" გამოვლენას ისახავს მიზნად, რომლებიც წინა კონკურსებში გამარჯვებულ, "უალტერნატივო სახელმძღვანელოებს" "შეეცილებიან" საგანმანათლებლო პროგრამაში დასამკვიდრებლად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, ივლისის პირველ რიცხვებში ფინანსთა სამინისტრომ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ცენტრალური ბიუჯეტიდან 3 მილიონი ლარის ოდენობის ტრანსფერი გადაურიცხა. 1 ივლისამდე ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმოსაცემ ტრანსფერში გარღვევა 17 მილიონ ლარს აღწევდა. მიუხედავად ამისა, პროგრამების დაფინანსებაში წლეულს ექვს თვეში გარღვევა 32 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან 60 პროცენტი გაუცემელი პენსიებია, დანარჩენი - ჯანდაცვის და სხვა პროგრამებში არსებული გარღვევაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის განცხადებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს წარუდგინეს სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც წინა წლების საპენსიო დავალიანების შიდა ვალში აღებას და ფასიანი ქაღალდებით მომსახურებას ითვალისწინებს. ფონდმა წინა წლების საპენსიო დავალიანების ფასიანი ქაღალდებით დაფარვის წინადადებას მხარი დაუჭირა. აღნიშნულ კანონპროექტში გაწერილი იქნება 2001 წლამდე დაგროვილი 89 მილიონი ლარის დავალიანების სამი წლის განმავლობაში დაფარვის მექანიზმი და დადგინდება შესაბამისი საპროცენტო ანარიცხი. დავალიანების დაფარვის სისტემის შემუშავება ორ თვეში დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში განახლდა თბილისის მერიის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ჯულული ახვლედიანისა და თბილისის საკრებულოს შორის წარმოქმნილი სასამართლო დავის განხილვა. ჯულული ახვლედიანის ადვოკატის ომარ დგებუაძის განცხადებით, თბილისის საკრებულომ სასამართლოს სხდომას ყალბი ოქმი წარუდგინა, ასევე გაყალბებულია საკრებულოს წევრთა ის ხელმოწერები, რომლის ძალითაც ჯულული ახვლედიანს უნდობლობა გამოეცხადა. სასამართლო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ ტრადიციულად დედაქალაქის რამდენიმე ობიექტი მოინახულა. მისი განცხადებით, თბილისის მთავარ გამზირზე რამდენიმე შენობის ფასადის მოპირკეთებაზე შემოწირულობებით შემოსული 140 ათასი ლარი დაიხარჯა. რუსთაველის გამზირთან ერთად, უახლოეს მომავალში შენობების ფასადებს ალმაშენებლის გამზირზეც მოაპირკეთებენ. **მედია-ნიუსი**

უცხოეთი

## მშვიდობამდე ჯერ კიდევ შორია



"ალ-აქსას წამებულთა ბრიგადები" ბრძოლისათვის ემზადებიან

ლევან ღირსიაშვილი

პალესტინის ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრმა მაჰმუდ აბასმა, იგივე აბუ მაზენმა, ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან დღეს დანიშნული შეხვედრა გადადო. პალესტინის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ავტონომიის ხელმძღვანელობაში "შიდა კრიზისის" წარმოშობამ განაპირობა. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ამ შიდა კრიზისის მიზეზს მაჰმუდ აბასზე პალესტინის ლიდერის იასირ არაფატის და მისი დაჯგუფება "ფათხის" ზეწოლა წარმოადგენს. მათ შორის რომ ფარული მტრობა იყო, ეს არავისთვის გასაკვირი არ ყოფილა. ახლა კი, როგორც ჩანს, "საგზაო რუკის" რეალიზაციის საქმეში აბუ მაზენის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა, რაც, ძირითადად, ტერორისტული დაჯგუფებების მხრიდან ცეცხლის შეწყვეტაში გამოიხატა, არაფატის გაღიზიანება გამოიწვია. აბუ მაზენის პოპულარობის ზრდას და წარმატებებს იასირ არაფატი, რასაკვირველია, ვერ შეეგუება.

საერთაშორისო სააგენტოები, გუშინ კიდევ ერთი შიდაპალესტინური დაპირისპირების შესახებ იუწყებოდნენ. ამჯერად, საქმე რადიკალურ დაჯგუფება "ისლამურ ჯიჰადში" მომხდარ განხეთქილებას ეხება.

კერძოდ, გუშინ დილით, თელ-ავივთან ახლოს ქფარ-იაბეცის დასახლებაში მომხდარ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა "ისლამურმა ჯიჰადმა" აიღო თავის თავზე. ეს კი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ორგანიზაციის ამასწინანდელი განცხადების ავტომატურად გაუქმებას ნიშნავს. თუმცა, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ განცხადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, "ისლამური ჯიჰადის" ხელმძღვანელებმა ღაზას სექტორში განაცხადეს, რომ მათ ამ აფეთქებასთან არანაირი შეხება არ გააჩნიათ და საერთოდ არ აქვთ კავშირები მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მოქმედ მებრძოლებთან, რომლებიც "ისლამური ჯიჰადის" სახელით აკეთებენ განცხადებებს. ამასთანავე, დაჯგუფების ლიდერებმა აღნიშნეს, რომ "ისლამური ჯიჰადი" ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევას არ აპირებს.

თელ-ავივთან მომხდარმა აფეთქებამ სამშვიდობო პროცესზე მართლაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს. აფეთქების შედეგად 65 წლის ქალი დაიღუპა და მისი შვილიშვილები დაიჭრნენ.

თავდაპირველად ისრაელის სამართალდამცავები ბუნებრივი აირის გაჟონვის ვერსიას ამუშავებდნენ, რაც შემდეგში ექსპერტიზამ გამორიცხა.

უნდა ითქვას, რომ ეს ტერაქტი ადრე განხორციელებულთაგან სტილით განსხვავდება. ჩვეულებრივ, პალესტინელი კამიკაძეები აფეთქებებს ხალხმრავალ ადგილებში აწყობენ და არა კერძო საცხოვრებელ სახლებში, სადაც მსხვერპლი მინიმალური იქნება.

აღსანიშნავია, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ, პალესტინის გასამხედროებულმა ფორმირებებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთეს. თუმცა, მათ რიცხვს არ შეუერთდა "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადები." მათ მშვიდობის არ სჯერათ. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ თელ-ავივთან მომხდარი ტერაქტი სწორედ მათი ნამოქმედარი იყოს.

"ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" გარდა, სამშვიდობო პროცესს ახალი საფრთხე გამოუჩნდა. ეს პალესტინის ადმინისტრაციასა და "ისლამურ ჯიჰადში" წარმოქმნილი განხეთქილებაა. ამდენად, მშვიდობამდე ჯერ კიდევ შორია.

## „რუსეთთან სტრატეგიული კავშირი ჩვენი პრიორიტეტია"

პირველი გვერდიდან

- ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართეთ, თუმცა, მათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვეს. ასე რომ, სასურველ შედეგზე საუბარი ჯერ არ შეიძლება. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, ჩვენს ყველა არგუმენტს დაეთანხმა და არსებითად დაადასტურა, რომ არჩევნები გაყალბდა (ადგილი ჰქონდა ძალადობას, ოპოზიციის მომხრეების დაპატიმრებას და სხვ.). საკონსტიტუციო სასამართლომ რეკომენდაცია მისცა მთავრობას, რომ ხელისუფლებისადმი ნდობის თაობაზე რეფერენდუმი ჩაატაროს. რაც შეეხება ევროსასამართლოში გასაჩივრებას, ამას იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვეტ.

**- თქვენმა პოლიტიკურმა ბლოკმა "სამართლიანობამ", პროტესტის ნიშნად, პარლამენტის გამხსნელ სესიასა და მთავრობის დამტკიცებაში მონაწილეობა არ მიიღო. პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას მომავალშიც არ აპირებთ?**

- საპარლამენტო არჩევნები (საპარლამენტო არჩევნები სომხეთში 25 მაისს ჩატარდა - რედ. შენიშვნა) ისევე გაყალბდა, როგორც - საპრეზიდენტო არჩევნები. ბლოკმა "სამართლიანობამ" საპარლამენტო არჩევნები მოიგო და ოფიციალურ შედეგებს რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. თუმცა, ჩვენ არ მივიჩნევთ, რომ ბოიკოტი შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალია და ამიტომ სექტემბრიდან "სამართლიანობა" აქტიურ მოღვაწეობას დაიწყებს, რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივითაც გამოვა. რაც შეეხება პირველ სესიას, ჩვენ ამ ფარსში მონაწილეობის მიღებაზე, უბრალოდ, უარი ვთქვით. ეროვნული ასამბლეის ხელმძღვანელობის საკითხი წინასწარ გადაწყვეტილი იყო. ასე რომ, ამ "არჩევნებში" მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა.

**- რა კანონპროექტების წარდგენას აპირებთ პარლამენტში?**

- ჩვენი მიზანია სომხეთის საარჩევნო კოდექსის დახვეწა და რეფერენდუმის შესახებ კანონში შესწორებების შეტანა, აგრეთვე, სოციალურ სფეროში გარკვეული ცვლილებები. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ნდობის კრიზისის აღმოფხვრა და ლეგიტიმური ხელისუფლების შექმნა.

**- ეროვნულ ასამბლეაში შექმნილი ძალთა განაწილების გათვალისწინებით, რა რეალური შესაძლებლობები გააჩნია ბლოკ "სამართლიანობას"? აპირებთ თუ არა პარლამენტში სხვა პოლიტიკურ ძალებთან კავშირში შესვლას?**

- ბლოკი "სამართლიანობა" კონკრეტული საკითხების შესახებ სხვადასხვა ძალებთან სათანამშრომლოდ მზად არის. ბლოკის საპარლამენტო ფრაქცია, ვფიქრობ, ყველაზე კვალიფიციური და ავტორიტეტულია და ის ფაქტი, რომ ჩვენ უმცირესობაში ვართ, არ ნიშნავს, რომ ბლოკის შესაძლებლობები შეზღუდულია. ოღონდ, ჩვენი მოღვაწეობა მხოლოდ პარლამენტით არ იქნება შემოსაზღვრული.

**- სომხეთში ნებისმიერ სერიოზულ პოლიტიკოსს ყარაბაღის პრობლემის მოგვარების თავისი ხედვა უნდა ჰქონდეს. თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას სომხეთმა მოლაპარაკებების ჩიხიდან გამოსაყვანად? თქვენი მოსაზრება ყარაბაღის მომავალი სტატუსის თაობაზე.**

- ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონფლიქტის მოგვარება, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის მონაწილეობის გარეშე, არარეალურია. ყარაბაღი მოლაპარაკებების მონაწილე მხარედ უნდა იქცეს. ამ წლების განმავლობაში ეს ასე არ იყო, რაც დიდი შეცდომაა.

**- ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკაში რა შეცდომებს ხედავთ?**

- სომხეთის საგარეო პოლიტიკა ჩვენს ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. რუსეთთან სტრატეგიული კავშირი ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიგვაჩნია. ჩვენთვის, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაცია და მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება.

**- თქვენ მეზობლები ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, ყარაბაღის კონფლიქტის მოუგვარებლად, სომხეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება შესაძლებელია თუ არა?**

- მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენ მეზობლებთან ნორმალურ ურთიერთობებს ვუჭერთ მხარს, მათ შორის, თურქეთთანაც. მიგვაჩნია, რომ ეს შესაძლებელია, თუ თურქეთი პირობებს არ წამოგვიყენებს. ამასთანავე, ჩვენ ჩვენს წარსულზე უარის თქმა არ შეგვიძლია და ისტორიული სამართლიანობა უნდა აღდგეს.



"ჩვენ ჩვენს წარსულზე უარის თქმა არ შეგვიძლია"

**- რას გულისხმობთ "ისტორიული სამართლიანობის აღდგენაში" - მხოლოდ გენოციდის აღიარებას, თუ აქ ტერიტორიული საკითხებიც მოიაზრება?**

- პირველ რიგში, თურქეთში მცხოვრები სომხების გენოციდის აღიარება უნდა მოხდეს. მე ვიმედოვნებ, რომ, ადრე თუ გვიან, ეს მოხდება.

**- ამერიკის გავლენის ზრდა უარყოფითად ხომ არ აისახება სომხეთზე, რომელიც რეგიონში რუსეთის ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირეა?**

- რუსეთთან სტრატეგიული კავშირი ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს. ჩვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა. რუსეთისა და აშშ-ს ერთმანეთთან დაახლოება, ვფიქრობ, სომხეთისა და რეგიონის განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემო-პირობებს შექმნის.

**- სამხედრო სფეროს გარდა, რუსეთსა და სომხეთს შორის ძალზე მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს. "ქონება ვალის სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში რუსეთს სომხეთში უამრავი საწარმო გადაეცა, მათ შორის, ენერგოსექტორში. როგორ აფასებთ ამ პროცესს?**

- რუსეთთან ურთიერთობისას მხოლოდ "ქონება ვალის სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა არ არის აუცილებელი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია რუსეთთან ერთობლივი საწარმოების შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა.

## ავიაკატასტროფა სუდანში: ორი წლის ბავშვი სასწაულმა გადაარჩინა

გუშინ, დილის ოთხ საათზე, სუდანში სამგზავრო თვითმფრინავმა "ბოინგ-737" კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც ბორტზე მყოფი 105 მგზავრი და ეკიპაჟის ათივე წევრი დაიღუპა. სასაწაულებრივად გადარჩა მხოლოდ ერთადერთი მგზავრი - ორი წლის ბავშვი.

სუდანის ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადებით, "ბოინგ-737" სუდანის ავიახაზებს ეკუთვნოდა. თვითმფრინავი შიდა რეისს ასრულებდა - პორტ სუდანის აეროპორტიდან დედაქალაქ ხართუმში. კატასტროფამდე რამდენიმე წუთით ადრე, ეკიპაჟის მეთაურმა სადისპეტჩერო ცენტრს თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის შესახებ გადასცა ინფორმაცია. ბოინგი აეროპორტიდან ხუთ კილომეტრში უდაბნოში ჩამოვარდა. **"აფრენიდან რამდენიმე წუთში ეკიპაჟის მეთაურმა პრობლემების თაობაზე გვაუწყა და განაცხადა, რომ უკან - პორტ სუდანში ბრუნდებოდა. თვითმფრინავმა დაშვების დროს განიცადა კატასტროფა,"** - განაცხადა სუდანის ავიაციის მინისტრმა მოჰამედ ჰასან ალ-ბაჰიმ.

მთავრობის წარმომადგენელმა სალაჰ ალი აჰმედმა სუდანის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ სასწაულებრივად გადარჩენილი ორი წლის ბავშვი ამჟამად საავადმყოფოშია მოთავსებული და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

სუდანში ავიაკატასტროფები საკმაოდ ხშირად ხდება.

ერთი წლის წინ სუდანის ავიახაზების სატვირთო თვითმფრინავი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგუის საცხოვრებელ რაიონში ჩამოვარდა, რის შედეგადაც ბორტზე მყოფი 23 ადამიანი დაიღუპა. მათი უმრავლესობა ეკიპაჟის წევრები იყვნენ.

ორი დღის წინ კი, კატასტროფა განიცადა სუდანის სამხედრო თვითმფრინავმა ქვეყნის სამხრეთში, სადაც სამოქალაქო ომი ახლაც მიმდინარეობს. კატასტროფის შედეგად ბორტზე მყოფი სუდანის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და მის თანმხლები, მაღალი რანგის 13 ოფიცერი დაიღუპა.

1996 წელს ქვიშის ქარიშხლის დროს სუდანის სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა, რასაც 50-ზე მეტი მგზავრის სიცოცხლე შეეწირა.

თვალსაზრისი

# არჩილ გოგელია: ჩვენში კანონს უკანონობის ჩასადენად იყენებენ

### ქვეყანა ძნელად აღსაზრდელი ბავშვის მდგომარეობაშია, სიტუაცია ძალიან ჰგავს ზვიად გამსახურდიას მოსვლის წინა პერიოდს

*საქართველოში პოლიტიკა საბოლოოდ იქცა ყველაზე პოპულარულ თემად და ფეხბურთიც კი ჩამოიტოვა უკან. ერთი მხრივ, ეს მისასალმებელია, მეორე მხრივ - სამწუხარო, პოლიტიკით გატაცების მიუხედავად, ჩვენში ჯერ კიდევ ძალზე დაბალია არა მარტო მოსახლეობის, არამედ პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ ადამიანთა პოლიტიკური კულტურა. ამით მოხერხებულად სარგებლობს ნებისმიერი სახელისუფლებო თუ ოპოზიციური ძალა. ჩვენ საბოლოოდ ვიქეცით პოლიტიკური ლოზუნგებისა და დემაგოგიის სახელმწიფოდ. ეს არც ისე უწყინარი ფაქტია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ჯერ ერთი, ამან შესაძლოა ძალზე ცუდი სამსახური გაუწიოს მოახლოებული არჩევნების ნორმალურად ჩატარებას, აგრეთვე ქვეყანაში დესტრუქციული ატმოსფეროს განეიტრალებას. რას ფიქრობს ამაზე პარლამენტარი არჩილ გოგელია.*

**"24 საათი": ნოემბრის არჩევნებმა საქართველოს ბედი უნდა განსაზღვროს; იგულისხმება არა იმდენად წაგება-მოგება, არამედ გზა, რომელსაც უახლოეს წლებში ან შემდეგაც საქართველო უნდა გაჰყვეს. რას ფიქრობთ ქვეყნისათვის უაღრესად კრიტიკულ ამ პერიოდზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მომავალი არჩევნების ციკლს?**

**არჩილ გოგელია:** პროგნოზები საერთოდ უმადური საქმეა. მიუხედავად ამისა, ტრადიციას ვუღალატებ და ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ. შეულამაზებლად; შეურბილებლად; მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. პოლიტიკაში მიღებული არ არის საკუთარი აზრის მაქსიმალური გულახდილობით გამოთქმა. მე ამ აზრს ვეთანხმები, მაგრამ ამჯერად შევეცდები არ დავმალო ის, რასაც ყველა ხედავს, მაგრამ ბოლომდე არ ამბობს.

მეგობართა ვიწრო წრეში არაერთხელ მითქვამს, რომ ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია ძალიან ჰგავს ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლის წინა პერიოდს. ორიოდე სიტყვით განვმარტავ, როგორი იყო იმჟამინდელი სიტუაცია. თითქმის დაშლილი საბჭოთა კავშირი; კრემლის კონტროლისაგან თავისუფალი საქართველო; ყალყზე დამდგარი ქვეყანა; უმწეო ხელისუფლება; ჯანყის მძლავრ ტალღაზე ამხედრებული ეროვნული მოძრაობა; ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული ატმოსფერო; ანარქიისა და თავისუფლების ნაზავი; მოძრაობის ლიდერების წინააღმდეგობრივი, ხშირად კი ურთიერთგამომრიცხველი ნაბიჯები და გადაწყვეტილებები; პანიკაში მყოფი მთავრობა და ორ სკამზე მჯდარი მისი შეშინებული, დაბნეული, უნიათო წარმომადგენლები; ადვილად სამართავი მასა, გაბრუებული ანტისაბჭოთა, ანტირუსული, ზოგჯერ ანტიდასავლური ლოზუნგებით, მაგრამ გულწრფელად მიდრეკილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. უმართავი ვითარება - კანონის სრული უგულებელყოფით, კარებების აჭედვით, თვითმარქვია მსაჯულებით და ტრიბუნალებით, ნებისმიერი ავტორიტეტის დამხობის პათოსით... ეს იყო ისეთივე რევოლუცია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აზანზარებდა განვითარებულ თუ განუვითარებელ ქვეყნებს, ევროპელებს და აზიელებს, ამერიკელებსა და აფრიკელებს.

დღემდე ვერ შეთანხმებულან პოლიტიკოსები, ისტორიკოსები, ექსპერტები და ანალიტიკოსები, საბოლოო ჯამში რევოლუციას სიკეთე მეტი მოაქვს თუ უბედურება ქვეყნისა და ხალხისათვის. ნუ ჩავეძიებით ღრმად ამ თემას. იგი ძალზე მაგონებს კითხვას - ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ იმ პერიოდის რევოლუციის ყველაზე მთავარი შედეგი იყო - ეროვნული მოძრაობის გამარჯვება და საქართველოში კანონისა და კანონიერების... სრული დისკრედიტაცია. იქიდან მოყოლებული, საქართველო დღემდე თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ერთდროულად ითვლება ტოტალური უკანონობის ზონად. ქართველი და კანონი - ანტაგონისტურ ცნებებად იქცა.

**- ხომ არ გადავუხვიეთ კითხვას, რომელიც ნოემბრის არჩევნების ციკლს ეხებოდა?**

- თუ თვალს არ გავადევნებთ ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდებს, ვერც დღევანდელი კრიტიკული სიტუაციის სრულფასოვან და ობიექტურ ანალიზს შევძლებთ. კანონის დისკრედიტაცია საქართველოში, სხვა მოვლენებთან ერთად, ჩვენი გაუსაძლისი და მოუწესრიგებელი ყოფის უპირველესი მიზეზია. ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მტკიცებაში იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კანონმდებლობას არ ემორჩილებიან, გარკვეული, ოღონდ მხოლოდ გარკვეული ლოგიკა არსებობდა. მაგრამ კანონის უგულებელყოფა დამოუკიდებელ საქართველოში სისტემად და ტრადიციადაც კი იქცა. მეტიც: პარადოქსია, ნონსენსია, მაგრამ საქართველოში კანონს უკანონობის ჩასადენად იყენებენ. კანონმა საბოლოოდ დაკარგა ავტორიტეტი მოსახლეობაში. აქედან - უამრავი კონფლიქტი, დაპირისპირება, შეტაკება, მკვლელობა, ყაჩაღობა, რაც ჩვენი ყოველდღიურობის ტიპურ შტრიხებად იქცა. უკანონობამ კორუფციის ჭაობში ჩაითრია ხელისუფლების ყველა რგოლი და მასთან ერთად მოსახლეობის სხვადასხვა ფენა. უკანონობამ შვა სრული განუკითხაობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კორუფციისა და არჩევნების გაყალბების თემებს უკანონობის სინდრომი გინდათ ჩაანაცვლოთ?**

- კორუფციაც, არჩევნების გაყალბებაც, ბიუჯეტის ჩავარდნაც, ფინანსურ-ეკონომიკური კატასტროფაც და სხვა განსაცდელი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება დისკრედიტებულ კანონმდებლობას. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ საქართველოში ვერც ერთი დიდი თუ მცირე ოპერაცია და საქმე კანონის დაურღვევლად ვერ გაკეთდება. კლასიკური მაგალითი: პოზიციაც და ოპოზიციაც ერთმანეთს აბრალებს არჩევნების აშკარა ან ფარული გაყალბების სურვილს, გულის სიღრმეში კი ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ სწორედ არჩევნების გაყალბებით მიიღწევა გამარჯვება. უკანონობამ შვა გაუგონარი მასშტაბის დემაგოგია და უზნეობა: არჩევნების გამყალბებლები სხვებს აბრალებენ დანაშაულს, უპატიოსნო, მაგრამ ცბიერი და გაქნილი ადამიანები მცირერიცხოვან პატიოსან ხალხს უკითხავენ მორალს. სასამართლოსი დღეს არავის სჯერა, მისი რეფორმის ჩამტარებლებსაც კი. საზოგადოება და სახელმწიფო, ხელისუფლება და ოპოზიცია რაღაც არაბუნებრივ გაუცხოებისა და იზოლაციის მდგომარეობაში იმყოფებიან; თითქოს ერთ ქვეყანაში არ ვცხოვრობდეთ, ანდა ერთმანეთის მოსისხლე და დაუძინებელი მტრები ვიყოთ. ეს უკვე აღარაა კონფრონტაცია, აღარც დაპირისპირება და, მით უმეტეს, აზრთა სხვადასხვაობა; ეს გაცილებით მეტია: ესაა სამოქალაქო ომის წინა პერიოდი, ყოველ შემთხვევაში, ამ ეროვნული უბედურების მომასწავებელ გამოკვეთილ ნიშნებს საზოგადოება ამჩნევს. სავსებით ბუნებრივი და ნორმალურია ხელისუფლების დემოკრატიული, სამართლიანი და გაუყალბებელი არჩევნების გზით შეცვლა. ამ მიმართულებით მხოლოდ ერთადერთი გზაა მიუღებელი ერის ინტერესებისათვის - ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნება ან ხელისუფლებაში მოსვლა. თუ ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ დემოკრატიის გზაზე ვდგავართ, თუ სპექტაკლად არ მიგვაჩნია საყოველთაო არჩევნები, თუ კენჭისყრის შედეგს უნდა მივანდოთ, ვინ იქნება ხელისუფლებაში, ასეთ შემთხვევაში კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ ძალისმიერი დაპირისპირება და მთლიანად პოლიტიკურ სიბრტყეში გადავიტანოთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ბრძოლა. ეს მხოლოდ კეთილი სურვილია, რომელიც მარტო მე არ დამბადებია. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ პათოლოგიურ და უზნეო ადამიანს მოუნდება, არჩევნები აქციოს არა დემოკრატიულ პროცესად და ამომრჩევლის ნების გამოხატულებად, არამედ ყველაზე უარესად, რაც კი შეიძლება საქართველოს დაემართოს - სამოქალაქო ომად.

**- ხომ არ ვაუბრალოებთ არჩევნების პრობლემას? რატომ ვწინასწარმეტყველებთ თითქოსდა ფატალურ სამოქალაქო ომს? საერთოდ, არჩევნები გამოავლენს არა მარტო გამარჯვებულს, არამედ უფრო პროგრესულ პოლიტიკურ ძალას. რომელი მხარე მიაჩნია ამომრჩეველს გამარჯვების ღირსად?**

- პირადად ჩემი პოზიცია მარტივია: თავად ხალხს მივანდოთ არჩევანი. საზოგადოებამ ყველაფერი იცის ხელისუფლებისა და ოპოზიციის შესახებ; იცის კორუფციის, ხელფასებისა და პენსიების, დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ენერგეტიკის, დაუსჯელობის სინდრომის, სხვა უამრავი დიდი და მცირე მოუგვარებელი პრობლემის შესახებ; საზოგადოებამ იცის ისიც, რომ თვით წამყვან ოპოზიციურ ძალებსაც კი ვერ გამოუნახავთ საერთო პოზიცია ამა თუ იმ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხზე. ოპოზიიის სიჭრელე და პოზიციათა არაერთგვაროვნება პოლიტიკურ ეკლექტიზმს და შინაგან ურთიერთდაპირისპირებას წარმოშობს. ეს კი ამომრჩევლის თვალში ოპოზიციას მთლიანობაში ვერ აქცევს ბოლომდე სანდო ძალად. ოპოზიციის შეუთანხმებლობა და არაერთგვაროვნება, ადვილი შესაძლებელია, ხელისუფლებაში მისი რომელიმე ფრთის მოსვლის შემდეგაც გაგრძელდეს. ეს კი, როგორც ახლო წარსულის გამოცდილება მოწმობს, ძალზე საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნისთვის. ინტერვიუს დასაწყისში შემთხვევით არ მითქვამს, რომ ამჟამინდელი პერიოდი ძალზე მაგონებს ეროვნული მოძრაობისდროინდელ ოპოზიციური ძალების დაპირისპირებას. თუ რით დამთავრდა ეს კოლიზია, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის.

**- ერთადერთი, რის დეფიციტსაც დღეს არ ვუჩივით - პრობლემების რაოდენობაა. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ ეტაპზე მაინც ნოემბრის არჩევნებია, კერძოდ, გაუყალბებლობის გარანტიის უქონლობა...**

- ორივე მხარის დეკლარაციული განცხადებები იმის თაობაზე, რომ არჩევნები მაქსიმალურად დემოკრატიული, სამართლიანი და გამჭვირვალე უნდა იყოს, ლიტონ სიტყვებად დარჩება, თუ საამისოდ არ გამოიძებნა არჩევნების ჩატარების უმკაცრესი კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმი. უამისოდ დაუსრულებელი საპროტესტო გამოსვლებისა და არეულობების საფრთხე გვემუქრება.



არჩილ გოგელია: "თუ დასავლეთმა ხელი არ მოგვკიდა და გვატარა, თავად ამის თავი არა გვაქვს."

რადგან ორი მხარე, როგორც ჩანს, ვერ შეთანხმდება გაყალბების აღკვეთის სისტემის შექმნის თაობაზე, რადგან ერთ-ერთი გერმანული გაზეთის თქმით, ქართველები უტეხი სიჯიუტით გამორჩეული ხალხი ვართ და ყველაზე მეტად გვძულს სიტყვები კონსენსუსი ან კომპრომისი, იძულებული ვართ, ამ საკითხის გადაწყვეტაში მესამე ნეიტრალური მხარე ჩავრიოთ. პრინციპში ეს მხარე უკვე კარგა ხანია მონაწილეობს ჩვენს უშედავათო და შეურიგებელ პოლიტიკურ დაპირისპირებებში. უბრალოდ, საერთაშორისო თანამეგობრობის ფუნქციამ გაყალბების საწინააღმდეგო პროგრამის შემუშავებაში გაცილებით ფართო მასშტაბი უნდა შეიძინოს: რაც შეიძლება მეტი მიუკერძოებელი საერთაშორისო მეთვალყურე და ექსპერტი უნდა მონაწილეობდეს არჩევნების პროცესში თუნდაც იმიტომ, რომ ქართული არჩევნების ბედით სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ყველა დიდი სახელმწიფო და მთელი გარესამყარო.

საერთაშორისო თანამეგობრობა უზარმაზარ როლს ასრულებს ქართული პოლიტიკისა და ეკონომიკის პრობლემის შეფასებასა და გადაწყვეტაში. მაგრამ არსებობს საკითხები, რომლებსაც ქართველების გარდა ვერც ერთი სხვა ძალა ვერ მოაგვარებს. მაგალითად, თუ სასწაული მოხდა და ანტაგონისტურ პოლიტიკურ ბანაკებად დაყოფილი საქართველო რომელიმე თემაზე მაინც მოახერხებს შეთანხმების მიღწევას საერთაშორისო სამყაროს შუამავლობით, შეთანხმებები არამც და არამც აღარ უნდა დავარღვიოთ. ეს საბოლოოდ შეგვიქმნის მსოფლიოში ისეთი ქვეყნის რეპუტაციას, სადაც არც კანონები არსებობს და არც შეთანხმებების შესრულების სურვილი. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი შედეგითაც უნდა დამთავრდეს ნოემბრის კენჭისყრა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანამ რადიკალურად უნდა შეცვალოს თავისი განვითარებისა და მართვის სისტემა. ჩვენ ვდგავართ ისეთი არჩევანის წინაშე, რომელმაც უნდა დაგვანახოს, რომ მოდერნიზაციის გარეშე პოლიტიკურ ჭაობში დავრჩებით.

**- ალბათ ბეიკერის ვიზიტმა სერიოზული კორექტივები შეიტანა ნოემბრის არჩევნებისათვის კომპრომისული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში?**

- ჯეიმს ბეიკერის ამჟამინდელი ბლიც-ვიზიტი მესამე იყო ბოლო 11 წლის განმავლობაში. სამივე ვიზიტი შედეგიანი აღმოჩნდა და ძალზე წაადგა ახალგაზრდა სახელმწიფოს ზოგიერთი პრობლემის მოწესრიგებას. 1992 წლის გაზაფხულის ვიზიტი საქართველოში შევარდნაძის ჩაემოსვლის დასაწყისს დაემთხვა. მეორე ვიზიტისას ბეიკერი დაესწრო და სიტყვით გამოვიდა ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძალის - ახალშექმნილი მოქალაქეთა კავშირის ყრილობაზე. პარალელურად ბეიკერი მძლავრ ლობირებას უწევდა კასპიის ენერგომატარებლების პროექტებს. საერთოდ, ბეიკერს შეიძლება ეწოდოს პიროვნება, რომელსაც საქართველოსთვის მუდამ კარგი უნდა. ორიოდე სიტყვა იმის შესახებაც, რომ პოლიტიკურ ალტრუიზმს მუდამ აქვს საფუძველი და მოტივაცია. ბეიკერსა და შევარდნაძეს მაშინ მოუწიათ თანამშრომლობა, როცა მთავრდებოდა ცივი ომი, უძლურდებოდა ტოტალიტარული საბჭოთა მანქანა, ემხობოდა კომუნიზმი და შეერთებული შტატები მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფო ხდებოდა. სამართლიანად თუ უსამართლოდ, მოსკოვს დღემდე ვერ უპატიებია შევარდნაძისათვის მაშინდელი პროდასავლური პოზიცია. ამიტომ, როცა შევარდნაძე 1992 წლის მარტში ჩამოვიდა საქართველოში, პირველებმა, თანაც თბილისში ვიზიტით, მას სრული მხარდაჭერა აღუთქვეს ამერიკისა და გერმანიის საგარეო-პოლიტიკური უწყებების მეთაურებმა, ბეიკერმა და ჰანს-დიტრიხ გენშერმა.

ბეიკერის მესამე ვიზიტის შესახებ უკვე ძალზე ბევრი ითქვა და დაიწერა. არა მგონია, საჭირო იყოს, თანაც დაგვიანებით, უკვე ნათქვამის გამეორება. მე მხოლოდ ერთ ტიპურ გარემოებას მინდა შევეხო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პროექტი, რომელიც გაჯიუტებულ სახელისუფლებო და ოპოზიციურ მხარეებს ბეიკერმა „მიაღებინა", სხვათა შორის, მანამდე რამდენჯერმე განვიხილეთ ინტერფრაქციული ჯგუფის შეხვედრებსა და კონსულტაციებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერა და ვერ შევთანხმდით, თუ რატომ, არა მგონია, ამას განსაკუთრებული ახსნა-განმარტება სჭირდებოდეს: ისევ და ისევ ქართველ პოლიტიკოსთა განუკურნებელი დაავადების - კომპრომისის მიღწევის უუნარობის გამო, რაც ხშირად ძალზე ძვირად უჯდება ქვეყანას. არ ვიცი, როდის განვიკურნებით ან საერთოდ განვიკურნებით თუ არა ოდესმე ამ სენისაგან. ბეიკერმა რამდენიმე წუთში გადაწყვიტა საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების მექანიზმი, რასაც ჩვენ ამაოდ მოვანდომეთ თვეები. როგორც ჩანს, ქართულმა პოლიტიკამ სერიოზულად უნდა გადახედოს სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებთან დაკავშირებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტას. კერძოდ, საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებისათვის საჭირო არ უნდა იყოს ბეიკერის ან უცხოეთის სხვა მაღალი რანგის მოღვაწის საგანგებო ჩამოსვლა საქართველოში. ეს, ერთი მხრივ, მოწმობს როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის სრულ უმწეობასა და ელემენტარული კონსტრუქტივიზმის უქონლობას, მეორე მხრივ კი ქვეყანას ძნელად აღსაზრდელი ბავშვის მდგომარეობაში აყენებს. რა თქმა უნდა, ბეიკერის ვიზიტი მარტო საარჩევნო კომისიის პრობლემით არ შემოფარგლულა, ქართული სახელმწიფოს სხვა უმწვავესი საკითხების ანალიზსაც ითვალისწინებდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენ ისეთი სუსტი სახელმწიფო ვართ, რომ თუ დასავლეთმა ხელი არ მოგვკიდა და გვატარა, თავად ამის თავი არა გვაქვს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ფაბიო კაპელ-ომ, რომლის სახელსაც ბრიტანული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბოლო დღეებში „ჩელსის“ უკავშირებდნენ, უარყო ეს ხმები და განაცხადა, რომ მომავალ სეზონშიც სერია A-ში დარჩება. „ჩემთვის საპატიოა, რომ ინგლისელები ამ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის მწვრთნელის პოსტის დაკავებას მომაწერენ, მაგრამ იტალიიდან წასვლას არ ვაპირებ და ამჟამად მხოლოდ „რომაზე“ ვფიქრობ“, - განაცხადა ფაბიო კაპელომ.

**ფეხბურთი.** ჰოლანდიის „ფეიენოორდის“ თავდამსხმელი, პიერ ვან ჰიოდონკი თურქეთის „ფენერბახჩეში“ გადადის. ამ დღეებში ფეხბურთელი ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, ხოლო მისი ყოფილი კლუბი კომპენსაციის სახით მილიონ ევროს მიიღებს.

თურქეთში გააგრძელებს კარიერას ჰაკან შუქურიც, რომელიც წყვეტს ბრიტანულ კარიერას და სამშობლოში ბრუნდება. 31 წლის თავდამსხმელი „ბლექბერნიდან“ გადადის „გალათასარაიში“, რომელთანაც ფეხბურთელს უკვე გაფორმებული აქვს კონტრაქტი, თუმცა, დეტალები ჯერ უცნობია.

**კალათბურთი.** „ორლანდო მეჯიქის“ მცველი, დარელ არმსტრონგი გუშინ, ღამით, პოლიციელ ქალზე თავდასხმის ბრალდებით დააპატიმრეს. ინციდენტი მოხდა ორლანდოში, ერთ-ერთი ღამის კლუბის მახლობლად. არმსტრონგი იმან გააგულისა, რომ ტაქსის მძღოლმა მანქანა არ გაუჩერა. პოლიციის ოფიცერი ტერეზა ჯოინსი შეეცადა, კალათბურთელი დაეშოშმინებინა, მაგრამ არმსტრონგი პოლიციელს თავს დაესხა - ქალმა სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო. სპორტსმენი მას შემდეგღა გაათავისუფლეს, რაც პოლიციაში თავდებად „ბიძია სემი“ მიიყვანა - ეს ინციდენტი მას 1000-დოლარიან გირაოდ დაუჯდა.

**კალათბურთი.** 1 ივლისს ჰარი პეიტონი თავისუფალი აგენტი გახდა და იგი „მილოუკიში“ დარჩენას აღარ აპირებს. „ყველა ვარსკვლავის“ მატჩების 9-გზის მონაწილე თებერვალში „სიეტლიდან“ „მილუოკი ბაქსში“ გადავიდა. ამ გუნდში ყოველ მატჩში, საშუალოდ, აგროვებდა 19,6 ქულას და 7,8 შედეგიან გადაცემას რეგულარულ სეზონში, ხოლო 18,5 ქულას და 8,7 შედეგიან გადაცემას - პლეი-ოფში.

**ფორმულა 1.** დღეს „მაკლარენის“ ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, სრულ მზადყოფნაშია თუ არა ამ გუნდის კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ახალი ბოლიდი MP4/18, რომლის საქმეში ჩართვაც ძალზე გაჭიანურდა. ივარაუდება, რომ ამ მანქანას დიდი ბრიტანეთის გრან-პრიზე ექნება დებიუტი. თუმცა, ასეც რომ მოხდეს, MP4/18-ს ფორმულას არსებობის მანძილზე რეკორდულად მცირე ხანს მოუწევს ტრასებზე ყოფნა, რადგან „მაკლარენის“ შეფმა რონ დენისმა მსოფლიო ავტოსაზოგადოებას უკვე ამცნო, რომ ძალიან მალე მის გუნდს ახალი ბოლიდი, MP4/19 ეყოლება.

რონ დენისი: “ოთხშაბათს ბარსელონაში ჩავატარებთ MP4/18-ის ტესტებს და განვსაზღვრავთ, რამდენად მზად არის ეს ბოლიდი ბრიტანეთის გრან-პრიში მონაწილეობის მისაღებად. წინა ტესტებზე გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ სერიოზული არაფერი. რაც შეეხება MP4/19-ს, ეს მანქანა ფორმულა 1-ში მონაწილეობის მისაღებად სეზონის ბოლომდე იქნება მზად“.

**ჰოკეი.** „ფინიქსმა“ „შეზღუდულ თავისუფალ აგენტთან“, ლენდონ უილსონთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. 28 წლის მარჯვენა გარემარბმა „კოიოტების“ რიგებში გასულ სეზონში 31 მატჩი ჩაატარა, 14 ქულა (6+8) და 26 საჯარიმო წუთი დააგროვა. დანარჩენი დრო მას ტრავმის გამო გაუცდა. საერთოდ, უილსონის კარიერა NHL-ში 1993 წელს, „ტორონტოში“ დაიწყო, ბოლო სამი სეზონის განმავლობაში კი ეს ჰოკეისტი „ფინიქსის“ ღირსებას იცავს.

**ჰოკეი.** დღეს დომენიკ ჰაშეკმა „დეტროიტის“ ხელმძღვანელობა ოფიციალურად უნდა ჩააყენოს საქმის კურსში - აპირებს თუ არა აქტიურ სპორტში დაბრუნებას. ხვალ კი „ფრთების“ მენეჯერი, კენ ჰოლანდი ამ საკითხთან დაკავშირებით მცირე პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს.

ჩეხი მეკარის აგენტმა, რიჩ ვინტერმა განაცხადა, რომ ამჟამად ჰაშეკი ესპანეთის კურორტ მალიორკაზე ისვენებს, თუმცა, ორი დღის წინ მას ტელეფონით ესაუბრა და დარწმუნებულია, რომ მალე ჰაშეკს ისევ ვიხილავთ საქმეში. იმ შემთხვევაში კი, თუ დომინატორი საბოლოოდ უარს იტყვის აქტიურ კარიერაზე, „დეტროიტი“, რომელსაც 8 მილიონი დოლარი დაეზოგება, ამ ფულით ცენტრალურ თავდამსხმელს შეიძენს.

## კრივი

# ტაისონი + ბოთა + ვასილევი = კანდელაკს



ფრანსუა ბოთა



გიორგი კანდელაკი

ბოჩიტა ბუხაიძის ფოტო

გიგა გურასაშვილი

ცოტა ხნის წინათ ცნობილი პრომოუტერის ფრენკ უორენის ინტერნეტ-საიტი ქართველი პროფესიონალი მოკრივის, მძიმეწონოსანი გიორგი კანდელაკისა (23-0, 17 ნოკაუტი) და სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთას (44-4-2, 28 ნოკაუტი) დაპირისპირების ერთგვარი ანონსის თაობაზე იუწყებოდა. კერძოდ, უორენის საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 19 ივნისს, ვირჯინიის კუნძულებზე, ქართველ მოკრივეს სამხრეთაფრიკელ მოკრივესთან WBU (კავშირის) საჩემპიონო სარტყელი უნდა დაეცვა. ამ ინფორმაციის გადამოწმების არაერთი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, რადგან კრივის არც ერთი კალენდარი მათი შესაძლო დაპირისპირების თაობაზე არაფერს იტყობინებოდა. ეჭვი მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, რაც ინგლისური გაზეთი “სანდი მირორი”, კანდელაკისა და ბოთას ორთაბრძოლის ნაცვლად, მაიკ ტაისონისა და სამხრეთაფრიკელის მომავალ ორთაბრძოლაზე ამცნობდა მკითხველს. უფრო ზუსტად კი, “რკინის მაიკი” და ფრანსუა ბოთა 30 აგვისტოს ლას ვეგასში შეერკინებიან ერთმანეთს. იმავე გაზეთის თანახმად, მაიკ ტაისონისთვის სამხრეთაფრიკელთან ჩხუბი საკუთარ თავზე ერთგვარი დაკვირვება ექნება. ანუ, ტაისონი შეამოწმებს საკუთარ შესაძლებლობებს და ლენოქს ლუისთან შეხლამდე წაივარჯიშებს. ლუისთან ჩხუბს კი კრივის უგვირგვინო მეფე მომავალი წლის აპრილისთვის გეგმავს.

“ბოლო თვეებში მაიკს უსიამოვნებები შეემთხვა, მაგრამ თუ ჩვენი ბოლო საუბრის მიხედვით ვიმსჯელებთ, შემიძლია დავასკვნა, რომ მაიკს სერიოზულად განუზრახავს, რინგზე დაბრუნდეს და, რადაც უნდა დაუჯდეს, ლუისთან ორთაბრძოლის უფლება მოიპოვოს”, - “სანდი მირორის” მეშვეობით ვიტყობთ ლეგენდარული მწვრთნელის ფრედი როუჩის განცხადებას.

რაც შეეხება გიორგი კანდელაკს, იგი ირწმუნება, რომ მასა და ფრანსუა ბოთას შორის კავშირის საჩემპიონო სარტყელისთვის ორთაბრძოლა ნამდვილად იყო დაგეგმილი და მისი გამართვა არც ახლაა გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, როდესაც შევეხმიანეთ, გვითხრა, რომ 5 ოქტომბერს, მართლაც, უწევს ტიტულის დამცავი ორთაბრძოლა, მაგრამ ვინ იქნება მისი მეტოქე, ჯერჯერობით, ბოლომდე გარკვეული არ არის. ფაქტია, პირველ რიგში, თუკი ვინმესთან შერკინება მომიწევს, ეს რუსი ალექსანდრ ვასილევი უნდა იყოს, რომელთანაც მატჩ-რევანშით ვარ ვალდებულიო. მაგრამ არის მეორე ვარიანტიც, კერძოდ, ფრანსუა ბოთასთან იმავე ტიტულისთვის ჩხუბი. ეს - იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთაფრიკელსა და მხარეებს შორის მოლაპარაკება შედგაო.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით, ბოლომდე გარკვეული არაფერია. ერთადერთი ის არის ცნობილი, რომ 27 ივლისს კანდელაკს ერთგვარი მოსამზადებელი ჩხუბი ელის უკრაინელ შიშკოსთან.

## Tour de France

# თქვენი თხოვნით, მეგობრებო!

ირაკლი ბერიაშვილი



REUTERS

ბრენდონ მაკჭი და ბადენ კუკი რბოლის დაწყებამდე.

შეკვეთილი წერილების თაობაზე ბევრი ცუდი რამ მსმენია. მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირს ეს ყველაფერი. ჯერ ერთი, შეკვეთით წერა – ესე იგი, როცა არ გეწერება და უნდა დაწერო – ძალიან ძნელია. და მეორეც, იმასაც ამბობენ, შეკვეთილ წერილში კარგად იხდიანო. ეხლა ყველაფერ ამას თუ ერთად შევაგროვებთ, გამოვა, რომ ძნელი საქმის კეთებაში კაცმა შეიძლება ფული იშოვო. აგაშენა ღმერთმა - ეს ხომ ბუნებრივზე ბუნებრივია. ჰოდა, თუ ბუნებრივია, გადავწყვიტე, მოდი, მეც ვცდი-მეთქი. გავიფიქრე თუ არა, ჰოი, საოცრებავ, იქვე შეკვეთა არ მივიღე?! მართალია, გასამრჯელოზე ლაპარაკი არ არის - ჩემსავით გაფხეკილი ტიპია. დილით სამსახურში წინ რომ დამიჯდება, ისეთი თვალებით მიყურებს, სულ მგონია, პახმელიაზე გამოსასვლელად ორ ლარს მთხოვს-მეთქი. აბა, რა ფულზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. შეკვეთით კი შემიკვეთა. ველოსპორტი ჰყვარებია. ტურ დე ფრანსი. წითელყვითელი მაისურები და ასე შემდეგ. მეც რა მენაღვლება, რა ბროლის კოშკების აშენებასაც ის მთხოვს. მუქთად კი მომიწევს ქაქანი, მაგრამ მეც მიყვარს ეს ოხერი ტურ დე ფრანსი და, რაც არი, არი, შევუსრულებ თხოვნას, მით უფრო, რომ ამბობენ, კაი ბიჭიაო, კრუხივით დასტრიალებს თავის გოგოებს (თანამშრომლებს, რა), ფაშა არ მოუვლის ეგრე თავის ჰარამხანასო. და, საერთოდაც, ალალი კაციაო.

ყვითელი მაისურა, ჩემო ძვირფასო ახალშეძენილო მკითხველო, მთავარი მაისურაა ტურში. ეს ფერი იმისია, ვინც იმ მომენტში ლიდერობს საერთო ჩათვლას. ეს საერთო ჩათვლა კი, გავლილ ეტაპებზე დახარჯული დრო რომ შეკრიბო, ესე იგი, ჯამი რომ გამოიყვანო, ის არის. ვისაც ყველაზე ნაკლები გამოუვა, ყვითელ მაისურასაც ის იცვამს. სულ 21 ეტაპია. აი, ამ 21 ეტაპის, ანუ 3500 კილომეტრის გავლას ვინც ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს, ჩემპიონად გამოცხადდება და ჯილდოდ დაახლოებით 400 000 დოლარი გადაეცემა.

საჩემპიონოდ ათიოდე კაცი თუ გაიქაჩება და მაშ სხვებს რაღაო, იკითხავ. ეხლა სტიმულს რომ ეძახიან, შენ, ალბათ, იმას გულისხმობ. ნაღდი შეკითხვაა, მაგრამ, როგორ ფიქრობ, ოხერ ფრანგებს ეგ შეეშლებოდათ? სხვა ფერებიც არის – მწვანე, თეთრი. ერთი კი საერთოდაც ჭრელია – თეთრ ფონზე წითელი კოპლებით. ვინც მთებში ძაან იყოჩაღებს, იმას აცმევენ ხოლმე. მაგრამ ეხლა, ძალიან რომ არ დაგაბნიო, ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით მოგიყვები.

გადავიდეთ მწვანეზე. ნანახი გექნება და გეცოდინება კიდეც, რომ ეს დაახლოებით 200 კაცი ხან ვაკეზე მიუყვება გზას, ხანაც – მთებში. თუ ეტაპზე მაინცდამაინც დიდი აღმართ-დაღმართები არ არის, ეგეთს ვაკე-ეტაპს ვეძახით. ვაკე-ეტაპს პელოტონი ერთდროულად ამთავრებს. სულ ბოლოში, ფინიშთან, ყველაზე სწრაფები გამოიდებენ ხოლმე თავს. გამარჯვებულს, ფულადი ჯილდოსა და სახელის გარდა, განსაზღვრული რაოდენობის ქულებიც ერიცხება, მეორე ადგილზე გასულს - შედარებით ნაკლები ქულები და ასე შემდეგ. ვისაც აი, ასეთი ქულების რაოდენობა ყველაზე მეტი აქვს, 21 მწვანე მაისურასაც ის ატარებს. 21 ეტაპის ჯამში გამარჯვებული კი ტურ დე ფრანსის საუკეთესო სპრინტერად ცხადდება.

მწვანე მოვითავეთ და ეხლა კოპლებიანზეც ვთქვათ ორი სიტყვა. ტური, როგორც არ უნდა მიკიბმოკიბონ ორგანიზატორებმა, აუცილებლად გაივლის ალპებსა და პირენეებს. სხვათა შორის, ეს გავლაც მონაცვლეობით ხდება. შარშან რომ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დაიძრა პელოტონი, ჯერ პირენეები გაიარა, მერე - ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, ბოლოს კი, პარიზში შესვლამდე, - ალპები, წლეულს საათის ისრის მიმართულებით მოძრაობს. პარიზიდან გამოსული ჯერ ალპებში ავა, მერე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისკენ დაეშვება, ესპანეთის საზღვართან პირენეებს გაივლის და ატლანტის ოკეანის გასწვრივ პარიზისკენ აუყვება გზას. ჰოდა, ის მინდოდა მეთქვა, რომ ალპებსა და პირენეებში ვაკე ადგილები, მოგეხსენებათ, ცოტაა და პელოტონსაც, საშუალოდ, ხუთი-ექვსი დღე მთებში მოუწევს ხეტიალი. აი, სწორედ აქ გაირკვევა ტურ დე ფრანსის ერთ-ერთი მთავარი ნომინაციის - “მთის მეფის” ლაურეატის ვინაობა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ვაკე-ეტაპებზე, ნებისმიერ მთაზე პირველამსვლელს, - სულ ერთია, ეს მთა ეტაპის შუაში იქნება თუ ბოლოში, - წინასწარ განსაზღვრული ქულები ერიცხება. მთები სირთულის მიხედვით კატეგორიებად არის დაყოფილი - უმაღლესი, პირველი, მეორე, მესამე და ასე შემდეგ. ცხადია, უმაღლესი კატეგორიის მთაზე პირველამსვლელებს მეტი ქულა შეხვდებათ. ამ ქულების საერთო რაოდენობა განსაზღვრავს კიდეც “მთის მეფის” ტიტულის მფლობელს.

მრავალდღიანები და, კერძოდ, ტურ დე ფრანსი იმითაც არის გამორჩეული სპორტის სხვა სახეობებიდან, რომ აქ ადრეულ ასაკში რაიმე სერიოზული წარმატების მიღწევა საოცრად ძნელია. ყველა დიდი ველომრბოლი პირველ, ასე თუ ისე მნიშვნელოვან გამარჯვებებს, 25-26 წლის ასაკიდან ითვლის. ტურ დე ფრანსი რომანივით არის, ლაწირაკებს აქ არაფერი ესაქმებათ. თუმცა, ეს უკვე სხვა თემაა, შეკვეთა კი მაისურებსა და მაისურების ფერებს ეხებოდა.

დაბოლოს, თეთრი. ამ ფერის მაისურას საერთო ჩათვლაში საუკეთესო ბიჭობის ასაკის მრბოლი იცვამს. ესე იგი, იმათ შორის საუკეთესო, ვისაც 24 წელი ჯერ არ შესრულებია.

ესეც ასე. მგონი, მოვრჩი, მაგრამ რადგან მაისურებზე ვლაპარაკობთ, ისიც ვთქვათ, რომ ერთი გუნდის წევრებს ერთნაირი მაისურები აცვიათ. გამონაკლისი ზემოთ ნახსენები ოთხი შემთხვევაა. გუნდებს ერთიმეორისგან ნომრებითაც გაარჩევ. შარშანდელი ჩემპიონის ლანს არმსტრონგის გუნდს “US პოსტალს” პირველიდან მეცხრე ნომრამდე ერგო, მომდევნო გუნდს - თერთმეტიდან ცხრამეტამდე, იმის მომდევნოს - ოცდაერთიდან ოცდაცხრამდე და ასე შემდეგ. როგორც ხედავ, ნულზე დაბოლოებული ნომერი არ არსებობს. ერთიანზე დაბოლოებული კი იმათი კუთვნილებაა, ვინც გუნდის ცხრა წევრს შორის ყველაზე მაგარია, ესე იგი, ვინც საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძვის. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეს საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის მებრძოლი არავითარ შემთხვევაში არ არის სპრინტერი, მრბოლი, რომელსაც ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, პეპლებს ვეძახით.

აუუ! ამ კოლორების შერჩევადახარისხებაში კინაღამ დამავიწყდა, რომ მეორე ეტაპის შესახებაც უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ჩემს პარიზელ ემისარ ნინო პრიმასაც ეგრე უყურადღებოდ ვერ მივატოვებ. აი, ეხლა პირდაპირ იქიდან მირეკავს. სხვათა შორის, შენს გოგოებზე ნაკლები არაფრით არის და არც ურიგო რამეებს ჰყვება.

**ტექნიკური შედეგები**
**II ეტაპი. ლა ფერტ სუ ჟუარი - სედანი. 204 კმ.**

1. ბადენ კუკი (FDS, ავსტრალია) 5.06.33
2. ჟან პატრიკ ნაზონი (ჟან დელატური, საფრანგეთი) იგივე დრო
3. იან კირსიპუუ (Ag2r, ესტონეთი) იგივე დრო

**საერთო ჩათვლაში ბევრი არაფერი შეცვლილა**

### ნინო პრიმა

მეორე ეტაპი ლა ფერტ სუ ჟუარში იღებს სტარტს. იგი პარიზიდან საათის სავალზე, ილ დე ფრანსისა და შამპანის რეგიონების საზღვარზე მდებარეობს და ეკოლოგიურ სამოთხედ ითვლება. აქ უამრავი პარკი და ბაღია, ირგვლივ ყველაფერი მწვანეა. ამ მშვენიერ კურორტზე ისეთი იდილია სუფევს, ძნელი წარმოსადგენიც კია, თუ აქაურობას ოდესმე მძიმე ბრძოლები აქვს გადატანილი. გასულ საუკუნეებში ლა ფერტ სუ ჟუარი არაერთხელ ააოხრეს.

ფინიშზე კი ქალაქი სედანი ელოდება მეორე ეტაპს. ეს არის დიდი კულტურული ტრადიციებისა და ისტორიის ქალაქი. აქ მდებარეობს ევროპაში უდიდესი ციხესიმაგრე - სედანის მთავარი სიამაყე. სედანი ინდუსტრიული ქალაქია. მთელ საფრანგეთშია განთქმული აქაური ხალიჩები, რომლებიც “ტაპი პუან დე სედანის” ფაბრიკაში მზადდება. სედანში თავისი ოფისები აქვთ ისეთ დიდ ფირმებს, როგორებიცაა “სომერი”, “ჯენერალ მოტორსი” და “უნილინი”.

### ირაკლი

მეორე ეტაპი პირველის ტყუპისცალი გამოდგა, ოღონდ ერთი არსებითი განსხვავებით. თუ პირველ შემთხვევაში პელოტონიდან გაქცევა შეტევის სიაფანდი მცდელობა იყო, მეორე ეტაპზე უწვერულვაშო ორმა ბიჭმა ბოლომდე იბრძოლა. ერთი სადღაც 180-ე კილომეტრზე გატყდა, მეორეს კი, “ჟან დელატურის” ახალწვეულ ფედერიკ ფინოს, ორასკაციანი პელოტონი, რომლის თავში მონაცვლეობით რამდენიმე გუნდი მუშაობდა, ფინიშამდე სულ რაღაც ორ კილომეტრში წამოეწია. მართალი გითხრათ, ეს უაზრო, მეტიჩრული გამოხდომები, რომლებიც მეტწილად რეკლამას ემსახურება, ნერვებს მიშლის, მაგრამ პატარა ფრანგის საქციელს ამ კატეგორიაში ვერ გავიყვან. როგორც წესი, გაქცეულები, იგრძნობენ თუ არა, რომ მათი წუთები დათვლილია, ბედს შეურიგდებიან და ტემპს დააგდებენ ხოლმე. სულ უკანასკნელ მეტრებამდე, სანამ ზვავივით წამოსულმა პელოტონმა მართლა არ შთანთქა იაქესავით მარტო დარჩენილი მრბოლი, რაც ძალი და ღონე შერჩენოდა, ლამის გულის ამოვარდნამდე ებრძოდა მდევრებს...

ჩვენი, ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი “სერენადა” გამახსენდა.

ყოველი შემთხვევისთვის, დაიხსომეთ ეს სახელი - ფედერიკ ფინო.

## ფეხბურთი

# დალიე, პოლ, აუცილებლად დალიე!



გასკოინი ჩინელი პოლიციელის კეპით.

ნინო პირველი

ეს კაცი ერთ დროს ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავად ითვლებოდა. ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი წარმოიშვა და სადაც წარმატების მოპოვება სულაც არ არის იოლი, ყველა აღიარებდა პოლ გასკოინის ბრწყინვალე სათამაშო კლასს. მას შეეძლო, დევიდ ბექჰემზე უფრო სახელოვანი და ძვირად ღირებული ბრიტანელი სუპერვარსკვლავი გამხდარიყო, მაგრამ ყველაფერი ალკოჰოლის ზღვარგადასულ სიყვარულს შესწირა - ცხოვრებაც, კარიერაც და სახელიც. პოლი სვამდა და ჭირვეულობდა, კლუბებისა და ინგლისის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელები კი ბრაზობდნენ და გამოუსწორებელ “გაზას” წამდაუწუმ აჯარიმებდნენ - ხან დისკვალიფიკაციას მისცემდნენ, ხან კარგა გვარიან თანხას აწერდნენ, ხანაც გუნდიდან საერთოდ აძევებდნენ, მაგრამ პოლ გასკოინს არაფერი ეშველა. ალკოჰოლმა ფეხბურთს აჯობა, “გაზამ” ვერ შეძლო, ამ უდიდეს სისუსტეს გამკლავებოდა. თურმე იმიტომ, რომ, როგორც თვითონ აღიარებს, ეშმაკი ჰყავს შეჩენილი. “თავში ერთი პატარა, მახინჯი კაცი მიზის და გამუდმებით ტვინს მიღრღნის: ”დალიე, პოლ, აუცილებლად დალიე!” ვერ ვახერხებ მისგან თავის დაღწევას. განსაკუთრებით მიჭირს მასთან გამკლავება, როცა მარტო ვარ და გვერდით არავინ მყავს. მაშინ, მართლაც, იძულებული ვხდები, დავემორჩილო და დავლიო”, - თქვა გასკოინმა ინგლისურ გაზეთ “სანთან” საუბარში.

სწორედ ამ პატარა, მახინჯი კაცის გამო იყო, რომ გასკოინმა ინგლისში კარიერა ვერააწყო. ნაკრებშიც გაიფუჭა საქმე და იძულებული გახდა, საერთოდ წასულიყო სამშობლოდან და სადღაც შორს, ჩინეთის მეორე დივიზიონის ყოვლად უსახელო კლუბში ეცადა ბედი. ახლა პოლ გასკოინი 36 წლისაა. ამ ასაკში წარმატებული ვარსკვლავები უმაღლეს დონეზე თამაშს თავს ანებებენ და კატარის მსგავს ქვეყნებში მიდიან ბიუჯეტის კიდევ უფრო მეტად გასამდიდრებლად. გასკოინი კატარში არავის მიუწვევია. “ნავთობის სამოთხის” ზღაპრულად მდიდარ შეიხებს კაშკაშა სახელები სჭირდებათ და არა გასკოინის მსგავსი არშემდგარი ვარსკვლავები. “გაზას” ადგილი მხოლოდ ჩინეთის მეორე ლიგაში აღმოჩნდა. ფეხბურთელი დღეს უკვე უკმაყოფილოდ იხსენებს “განსუ ტიანმაში” გატარებულ დღეებს და ირწმუნება, რომ ჩინეთში აღარასოდეს დაბრუნდება. პოლ გასკოინს ახალი ცხოვრების დაწყება სურს. ის უკვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეშმაკთან ბრძოლაა საჭირო და პატარა, მახინჯ კაცუნას უსიტყვოდ აღარ უნდა დაემორჩილოს.

ჩინეთში “გაზა” იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ ლამის ყოველდღე მთვრალი იყო. ის თითქმის დაავადებული ჩაიყვანეს არიზონაში, სადაც ორი წლის წინათაც გადიოდა მკურნალობის კურსს. მაშინ ექიმების ყველა ცდა ამაო გამოდგა. გასკოინი მაინც ვერ გადაეჩვია სმას. ამჯერად “გაზა” უფრო მობილიზებულია და ძალიან უნდა, როგორმე დაძლიოს ეს წყეული ლოთობა. “მე ადრეც ვპირდებოდი ჩემს ოჯახს და მეგობრებს, რომ აღარასოდეს დავლევდი, მაგრამ ეს დაპირება გულიდან არ მოდიოდა. ახლა კი ვიცი, რომ ეს აღარასოდეს გამეორდება. ჩემს ცხოვრებაში მეტად აღარ გავეკარები სასმელს. მომბეზრდა ყოველ დილით დასიებული თვალებით და დამძიმებული თავით გაღვიძება”, - ამბობს გასკოინი.

ამჯერად ფეხბურთელის მცდელობამ შედეგი გამოიღო. გასკოინი შეურიგდა მეუღლეს, რომელთანაც გაშორებული იყო. შირლი და პოლი 1996 წელს დაქორწინდნენ, მაგრამ “გაზას” მძიმე ხასიათის გამო მხოლოდ ორი წელიწადი იყვნენ ერთად. 1998 წელს შირლიმ ფეხბურთელი მიატოვა. “წარმოიდგენს ვინმე, რომ ქორწინებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ შირლი სასტიკად ვცემე? ყოველთვის, როცა ამას ვიხსენებ, სირცხვილით ვკვდები. ეს შემთხვევა არასოდეს დამავიწყდება. თუნდაც აქედან ძალიან კარგად ჩანს, რა ფსკერზე ვიყავი დაშვებული”, - სინანულით ამბობს გასკოინი.

უკვე ორი თვეა, “გაზა” მეუღლესთან და შვიდი წლის ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობს. ფეხბურთის თამაშზეც ფიქრობს. ოღონდ არა ჩინეთში. გასკოინმა განაცხადა, რომ თანახმაა, უხელფასოდაც კი ითამაშოს რომელიმე ინგლისურ კლუბში. მთავარია, ხალხმა დაიჯეროს მისი გამოსწორება. “ფულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მინდა, ყველამ ნახოს, რომ პოლ გასკოინი ჯერ კიდევ ცოცხალია და ფეხბურთს ისევ კარგად თამაშობს”, - ამბობს გასკოინი.

## TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 9 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. “ინტერნასიონალი” - “ვასკო და გამა”
14:55 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. “ბაიერი” - “დინამო” (უკრაინა)
16:35 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. “ბეტისი” - “ბარსელონა”
18:15 “ფეხბურთი ა-დან წ-მდე”
18:45 “დარტყმა გოლისთვის”
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. “რეალი” - “პორტუ”
21:05 ესპანეთის ჩემპიონატი
22:35 “ფეხბურთი ა-დან წ-მდე”
23:05 “დარტყმა გოლისთვის”
23:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. “ინტერნასიონალი” - “ვასკო და გამა”
01:05 “ტოტალიზატორი”

**НТВ + СПОРТ**
11:00, 13:50, 17:00, 20:00, 22:05 პრეს-ცენტრი
11:15, 22:20 “ოლიმპის შვილები”
11:20, 14:05 აერობიკა
11:45 ველოსპორტი-შოსე. რუსეთის ჩემპიონატი
12:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური
12:50 “ვარსკვლავური სამშაბათი”
14:30 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი. “სლავების ღია თასი”. მეორე ნაწილი
15:20 ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში. მეორე ნაწილი
17:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები
20:15 როდეო. “Bull Riders”
21:00 კიეკუშინკაი კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
22:25 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. ფინალი. ს. უილიამსი - ვ. უილიამსი
00:30 პოკერი. “One Million Poker-2003. მეხუთე ნაწილი
01:15 ახალი ამბები
01:30 პოკერი. “One Million Poker-2003. მეექვსე ნაწილი

**EUROSPORT**
11:30 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
12:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
13:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
13:45 მძლეოსნობა. გრან-პრი ზაგრებში
15:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
16:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ფეხბურთი
23:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
23:15 გოლფი. ამერიკული PGA ტური
00:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით
00:30 აფროსნობა
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:30 ახალი ამბები
02:45 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
03:45 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
04:15 ახალი ამბები

## ავინიონი ყველა თეატრის დედაქალაქი

ავინიონის ფესტივალი, რომელიც 17 წლის მანძილზე ყოველწლიურად ტარდება საფრანგეთში, უცვლელ ადგილას და უცვლელი შთაგონებითა და სულით, ცნობილი რეჟისორის – ჟან ვილარის და მისი ახალგაზრდა თანამოაზრეების მიერაა დაარსებული. ავინიონი, ეს ის ადგილია, სადაც ადამიანს მთლიანად შეუძლია თეატრის სამყაროში ჩაიძიროს. ჟან ვილარმა იმას მიაღწია, რომ ავინიონში ყოველწლიურად ივლისის თვეში ერთგული მაყურებლის წინაშე იკრიბებოდნენ: ჟან ნეგრონი, ჟერმენ მონტერო, ალენ კუნი, მიშელ ბუკე, სილვია მონფორი, ჟანა მორო, დანიელ სორანო და მარია კაზარესი. 1951 წელს, მათ კინოში უკვე ცნობილი ჟერარ ფილიპიც შეუერთდა.

ამგვარად, ფესტივალი ფრანგული თეტრის განახლების და გადახალისების კერად, საინტერესო ხალხთან შეხვედრების და ზაფხულის კულტურული ღირსშესანიშნაობების უმთავრეს ცენტრად იქცა.

1951 წლის 17 ივლისიდან, სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის პოლიტიკის წყალობით და ჟან ვილარის საკმაო ყოყმანის შემდეგ, ეროვნული თეატრი სახალხო ხდება, ხოლო თავად ჟან ვილარი ფესტივალის ოფიციალური დირექტორი. რაც შეეხება ფესტივალს, იგი ეროვნული, სახალხო თეატრის განშტოება ხდება.

1963 წლამდე ავინიონის ფესტივალს და ეროვნულ, სახალხო თეატრს ერთი "პატრონი" ჰყავს, მაგრამ მოგეხსენებათ თეატრალები დიდხანს ვერ აიტანდნენ "რუტინას" და ერთ მშვენიერ დღეს ფესტივალში ცამეტმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. ამიერიდან ფესტივალი უკვე საერთაშორისო ხდება.

თეატრალური წარმოდგენების გარდა, ფესტივალის ადმინისტრაციას ხელოვნების სხვადასხვა სახეობებიც შემოაქვს – ცეკვა - 1966 წლიდან მორის ბეჟარისა და XX საუკუნის ბალეტის მონაწილეობით, კინემატოგრაფი - 1967 წლიდან ჟან-ლუკ გოდარის ფილმების ჩვენებით და ა.შ.

ამიერიდან ფესტივალის ორგანიზება და მისი გაძღოლა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, 1971 წელს კი, ჟან ვილარს გულის შეტევა ემართება და ფესტივალს სათავეში მსახიობი პოლ პუო უდგება. სამოცდაათიან წლებში ვილარის "შთამომავლები" – ჟორჟ უილსონი, მარსელ მარეშალი, გაბრიელ გარანი, გი რეტორე, ბენო ბესონი ბობ უილსონის, არიან მნუშკინის, პიტერ ბრუკის და ანტუან ვიტეზის სპექტაკლების წარმოდგენით ახალ ესთეტიკას ქმნიან. გარდა ამისა, ფესტივალი სულ უფრო იკრებს ძალებს, ფართოვდება და საინტერესო ხელოვანებთან შეხვედრების, გამოფენების კონცერტების საერთაშორისო არენად გადაიქცევა.

1980 წლიდან ფესტივალის ისტორიის მანძილზე კვლავ სიახლეს აქვს ადგილი, სახელმწიფო წყვეტს მის სუბსიდირებას, ამგვარად საჭიროა უფრო მეტი საინტერესო ღონისძიების ორგანიზება და ფესტივალიც თავის სათავეში ახალგაზრდა კაცს – ადმინისტრატორ ბერნარ დ`არსიეს ნიშნავს. ამგვარად ფესტივალი უკვე დამოუკიდებლობას იძენს და მის წიაღში ახალი თაობა იკიდებს ფეხს – ჟან-პიერ ვენსანი, ჟორჟ ლავოდანი, ჟერომ დეშამპი, მანფრედ კარჟე, პინა ბოში და სხვანი. თუკი ვილარმა ფესტივალი ცეკვით და მუსიკალური თეატრით გააფართოვა და გადაახალისა, ფევრ დ`არსიემ ავინიონში საინტერესო გამოფენებს, შეხვედრებს და დებატებს ფართოდ გაუღო კარი.

რაც შეეხება წლევანდელ ფესტივალს, რომლის ჩატარებას გარკვეული საფრთხე დაემუქრა, 8-დან 28 ივლისის ჩათვლით მაინც შედგება. როგორც თექვსმეტი წლის მანძილზე ფესტივალის უცვლელმა ადმინისტრატორმა ბერნარ ფევრ დ`არსიემ განაცხადა, იგი ყველა ღონეს იხმარს რათა ფესტივალს ჩაშლის საფრთხე არ დაემუქროს და არანაირად არ შეფერხდეს. ამჟამინდელი ფესტივალი იმავე ფინანსური სახსრებითა და ტექნიკური საშუალებებით ჩატარდება, როგორც წინა წლებში. ფესტივალზე მაყურებელი ისეთ ისტორიულ ხალხს შეხვდება როგორებიც არიან: არიან მნუშკინი, პიტერ ბრუკი, ვალერ ნოვარინა, დიდიე ბეზასი, ბარტაბასი, ერიკ ლაკასკადი, ტომას ოსტერმეიერი, სტანისლას ნორდეი, ანჟელინ პრელჟოკაჟი, ჟანკლოდ გალოტა და სხვები.

ფესტივალის პროგრამა კი საკმაოდ დატვირთულია – თეატრი, ცეკვა, ლექციები, შეხვედრები, კინო, დებატები, კონფერენციები, გამოფენები, პროფესიონალთა დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სხვა საინტერესო მოვლენები.

სიახლე გახლავთ ფესტივალზე წარმოდგენილი თანამედროვე დასები პოლონეთიდან (კშიშტოფ ვარლიკოვსკი და კრისტიან ლუპა) და ლიტვიდან (გინტარას ვარნასი და ოსკარას კორსუნოვას).

ასე რომ, ავინიონის ფესტივალზე ჩასული ხელოვნების მოყვარულები იმდენი საინტერესო მოვლენის მოწმენი გახდებიან, რომ მათ მოწყენა ნამდვილად არ უწერიათ.

## 34 მხატვრის 241 ნახატი

თამარ სუხიშვილი

დიდი ხანია ეროვნულ გალერეაში ასეთი გამოფენა არ გამართულა. გუშინ აქ ორი ექსპოზიცია გაიხსნა, ამ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ხელოვანის - გურამ გაბაშვილის პერსონალური გამოფენა და ჯგუფური გამოფენა, რომელიც გურამ გაბაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ცნობილი მხატვრისა და ოქრომჭედლის, თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის - გურამ გაბაშვილის ნამუშევრებს ჩვენში კარგად იცნობენ. გურამ გაბაშვილი 1955 წლიდან მონაწილეობდა გამოფენებში, მისმა ნამუშევრებმა მოიარა ჩეხეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია და ა.შ. მიღებული აქვს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ჯილდოები, უნგრეთში ნადირობისადმი მიძღვნილი მსოფლიო გამოფენის დიპლომი... მისი ჭედურობა გამოირჩევა ნათელი კომპოზიციით, რაფინირებული ნახატითა და პოეტური ხედვით. გურამ გაბაშვილის "ხევსურმა გოგონამ", "თამარ მეფემ", "ზერიკამ", მის მიერ შექმნილმა ხატებმა, დამბაჩამ, სამკლაურებმა, ხანჯლებმა და მრავალმა სხვა ნამუშევარმა დროებით გალერეაში დაიდო ბინა, ხელმარცხნივ, დარბაზის ბოლოში. გალერეის დანარჩენი ნაწილი კი თვითნასწავლი მხატვრების ნახატებს დაეთმო.



ჭედურობა საქართველოში ყოველთვის პოპულარული იქნება.

გალერეის ექსპოზიციის ასეთი განაწილება (პერსონალური+ჯგუფური) შემთხვევითი არ ყოფილა. ხალხურ შემოქმედების გამოფენებს გურამ გაბაშვილი ყოველწლიურად ატარებდა, დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მოინახულებდა ოსტატებს, ეცნობოდა მათ შემოქმედებას, მერე კი მათ ნახელავს შეკრებდა და გამოფენდა ხოლმე. ეს ჯგუფური გამოფენაც მხატვრის მიერ დანერგილი კარგი ტრადიციის ერთგვარი გაგრძელება გახლავთ.

თვითნასწავლი (ნაივი) მხატვრების გამოფენა შემოქმედებითი კავშირის - "ელეონის", საქართველოს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო მეთოდური ცენტრისა და საქართველოს ხალხურის შემოქმედების სახელმწიფო მუზეუმის ინიციატივით გაიმართა. აქ 34 მხატვრის 241 ნამუშევარია წარმოდგენილი. გამოფენილი მხატვრების ნაწილი ჩვენი თანამედროვენი არიან, ნაწილი - ძველი პრიმიტივისტები. ზოგი ინჟინერია, ზოგი - ქიმიკოსი, ზოგიც - პარიკმახერი, ზოგი რა და ზოგიც კიდევ რა. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ (ან ცხოვრობდნენ), სხვადასხვა საქმიანობით არიან დაკავებულნი, და თან ხელოვნებას ეზიარებიან. მათი ნამუშევრების ერთად თავმოყრა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხური შემოქმედებისა და ქართული ნაივი ხელოვნების განვითარების ისტორიისათვის.

ეს გამოფენა საკმაოდ მრავალფეროვანია, თემატურადაც, სტილისტიკითაც, ქრონოლოგიურადაც... მაგალითად, აქ ნახავთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის უცნობი მხატვრის თამარ მეფისა (ეს პორტრეტი ხალხური შემოქმედების მუზეუმშია დაცული) და შოთა რუსთაველის პორტრეტებს (ტილო, ზეთი). აქვეა 1896 წელს დაბადებული თბილისელი დარაჯის - ვინმე ვანო მელიაშვილის ნამუშევრები, ზეთის თბილი ფერებით მუყაოზე შესრულებული "ვაჟა ფშაველას ოჯახი", "ავტოპორტრეტი", "მშობლები" და სხვა. აქვე იმასაც შეიტყობთ, თუ როგორი იყო დარაჯი ვანო - ერთი ულვაშა, ჩოხიანი კაცი, ნაღვლიანი თვალებით...

არის ერთი თემა, რაც, ფაქტობრივად, აქ გამოფენილ ყველა მხატვარს აერთიანებს, ძველი თბილისისა და ფიროსმანის თემა. გალერეაში ფიროსმანის ნახატებიც არის გამოფენილი: "მეეზოვე", "გოგონა ბუშტით", "ირემი", "აქტრისა მარგარიტა", "დათვი მთვარიან ღამეში" და "ცხვარი".

ვიცოდი, რომ საქართველოში ბევრი კარგი მხატვარია, მაგრამ ამდენი კარგი თვითნასწავლი მხატვარი თუ გვყავდა, ნამდვილად არ მეგონა. გირჩევთ, არ გამოტოვოთ ეს გამოფენა. გალერეაში მისულნი ბევრ ახალსა და საინტერესოს გაიგებთ და წინ დიდი სიამოვნება გელით. გამოფენა ეროვნულ გალერეაში 13 ივლისამდე გასტანს.

## აქცია ჩვილ ბავშვთა მიტოვების საწინააღმდეგოდ

### ნინო ქათამაძე: "ქველმოქმედება შემოქმედი ადამიანის სულის ნაწილია"

ვერა ნეფარიძე

*ორშაბათს ჩვილ ბავშვთა და დედათა სახლში (ნუცუბიძის ქუჩა N3) უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. ამჯერად მისი სტუმრები შოუ-ბიზნესისა და ხელოვნების სფეროს, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები და მასმედიის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი სააგენტო "ნატალის" საქველმოქმედო იდეამ გააერთიანა. 10 ივლისს "ნატალის", "აჭარა მიუზიკ ჰოლისა" და ნინო იოსელიანის "ფი-არ სააგენტო ეტერეს" ორგანიზებული სანახაობა დევიზით – "არც ერთი ბავშვი ოჯახის გარეშე", თბილისის მეგაკლუბში გაიმართება.*

ზემოთჩამოთვლილი ორგანიზატორი მხარეების წარმომადგენელთა გარდა, გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდნენ: მუსიკოსი ნინო ქათამაძე, დიზაინერები: მაკა ასათიანი და თამუნა ინგოროყვა, ქორეოგრაფი მაკა მახარაძე და ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტის ორგანიზატორ-მხარდამჭერები.

სულ რამდენიმე თვეა, რაც აღნიშნული პროექტის პრეზენტაციას უმასპინძლა ჩვილ ბავშვთა და დედათა თავშესაფარმა. როგორც პროექტის ხელმძღვანელები ამბობდნენ გუშინ, ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ პრობლემის (ჩვილების გაშვილებისა და მიტოვების) ირგვლივ სხვადასხვა საქმიანობის ადამიანები გაერთიანებულიყვნენ. პროექტის საქველმოქმედო ფორმით მხარდაჭერის იდეის ავტორად ამ შემთხვევაში სააგენტო "ნატალი" და მისი ხელმძღვანელი ნატა სამადელაშვილია. მისი საქველმოქმედო აქციის იდეა თითქმის ყველამ გაიზიარა, მათ შორის "აჭარა მიუზიკ ჰოლმა" (აღსანიშნავია, რომ მოკლე ისტორიის მიუხედავად, კლუბში რამდენიმეჯერ გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება ბავშვებისთვის) და "ფი-არ სააგენტო ეტერემ", რომელსაც ნინო იოსელიანი ხელმძღვანელობს. ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ნინო ქათამაძემაც: "შემოქმედი ადამიანისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობას, რადგანაც ეს მისი სულის ნაწილია", - გვითხრა მუსიკოსმა.



შოუ-ბიზნესი ჩვილ ბავშვებს ეხმარება.

სანახაობა ხუთშაბათს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გაიმართება, თუმცა მისი ორგანიზატორები ერთგულობენ მოულოდნელობის პრინციპს და კონკრეტული დეტალების გამხელისგან თავს იკავებენ. მათთვის, კი ვინც საქველმოქმედო საღამოზე დასწრების სურვილი აქვს, ღონისძიების ზუსტი პროგრამის გაცნობას ალბათ დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად გეტყვით, რომ აქციაში მონაწილეობას მიიღებენ მაკა მახარაძის "პატარა ბალერინები", სალონები: "ეგო" და "სეზონი"; ნინო ქათამაძე და რასაკვირველი, "ნატალის" გოგონები.

აქციისადმი მხარდაჭერა ძალიან საინტერესო და საჭირო ფორმით მაკა ასათიანმაც გამოხატა. ცნობილი დიზაინერი შეარჩევს ჩვილ ბავშვთა და დედათა თავშესაფარში მცხოვრებ ახალგაზრდა დედას, რომელსაც საჭირო სტაჟირების შემდეგ, საკუთარ სალონში დატოვებს სამუშაოდ. ახალგაზრდა დიზაინერი თამუნა ინგოროყვა კი თავშესაფარში მცხოვრები ბავშვებისთვის (1-დან 3 წლამდე) შეკერავს სხვადასხვა, მათთვის საჭირო სამოსსა თუ გასახვევებს. აქციას უკვე საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს კერძო ფირმებისა თუ კომპანიების სახითაც ("ყაზბეგი", "ავერსი", "ბიპი", "ტექსუნი", "ცენტრ-პოინტი" და ა.შ). ისინი დასასწრები ბილეთების შეძენასთან ერთად, აპირებენ აქცია საკუთარი პროდუქციითაც დაასპონსორონ. საქველმოქმედო სანახაობა "აჭარა მიუზიკ ჰოლში" 10 ივლისს საღამოს ცხრა საათზე გაიმართება.

## CK ONE-ის საკულტო მესიჯი

სახელი ქელვინ კლაინი მოდის მიმდევრებში ერთ გავრცელებულ ასოციაციას იწვევს. CK – ეს არის სიგრილის, კლასიკურობისა და სისადავის სიმბოლო. ახლა კლაინის ფანებს შეუძლიათ, ამგვარ განსაზღვრებას კიდევ ერთი სიტყვა – გრაფიტი მიუმატონ და არცთუ უსაფუძვლოდ. ახლახან დიზაინერმა სწორედ გრაფიტის თანხლებით გამოუშვა თავისი სუპერწარმატებული სუნამოს CK ONE-ის დამატებითი კოლექცია; პოპულარული სუნამო ძალზე შეზღუდული რაოდენობით, რომელსაც ძველი CK ONE-ისგან მხოლოდ ფლაკონის დიზაინი განასხვავებს. ანუ, ის განკუთვნილია, ზოგადად ორიგინალური და საკულტო ფლაკონების, ანდა მხოლოდ CK-ის ერთგული თაყვანისმცემლებისთვის.

თვითონ არომატისა რა მოგახსენოთ, მაგრამ CK ONE-ი ახალი შეფუთვით, მართლაც, საინტერესოდ და ახლებურად გამოიყურება. ორიგინალური დიზაინის შესაქმნელად კლაინმა გრაფიტის სამი ცნობილი მხატვარი დაიქირავა. მას სურდა, თითოეულ მათგანს CK ONE-ის ფლაკონი ისე მოეხატა, როგორც თვითონ აღიქვამდნენ სუნამოსა და მის მნიშვნელობას.

CK ONE გრაფიტის პირველი ფლაკონი ფუტურას ეკუთვნის. მან ბოთლი 70-იანი წლების ქუჩებისა და მატარებლების მოხატულობის შთაგონებით შექმნა. მისი გრაფიტი ისეთივე იდუმალი და ბნელია, როგორც მაშინდელი ქუჩის კულტურა იყო. CK ONE-ის მისეული ფლაკონიც ზუსტად ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნის. ყინულივით ცივ, გამჭვირვალე ფლაკონზე ქალისა და კაცის შავი ლანდები მოჩვენებებისათვის დგანან და სუნამოს მართლაც ახლებურ დატვირთვას სძენენ.





კალინ კლეინის სიახლეები.

CK ONE გრაფიტი დელტასგან – გრაფიტის ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრისგან კი, უფრო ფუტურისტულია და შთაგონებულია არქიტექტურული ფორმებითა და ველური სტილის გრაფიტით. შესაბამისად, ფლაკონზე ბაცი ყვითელი ფერისა და გაურკვეველი, მკვეთრი ფორმების ნახატი დომინირებს.

აი, CK ONE გრაფიტი ესპოს შესრულებით კი ყველაზე სასიამოვნო სანახავია. სანამ კლაინის ბოთლს მიადგებოდა, ნიუ ორკელმა ესპომ ქალაქის სახურავები, ჭიშკრები, გვირაბები მოხატა. მისი ცინიზმით, კაშკაშა ფერებითა და იუმორით სავსე ნახატები მნახველში სიმპათიას იწვევს. ასეა CK ONE-ის მისეული ფლაკონიც, რომელზეც არ არის დარღვეული არც კლაინის პირვანდელი ჩანაფიქრი და ამავე დროს გემოვნებით არის გადმოცემული თავად გრაფიტის მხატვრის დამოკიდებულებაც სუნამოსადმი.

ასე რომ, ქელვინ კლაინის ეს ახალი პროექტი ნამდვილად ღირს ნახვად. მით უფრო, თუ საკულტო ფლაკონებში 38 დოლარის გადახდა ბევრს არ ენანება და სიამოვნებით ყიდულობს ძველ და საყვარელ სუნამოს ახლებური შეფუთვითა და იდეით. CK ONE გრაფიტის თანხლებით, მართლაც, უნიკალური დუეტია.

სვეტი

## ВОЛОДЯ



ზაალ სამადაშვილი

მოსკოვში ვარ. ოთხმოციანი წლების დასაწყისია, როცა ამ უშნო, მეგაპოლისში იოლად მოსანადირებელი გოგოების გულისთვის ჩავდივართ ოცი წლის ბიჭები, როცა სპირტიანი სასმელების გაყიდვა, დილის ათ საათზე იწყება და საღამოს რვაზე თუ ცხრაზე წყდება. რუს მეგობართან ვცხოვრობ, კინოინსტიტუტის სტუდენტთან. საერთო საცხოვრებლის პატარა ოთახია ჩვენი ბინა, კედლებზე დაჭმუჭნული, კიდეებშემოცვეთილი პლაკატებით – შლაპიანი ფელინი, კაბააფრიალებული მერლინ მონრო, სტივ მაკკუინი მკერდზე ფარვანას ტატუთი და კიდევ ვიღაც. ჩემ მეგობარს запои აქვს. მომარაგებით კი ყოველთვის იმარაგებს საღამოსთვის არაყს და პორტვეინს, მაგრამ ერთხელაც ვერ ახერხებს. მიზეზი აღარ მახსოვს ზუსტად, უგრძესი რიგი დახვდა და არ მოუწია – მგონი...

მეუბნება - გავაფრენო. დადის ოთახში წინ და უკან, ისტერიულად იფხანს წელს და მუცელს და ხმამაღლა ფიქრობს, ვისთან შეიძლება спиртной-ს შოვნა. საერთო საცხოვრებელში შანსის ნასახი არ გვაქვს. აქაური ბრიგადა ან უკვე განგრეული მთვრალია, ან ათ გრამს არ ჩამოგისხამს მის თვალწინ სული რომ გაგძვრეს. ქალაქში გავიდეთო. ვის მივადგეთ–მეთქი ვეუბნები. ლიფტში მოვიფიქრებ, იქ უფრო მეხსნება ტვინი, რაც მე ლიფტში მოფიქრებულ სცენარებში ხუთიანები მიმიღია ვერც ჩამოგითვლიო. მართლა კარგად სწავლობდა, კარგად სწავლობდა კი არა რეჟისორად იყო დაბადებული. ყველაფერს სხვანაირად, ფერწერულ ტილოებივით ხედავდა – მაგიდაზე დაღვრილ რძეს, ქარით აბიბინებულ მინდორს, გუბეს, სადაც გლუვ კენჭებთან ერთად სამართებელის ნატეხი გდია...

ლიფტში, სადღაც მეხუთე თუ მეექვსე სართულს შორის, ღმერთმანი, მართლა უნათდება სახე და მეუბნება, ისეთ ადგილას წაგიყვან მთელი ცხოვრება არ დაგავიწყდებაო და ერთი და იმავე ფრაზის გამეორებას იწყებს, ნეტავ შინ დაგვხვდეს, ნეტავ შინ დაგვხვდესო...

ქუჩაში გავდივართ, დიდი წვალებით ვაჩერებთ ტაქსს და ვაწვებით თოვლახვეტილი ქუჩებით. საით, აზრზე არ ვარ. იმის მიუხედავად, რომ მოსკოვში ათჯერ მაინც ვარ ნამყოფი, ბერლინში კი, მხოლოდ ერთხელ და ისეც ორიოდე კვირით, მოსკოვის ვერც ერთ უბანში ვერც ერთ სახლს ვერ მივაგნებ, ბერლინში კი Zoo-დან ისე გაგიყვანთ Majakowski Ring-ამდე მოკლე გზებით, რომ თვალსაც არ დაახამხამებ. შეყვარების ბრალია, ალბათ, ბერლინი მიყვარს და მოსკოვი – არა...

ერთ უშველებელ, ალბათ ოცსართულიან და ოცსადარბაზოიან სახლთან ვჩერდებით. გადმოვრბივართ მანქანიდან. ლიფტში ჩემი მეგობარი ისევ იწყებს წელანდელი ფრაზის გამეორებას, ნეტავ შინ დაგვხვდეს, ნეტავ შინ დაგვხვდესო. რომელიღაც სართულზე ვჩერდებით, კაბინიდან გამოვდივართ და ზარის ღილაკს ვაჭერთ ხელს. კარს წარწერა არა აქვს, სამაგიეროდ კარის გვერდითა კედლებია აჭრელებული წარწერებით და ნაკაწრებით – უმეტესად გაწბილებული სტუმრების – მასპინძლები რომ ვერ მოიხელთეს. ყველა წარწერა ერთი სახელით იწყება – Володя! გინებებიც არის...

ჩემი მეგობრის გულის გასახარად კარს მალე გვილებენ, ეხლა მე ვხდები მოსასულიერებელი. ის არის – დაბალი, რაღაცნაირად დაზაგრული შუბლზე თმაჩამოშლილი, სხვის თვალებში დარდების ამომკითხველი. პირსახოცის ნაჭრის ხალათი აცვია, საიდანაც თეთრი, თხელი მაისური მოუჩანს, სწორედ ისეთი, მედომინოე ძიებს რომ აცვიათ ხოლმე ზაფხულობით.

Камандир, Бухать будем? ეკითხება ჩემი მეგობარი. Будем да еще как!, რიხიანად პასუხობს მასპინძელი და პასუხისას თავს ოდნავ გვერდით ხრის, ზუსტად ისე, როგორც თავის მიერ შესრულებულ როლებში.

გამოაქვს დაორთქლილსახელურიანი, ლიტრანახევრიანი Золотое кольцо (ჩეხურ ლუდთან ერთად რომ იყიდებოდა რესტორნების წინ), "შპროტი" და ჭვავის პური. ერთ ყურებად ღირს რა რბილად, მოხერხებულად ხსნის კონსერვს და როგორ თხლად ჭრის სურნელოვან პურს. ნუ გველოდები, მიდი, ჩაარტყიო, ეუბნება ჩემ მეგობარს, რომელსაც ოფლი სდის და ასრუტუნებს "ლომკისაგან". ისიც ურტყამს. ცოტა ხანში, დაჭრილ ხახვს რომ ვაყრით "შპროტს", ჩვენც ვუერთდებით.

"ქართველი ხართ?", მეკითხება.

"დიახ, ქართველი ვარ", ვპასუხობ და ჩემს სახელსა და გვარს ვეუბნები.

"კინოინსტიტუტში სწავლობთ"?

"არა, ისე ვარ ჩამოსული, უბრალოდ", ვიშმუშნები უხერხულად.

"გოგოების დასათრევად არა?" მხარზე მირტყამს ხელს და მოულოდნელად ამატებს, "შალამოვი წაკითხული გაქვთ?"

"დიახ"

"ნეკრასოვი?"

"აგრეთვე"

"ის ნეკრასოვი არა, სხვა, სერიოჟა დოვლატოვთან ერთად რომ უბერავდა!"

ეგრევე მოვუყევი, როგორ "ჩაუსწორა" მოთხრობა ტვარდოვსკიმ ნეკრასოვს და მერე ამით შეწუხებულმა როგორ წაიყვანა დასალევად მოსკოვის ერთ-ერთ განაპირა ეზოში, სადაც არაყი გრაფინით, მჟავე კიტრი კი თუნუქის ჯამით მოჰქონდათ ნიკაპთან თავსაფარგამონასკვულ ბებოებს.

"გინდათ რომ მწერალი გახდეთ?", ტყუილად კი არ დამიწერია სხვისი დარდების ამომკითხველი მზერა ჰქონდა-მეთქი.

"ვცდილობ", მივუგე ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ.

"ეცადეთ, ეცადეთ... попытка не пытка, не так ли товорищ... სტალინის ხმით მიმართა ჩემს მეგობარს და გულიანად გაიცინა. მერე ისევ მე მომიბრუნდა.

"ბლუზი თუ გიყვართ?"

"ძალიან", ვუპასუხე გულწრფელად.

"ჰოდა თუ მწერლობას აპირებთ და თან ბლუზიც გიყვართ, თქვენი ბლუზები წერეთ, არც ჰუკერის, არც კინგის, არც ტეილორის... მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ბლუზები... თითოეული ჩვენგანი მხოლოდ საკუთარ ბლუზს უნდა წერდეს..."

თქმა რად უნდა, რომ მაგრად დავთვერით. საკუთარი სიმღერები არ უმღერია. იმღერა ძველი, ჩეხოვი რომ სახალინში იყო და ქურდებს "ივანებს" რომ უწოდებდნენ იმდროინდელი Блатной-ები. დამამახსოვრდა სამი: Али я не весел, али некрасив, аль тебе не нравится, мой акредитив, Помню, помню, помню я, как мне мать говорила ГА Цыганка с картами, дорога дальная...

■ ■ ■

დღემდე ვცდილობ ჩემი ბლუზები ვწერო, ხრინწიანი ამონათქვამები, რომელთა გამო უმეტესად ქალებს მოადგებათ ხოლმე თვალზე ცრემლი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ძალიან მომწონს, რადგან ქალები გაცილებით მგრძნობიარეები მგონია ჩვენზე, მამაკაცთა მოდგმაზე.

## პრესლის კბილი 100 ათას დოლარად

გუშინ აუქციონზე გამოიტანეს კბილი, რომელიც ერთ დროს როკ-ენ-როლის მეფის კუთვნილება იყო. კბილი ლეგენდის თმასთან და სინგლის Love Me Tender-ის დისკთან ერთად, შევიდა კოლექციაში, რომელიც აუქციონზე გამოსატანად შეარჩიეს. ამ ნივთების საერთო სასტარტო ფასი ასი ათასი ამერიკული დოლარია. ინტერნეტ-აუქციონზე eBay როგორც წესი, არ გამოაქვთ ხოლმე ადამიანის სხეულის ნაწილები, თუმცა ელვის პრესლის შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვეს.

კბილს პრესლის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე პატრონი ჰყავდა. მას ჯერ ლეგენდარული მუსიკოსის მეგობარი ლინდა ტომპსონი ინახავდა; შემდეგ პრესლის მუზეუმს გადაეცა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა კბილი კერძო კოლექციონერის ხელში. რამდენიმე ხნის წინათ თურმე კბილის უკანასკნელ მეპატრონეს მიაკითხეს ევროპული ფირმიდან, რათა მის მიხედვით შეეცადათ პრესლის კლონირება. რაზეც უარი მიიღეს მოტივით – ყველა შემთხვევაში პრესლი ერთადერთი და განუმეორებელი იქნება. რაც შეეხება თმას, ის პრესლიმ თოქ-შოუს წამყვანს ჯო ფრანკლინს ჯარში წასვლამდე უსახსოვრა. სხვათა შორის, ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც აუქციონზე გამოაქვთ როკ-ენროლის მეფის თმა. შარშან ნოემბერში პრესლის თმის ნაწილი 115 ათას 120 დოლარად გაიყიდა.

ექსპერტებს რატომღაც, მაინც ეეჭვებათ, რომ ეს ნივთები მართლაც, ელვის პრესლის კუთვნილებაა. კომპანია Elvis Presley Enterprises-ის წარმომადგენლები ამბობენ, რომ შესაძლოა, ეს ნივთები არის კიდეც ნამდვილი, მაგრამ ისინი ვერ აიღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, გასცენ შესაბამისი სერთიფიკატი.

## TV პროგრამა
9 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.10** სერიალი „კომისარი მონტალბანო“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „დატყვევებული გულები“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“ **18.50** სერიალი „მაშველები“ **19.40** სერიალი „დატყვევებული გულები“ **22.00** სერიალი „კომისარი მონტალბანო“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „ფარული გრძნობა“. მთ. რ-ში: ლორენცო ლამასი, ბრენდა სტრონგი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ჯაშუშები“ **10.10** მხ. ფილმი „ქვის მფარველები“ **11.45** მოამბე **12.00** რეპორტაჟი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოდან (შესვენებისას ტელესერიალი „ეშმაკუნა“) **15.00, 20.00** მოამბე **15.15** მხ. ფილმი „ბრიყვების ოჯახი“ **16.45** ტელესერიალი „ძილის წინ“ **17.00** შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“ **17.20** 50-50 **18.00** „ვესტნიკი“ **18.20** დოკ. სერიალი „ევროპის ბუნება“ **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.05** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **21.55** „მათი შვილები“ **22.35** ტელესერიალი „ძილის წინ“ **23.00** „რა ხდება?!“ **00.00** მხ. ფილმი „ვიწრო ზღვარი“.

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ინსპექტორი გაჯეტი“ მთ. რ-ში მეთიუ ბროდერიკი, რუპერტ ევერეტი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო“ „სნაიპერი 2“ მთ.რ-ში ტომ ბერენჯერი. **01.40** „ღამურა“ „დანსერი“ მთ.რ-ში მია ფრეი, გარლანდ ვიტი. **03.45** პაუზის გარეშე

### მეორე არხი

**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი „რვაფეხა“ **20.30** დიდი დასვენება **21.00** დოკ. ფილმი **21.30** ჩვენი მისამართია **22.10** მოკლ. მხ. ფილმი „ქართლოსიანთა საკურთხეველი“, „ნისლა“.

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „გლადიატორი“ **14.30** მხ. ფილმი „პატივმოყვარეობის კოცონი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ.ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ზვიგენი“ **22.30** მხ. ფილმი „ნიკი, ეშმაკის შვილი“.

### იბერია

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „როცა კვლავ შევხვდებით“ 1-ლი ნ. **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **15.15** მხ. ფილმი „როცა კვლავ შევხვდებით“ მე-2 ნ. **17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30** მუსიკა **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. „გულები ატლანტიდაში“ **22.00, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „ტელეხედვა“ **01.30** ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **10.30** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **11.00** სერიალი „ქალი პოლიციელი“ **12.00** „ცხელი ცხრიანი“ **12.30** მხ. ფილმი „მდედრობითი სქესი, მრავლობითი რიცხვი“ **14.15** „ტელემეტრი“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები“ მე-5 ს. **15.20, 16.20, 17.55, 18.50, 19.50, 20.20, 22.00** მუსიკა **15.30** სერიალი „ციებ-ცხელება“ **16.30** დოკ. ფილმი „საიდუმლო ომი“ **18.05** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **18.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **19.00** სერიალი „ქალი პოლიციელი“ **20.00** დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები“ **21.15** სერიალი „ციებ-ცხელება“ **22.25** მხ.ფილმი „რაშელი და მისი სიყვარული“ **00.20** ბალეტი „ადაჟიტო“ **00.35** მხ. ფილმი „კაფე „დონს პლამი“.

### იმედი

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „გვირაბი“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **15.15** მხ. ფილმი „დათხოვილი ჟანდარმი“ **17.30** „ერთხელ ჰოლივუდში“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.30** სერიალი „გვირაბი“ **20.30** არტ-ბულვარი **21.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **23.00** სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“ **23.55** ფანების კინოკლუბი „როგორ გადავაქციოთ ცოლი ურჩხულად“.

### ევრიკა

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** „სალონი“ **13.30** ექიმი გვირჩევს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** სცენის ოსტატები **20.30** მულტფილმი **21.30** „სპორტის სამყარო“ **22.30** თინეიჯერი **23.30** მუსიკალური პაუზა **23.45** ტელესერიალი „ყავახანა“.

### VII არხი

**09.15** მელოდია **09.25** „აჩიკუდა“ **09.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.25** მელოდია **10.40** კომპიუტერული ტექნიკა **11.20** მელოდია **11.40** მობილურები **12.30** დისნეი და მისი მეგობრები **12.50** კომპიუტერული თამაშები **13.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** მობილურები **21.15** „ლა-ლა-ლა“ **22.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **22.30** „კინოკლუბი „ - „ძალზე ცუდი საქმეები“ . თრილერი. რეჟ: პიტერ ბერგი. როლებში: ქრისტიან სლეიტერი, კემერონ დიაზი. **00.15** კომპიუტერული თამაშები **00.25** ტელესერიალი „შიმშილი“-მე-14 სერია **00.55** მელოდია

### ОРТ

**07.00** „Доброе утро!“ **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 11.10 Худ.фильм „Королева Марго“ 12.05** „Большие родители“. И.Прохоров **12.35** Дисней-клуб: „Чудеса на виражах“ **13.15 Боевик „Операция „Слон“ 15.25** „Пока все дома“ **16.20** „Кумиры“. Е.Семенова **16.50 Худ.фильм „Кукла“ 18.00** „Большая стирка“ **19.25 Сериал „Герой нашего племени“ 19.55 Худ.фильм „За кулисами“ 22.00, 00.30** „Время“ **22.35 Худ.фильм „Ледниковый период“ 23.40 Сериал „Шпионка“ 01.00** „Сати“. Л.Ахеджакова **01.30** „Сканер“ **02.00 Худ.фильм „Как сделать лоскутное одеяло“**

### РТР

**06.45** „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Если невеста ведьма“ 10.40 Сериал „Тени исчезают в полдень“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** „Короткое замыкание“ **13.20 Детектив „Марш Турецкого“.** „Опасное хобби“, 2 с. **14.15** „Экспертиза“ **14.30** „Москва-Минск“ **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина“ **16.10 Сериал „Московские окна“ 17.15 Сериал „Простые истины“. 17.45** „Экспертиза“ **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.10** „Дорожный патруль“ **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **22.55 Детектив „Марш Турецкого“.** „Ошейники для волков“, 1 с. **00.20 Детектив „Круг обреченных“ 02.25** „Кинескоп“. Российское кино на XXV ММКФ **03.25 Сериал „Сеть“ 04.20 Сериал „Дживс и Вустер“**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **10.05 Сериал „Жил был я...“, 6 с. 11.00** „Сегодня утром“ **11.25 Худ.фильм „Новые приключения неуловимых“ 13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня“ **13.30** Ток-шоу „Страна Советов“ **14.35 Сериал „След оборотня“ 15.45** „Криминал“ **16.35** „Принцип „Домино“. „Страхи“ **18.30 Сериал „Скорая помощь 2“ 19.25** „Чистосердечное признание“ **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 21.50 Сериал „След оборотня“, 3 с. 23.00** „Страна и мир“ **23.30 Сериал „Клан Сопрано“, 3 с. 00.30 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 01.45** „Сегодня“ **02.05** „Гордон“

# განყენებული და მშვენიერი იდეები ესთეტური ცხოვრებისთვის

მაღალი მოდის დაპირებული კვირეული დაიწყო. შარშანდელივით, შოუ იამამოტომ გახსნა და საზოგადოებას გეგმაზე ექვსი თვით ადრე წარუდგინა მზა ტანსაცმლის კოლექცია. საერთოდ ცნებაში მაღალი მოდა მაყურებელს ყველაზე მეტად ფანტაზია და იდეების თეატრალიზება ხიბლავს. იამამოტომაც პოდიუმი ერთ მთლიან სპექტაკლად აქცია. მისმა მოდელებმა დარბაზი იაპონური აპლიკაციებით გაავსეს. დასეირნობდნენ გეიშები ლურჯად, წითლად და იასამნისფრად შეღებილი ტანებით, ფეხზე კი “ადიდასის” სამი ზოლით დამშვენებული იაპონური სანდლები ეცვათ. ეს უცნაური კომბინაცია – სპორტული ფეხსაცმელი და მაღალი მოდა “ადიდასისა” და იამამოტოს ახალ პროექტს მოჰყვა და შედეგადაც ძველი იაპონური თემა უცებ იქცა მოდერნისტულად.

ვინც შარშანდელ კვირეულს ადევნებდა თვალს, უთუოდ დაასკვნის, რომ იამამოტომ თავისი წლევანდელი კოლექციისთვის ბევრი არაფერი შეცვალა: იგივე იაპონური ვარიაციები, გეიშები, ფერადი სხეულები...

სამაგიეროდ, სიახლემოწყურებული მაყურებლის სურვილებს დონატელა ვერსაჩე შეხვდა მომზადებული. თუ წინათ ის სუპერ-სექსუალური მოდელებით იყო ცნობილი, მისი ახალი კოლექცია ზღაპრის ილუზორული პერსონაჟებით არის სავსე. დონატელამ მყვირალა, მდიდრულ შოუს უფრო მყუდრო საღამოს მოწყობა არჩია (თუმცა, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ეს სულაც არ არის დაკავშირებული ფინანსურ კრიზისთან, როგორც ამას ჟურნალისტები ვარაუდობენ) და პოდიუმზე შილიფად ჩაცმული, მეოცნებე ქალები გამოუშვა.

ოცნებებსა და ილუზიებზე შოუს მრავალი დეტალი მიუთითებდა: უკან დაუდევრად გადავარცხნილი დახვეული თმა, მუქი მაკიაჟი, თეთრი ფერის სატინისა და შიფონის კაბები – ბუმბულებითა და მაქმანებით, სიარულის სტილი და თვითონ მეოცნებე მზერა. მოდელების ვარცხნილობაც და მათი სამოსიც დილის განწყობას ქმნიდა. მაყურებელს ასოციაციით მაშინვე ახლადგაღვიძებული ქალი ახსენდებოდა, რომელიც ლოგინიდან ესესაა წამოდგა, თმა გადაივარცხნა და მეოცნებე სახით მხრებზე თხელი მოსასხამი მოიგდო. იმავე მშვიდ, მეოცნებე განწყობას გადმოსცემდა დონატელას მიერ შერჩეული ფერებიც – თეთრის ვარიაციები, პასტელის ვარდისფერი და ბაცი ოქროსფერი.

შოუს შემდეგ მაყურებელი ერთხმად ასკვნიდა, რომ ტემპერამენტიანი დონატელა, როგორც იქნა, გაიზარდა და დამშვიდდა. ის ახლა დიდი ქალივით მსჯელობს.

თუმცა, დამშვიდდაო, მაინც ვერაფრით თქვეს ჯონ გალიანოზე, რომელიც “კრისტიან დიორის” მოდის სახლს ექსცენტრიულის იმიჯს დღემდე წარმატებით უნარჩუნებს. გალიანოს თითოეული ახალი კოლექცია მოგზაურობაა ახალი კულტურების აღმოსაჩენად და ძველი, ხიფათიანი თავგადასავლების მოსაგონებლად. მაგალითად, გუშინ მოდის კვირეულზე შეკრებილი საზოგადოება გალიანომ ფლამენკოს, ტანგოსა და კანკანის მოცეკვავეების სამყაროში ამოგზაურა. პოდიუმი დაიპყრეს ცეცხლოვანი ფერის, დანაოჭებული კაბებით შემოსილმა მოდელებმა – აჟურული წინდებით, წითელკოპლებიანი ლოყებით და სანახევროდ შეღებილი ტუჩებით, მოხატული მკლავებითა და სახით... ერთი სიტყვით, გალიანო ხან ცირკის მსახიობებს უხდიდა ხარკს, ხანაც – პანტომიმისას, ხან ფლამენკოსგან იღებდა შთაგონებას, ხანაც ტულუზლოტრეკისგან. შოუს ბოლოს კი ჟურნალისტებსეუბნებოდა: “მე “მოცეკვავე ტანსაცმელი” შევქმენი, რომელიც სხეულს საცეკვაოდ თვითონ იწვევს, ის თქვენი სხეულის გარშემო თავად იწყებს ცეკვას”.

ეს კოლექცია გალიანომ მამას უძღვნა, რომელიც გასულ კვირას გარდაიცვალა. “მე სამხრეთ ლონდონში გავიზარდე, მაგრამ დედა ესპანელი მყავს, ამიტომ ფლამენკოს კარგად ვცეკვავ და ის ჩემში ძალიან ორგანულად ზის. ფლამენკო ჩვენ მამაჩემის დაკრძალვის დღესაც ვიცეკვეთ, რადგან მგონია, რომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მშობლიური ფესვები”, - დასძინა გალიანომ, რომელიც ცეკვაცეკვით პარიზულ პოდიუმზე თვითონაც გამოვიდა.

პარიზში უკვე მოასწრეს “შანელის” კოლექციის დათვალიერებაც, რომელსაც ტრადიციულად მოდის სახლის მთავარი დიზაინერი კარლ ლაგერფელდი ქმნის. უნდა ითქვას, რომ ლაგერფელდმაც ნაწილობრივ გაიმეორა შარშანდელი ტენდენცია და თავისი მოდელები კვლავაც მკაცრი სტილის პიჯაკებსა და მინი-კაბებში გამოაწყო. თუმცა, წელს საკითხს უფრო შემოქმედებითად მიუდგა, პიჯაკს საყელო დაუმრგვალა, ის ბაფთებით დაამშვენა, ქვედაბოლოც პიჯაკის საყელოს თარგზე გამოჭრა, გოგონებს ფეხზე წვრილქუსლიანი და მაღალყელიანი, ბრჭყვიალა ჩექმა ჩააცვა; ზოგიერთი მათგანი კი შავ-თეთრ კოსტიუმში გამოწყობილ პაჟს დაამსგავსა. შოუს პიკი ლინდა ევანგელისტას გამოჩენა იყო, რომელსაც კარლ ლაგერფელდის მიერ შექმნილი ავანგარდული საქორწინო კაბა ეცვა...

ერთი სიტყვით, გუშინ ყველაფერი მაინც “შანელის” სტილში, ანუ, კლასიკურად დასრულდა. პარიზში კვლავაც სანახავი ჰყავთ ჟან-პოლ გოტიე, კრისტიან ლაკრუა და ელი სააბი. მაღალი მოდის კვირეული – განყენებული და მშვენიერი იდეებით 10 ივლისამდე გასტანს.




ასე ხედავენ ქალებს ჯონ გალიანო და დონატელა ვერსაჩე.



ლინდა ევანგელისტა “შანელის” საქორწინო კაბაში

# დალის შედევრებს მისი მდივანი აყალბებდა

ნანა ბასილაშვილი

ცნობილი ესპანელი მხატვრის, სალვადორ დალის პირადი მდივანი პიტერ მური, კვლავ სასამართლო ინსტანციებს გადაეცა. მურს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ამჟამად პიტერ მურს, მისი ყოფილი შეფის ნამუშევრების გაყალბებასა და მაქინაციებში ედება ბრალი. თითქმის 300 სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ნამუშევრები: აკვარელი, ესკიზი, სკულპტურები – პარიზის აუქციონზე გაიყიდა. აუქციონიდან შემოსული თანხის რაოდენობამ 4,5 მილიონს გადააჭარბა. ამ თანხიდან პიტერ მურმა, 10 პროცენტის მითვისება მოინდომა, იმის საფუძველზე, რომ ამის უფლებას, იგი მხატვრის ანდერძის მიხედვით ფლობდა.

ნამუშევრები, რომლებიც მოგვიანებით დავის საგანი გახდა, მათი ესპანეთიდან გამოტანა, მურმა რამდენიმე წლის წინათ მოახერხა. ხელოვნებათმცოდნეების წინააღმდეგობის მიუხედავად, საბაჟომ, ნამუშევრები მაღალმხატვრული ღირებულების ნიმუშებად არ სცნო, რადგანაც მათ შორის მსოფლიოში ცნობილი შედევრები ვერ იცნეს. ახლა უკვე გაყიდული ნამუშევრების ხილვა, ადრე ქალაქ კადისში, დალის მუზეუმში იყო შესაძლებელი.

პიტერ მური ცნობილი პიროვნებაა. 1999 წელს, იგი დალის ნამუშევრების გაყალბებაში დაადანაშაულეს. სწორედ ამ დროისათვის, გამჭრიახმა მდივანმა, 10 ათას დოლარზე მეტი თანხა მიისაკუთრა. შეფის გრავიურებით, მან მსოფლიო ბაზრები გაავსო. ცნობილია, რომ სალვადორი საკუთარ ნამუშევრებს ყოველთვის თავის გვარს აწერდა. თუმცა, ექსპერტებმა 10 ათას ყალბ ფურცელზე, მხატვრის ორიგინალური ავტოგრაფები აღმოაჩინეს. როგორც გამოძიების შედეგად გაირკვა, ხელოვანმა სიკვდილამდე 300 ათასამდე სუფთა ფურცელს მოაწერა ხელი. სწორედ ამ მემკვიდრეობით ისარგებლა “საზრიანმა” პიტერ მურმა. მაშინ, 1990 წლების ბოლოს, მან მხოლოდ ამ მემკვიდრეობიდან, 50 ათასის გაყიდვა მოასწრო. დანარჩენი ფურცლები კი იმავე მდგომარეობაში დარჩა. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ყოფილმა პარტნიორმა მურის შესახებ პოლიციაში იჩივლა, საქმემ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. თუმცა, თაღლითი არ დაბნეულა და განაცხადა, რომ დალი არასოდეს ყოფილა გაყალბების წინააღმდეგი და სიკვდილის წინ, თავის მდივანს, საკუთარი ნამუშევრების კოპირებისა და გავრცელების სრული უფლება მიანიჭა.

პიტერ მურს თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. პროკურატურა თვლის, რომ სალვადორ დალის ყოფილმა მდივანმა, მსოფლიო მაშტაბით სხვადასხვა ორგანიზაციებთან და კერძო კოლექციონერებთან ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთობები, მხატვრის სიკვდილის შემდეგ, ბოროტად, საკუთარი ინტერესებისა და უკანონო გზით გამდიდრებისათვის გამოიყენა. ამის მიუხედავად ეპანელები ქვეყნის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით უყურებენ, რადგანაც სწორედ მათ მისცეს ნებართვა მურსა და მის მეუღლეს დალის კოლექცია ქვეყნიდან გაეტანათ.

აღსანიშნავია, რომ მური არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელიც უდიდესი სიურეალისტი მხატვრის სახელით “ცხოვრობს”. 70-იან წლებში მსგავს საქმიანობას ახალგაზრდა ესპანელი მხატვარი მანუელ პუხოლ ბალადასი ეწეოდა. ამ “საქმეზე” მას დალის ერთგულმა თანამგზავრმა, გალამ უბიძგა. სამი წლის განმავლობაში, პუხოლმა 400-მდე აკვარელში შესრულებული ნამუშევარი შექმნა. თუმცა, დალის სიკვდილის შემდეგ, პუხოლმა განაცხადა, რომ მან მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობა გაამდიდრა. სულ ახლახანს, მრავალრიცხოვანი ყალბი ნახატები ქურდებმაც გამოიყენეს. მათ ორიგინალი ჩამოხსნეს, და მის ნაცვლად კედელზე ყალბი ნახატი დაკიდეს. თუმცა, ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენილა – ორი თითქოს ერთნაირი ნახატი ერთმანეთისაგან, საკამოდ თვალშისაცემად განსხვავდებოდა..



სალვადორ დალის კარიკატურა




„ინტერნიუსი“
აცხადებს კონკურსს
ქართულიდან სომხურ ენაზე
სინქრონული თარგმნის
სპეციალისტების
თანამდებობაზე (3 ვაკანსია)
გთხოვთ, მოგვაწოდოთ
თქვენი ავტობიოგრაფია
(CV)
თბილისი, პ. იაშვილის ქ. 14/22
ტელ: 92-33-95/96/97/98




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთწვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის

ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.